საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geoworld.ge
№25 (307)
8 – 14 ივლისი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## წითელ-ჰალსტუხიანი თხა და ოდესის გუბერნატორის ფინანსური ვნებანი
2

# ემხრობიან თუ არა პარლამენტარები



## ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას საქართველოში
6

«არ მიმაჩნია, რომ გარყვნილება თავისუფლებაა. ღმერთმა ქალი და კაცი გააჩინა და, თუ ღმერთს უარვყოფთ, არ ვიცი»

«ჩემთვის მთავარი საკითხი, რომელიც ქვეყანაში დგას, რუსეთის აგრესიული პოლიტიკაა და, ერთსქესიანთა ქორწინებაზე აქცენტირება მხოლოდ პუტინის ნესქვილზე ასხამს წყალს»

«ანტიდისკრიმინაციულ კანონსაც მხარი დავუჭირეთ, მაგრამ, რაც შეეხება ქორწინების საკითხს, ვფიქრობთ, რომ ქორწინება მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის არის შესაძლებელი»

«იმ ქვეყანაში, ახლა რომ ჰომოსექსუალთა ქორწინებას აკანონებს და ჭკუას გვასწავლის, ავტობუსში ფერადკანიანების გვერდით დღემდე არ სხდებიან»

## თეთრი სახლის ცისფერი არჩევანი
8



4
## «ამერიკული იმპერიალიზმის დედაც!»

## «წინ ვერავინ უდგება უკრაინელ ბიზნესმენებს, რომლებიც ახლახან ჩამოვიდნენ და მინებს დიდი რაოდენობით ყიდულობენ»
10



მამა ათანასე:
9
## ამერიკაა მათი სამშობლო და მიბრძანდნენ, იქნებ ხელიც სთხოვონ მამობილ ობამას!

12
## «საქართველოში უნდა დასრულდეს დრო, როდესაც მხოლოდ პოლიტიკური ელიტა ცხოვრობს კარგად»

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ილია მეორე: ვაჩვენოთ, რომ საქართველოს ევროპაზე ადრე ჰქონდა მაღალი კულტურა



**„ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რათა ვაჩვენოთ ევროპას, რომ საქართველოს ევროპაზე ადრე ჰქონდა მაღალი კულტურა“, — ბრძანა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას.** „ევროპის სტრუქტურები საჭიროა, მაგრამ, ამასთანავე, ჩვენ არ უნდა დავკარგოთ ფასეულობები... ჩვენი ქართული ისტორიული, კულტურული, სულიერი, მეცნიერული ფასეულობა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ვაჩვენოთ ევროპას, რომ საქართველოს ევროპაზე ადრე ჰქონდა მაღალი კულტურა. ჩვენი სულიერება ისე ძლიერია და მაღლა დგას, უცხო ქვეყნებს შეუძლიათ, ბევრი რამ ისწავლონ საქართველოსგან... ღმერთმა ისეთი სამშობლო მოგვცა, რომ ჩვენზე ბედნიერი არავინ უნდა იყოს დედამიწაზე.“ — ბრძანა პატრიარქმა.



### ირაკლი ღარიბაშვილი:

## საქართველოს მოსახლეობის 50%, ჩვენდა სამარცხვინოდ, სიღარიბეში ცხოვრობს

**ჩვენი მოსახლეობის 50%, სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, სიღარიბეში ცხოვრობს, — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მისი თქმით, საქართველოში არც ერთი გოჯი მიწა არ უნდა დარჩეს დაუმუშავებელი.**

„ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება და იმის საშუალება არ უნდა მივცეთ საკუთარ თავს, რომ არ გამოვიყენოთ თითოეული რესურსი... ჩვენ არ გვაქვს უფლება, ეს მდგომარეობა შევინარჩუნოთ, ამ მდგომარეობას ჰქვია სიღარიბე. 50% ჩვენი მოსახლეობისა, სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, ცხოვრობს სიღარიბეში. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ამიტომ მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო ამ პროგრამის მნიშვნელობა და ჩვენ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო დავხვეწთ ამ პროგრამას და მზად ვართ, მივიღოთ მონაწილეობა მის განხორციელებაში“, — განაცხადა პრემიერმინისტრმა საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ერთი წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.



### სულხან მოლაშვილი:

## «ნაციონალები» ხოცავდნენ პატიმრებს, პირდაპირ კამერებში ისროდნენ ტყვიებს!

**კონტროლის პალატის ყოფილმა ხელმძღვანელმა სულხან მოლაშვილმა სააკაშვილ-ადეიშვილის საუბრის ფარული ჩანაწერი შეაფასა:** „ გარკვეულ ჯგუფს ყელში ამოუვიდა ფუჭი დაპირებები, ბაქიბუქი და დროა, კონკრეტულ საქმეებზე გადავიდეთ. ვამხილოთ ის მოსამართლეები, რომლებიც სპეციალურად არ იხილავენ საქმეებს, ვამხილოთ ის პროკურორები, რომლებიც, ხელფასის აღების გარდა, არაფერს აკეთებენ. სააკაშვილისგან ყველაფერია მოსალოდნელი. მას და მის გუნდს არ აქვს არავითარი მორალი, არავითარი ადამიანური გრძნობა, ასეთი ადამიანებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ისინი პატიმრებს ხოცავდნენ, პირდაპირ კამერებში ისროდნენ ტყვიებს, ძალიან ბევრი ადამიანი დასახიჩრდა, დაიჭრა და გარდაიცვალა. მერაბიშვილი პრემიის სანაცვლოდ გვამებს უკვეთდა! რას უნდა ელოდო ასეთი ადამიანებისგან? ამ ადამიანებისთვის ტერორისტული აქტი, ადამიანების მკვლელობა, პატარა ბავშვის დახრჩობა, გვამების შეკვეთა, მეტროს თავზე შემოწყობა ჩვეულებრივი ამბავია! სააკაშვილი არის ყველა ოკუპანტზე მეტი მტერი!“ — განაცხადა სულხან მოლაშვილმა.

# წითელჰალსტუხიანი თხა და ოდესის გუბერნატორის ფინანსური ვნებანი

## სააკაშვილს ხელფასს აშშ გადაუხდის

**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად ოდესის საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციის მეთაური მიხეილ სააკაშვილი 6 ივნისს შეხვდა უკრაინაში აშშ-ის ელჩს — ჯეფრი ჰაიეტს და მოელაპარაკა, რომ გუბერნატორის გუნდს ხელფასს აშშ-ის მთავრობა გადაუხდის, გარდა ამისა, მიღწეულია შეთანხმება ოდესის ახალი პოლიციის შექმნაში კალიფორნიელი პოლიციელების დახმარების შესახებ.**





„მოვილაპარაკეთ, რომ კალიფორნიელი პოლიციელები გაწვრთნიან ოდესის ახალ პოლიციას. ოდესის ანტიკორუფციული მიმართულებებისთვის კი ამერიკის მთავრობა დათანხმდა, გამოყოს სახსრები სააკაშვილის ახალი გუნდის ხელფასების ასანაზღაურებლად“, — დაწერა მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში.

ოდესის, კიევის, ხარკოვის, ლვოვისა და უკრაინის სხვა ქალაქებში საპატრულო პოლიციის შესაქმნელად აშშ-ის დახმარება 15 მლნ დოლარს შეადგენს.

როგორც ჩანს, **აშშ მეთოდებს არ ცვლის — ის, რაც წლების წინათ საქართველოში ხდებოდა, ახლა უკრაინაში მეორდება: გახსოვთ, ალბათ, საქართველოს ხელისუფლებასაც აშშ-ის დავალებით უხდიდა ხელფასს ჯორჯ სოროსი და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბიძინა ივანიშვილიც; საპატრულო პოლიცია კი ბიძინა ივანიშვილის ფინანსური დახმარებით შეიქმნა.**




ფინანსური დახმარებითა და დაუსჯელობის სინდრომით გაყოყოჩებულმა სააკაშვილმა და მისმა გუნდმა რა უბედურებებიც დაატრიალეს ქვეყანაში, ყველას კარგად მოეხსენება, ისიც ყველამ იცის, რატომ გაიქცნენ საქართველოდან „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე წევრები და ვისი პროტექციით შეიფარა ისინი ასევე დამნაშავე უკრაინის ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, რომელიც ქვეყნის სათავეში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოექცა, შემდეგ კი რუსეთთან ძმათამკვლელი ომი გააჩაღა და ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა. ახლა **უკრაინაში მოვლენები ზუსტად ისე ვითარდება, როგორც წლების წინათ საქართველოში, და რას მოუტანს ეს უკრაინელ ხალხს, ძნელი გამოსაცნობი არ არის.**

> **«ოდესას უნდა ჰყავდეს ადგილობრივი ნორმალური გუბერნატორი, რომელიც დაიცავს ოდესელთა ინტერესებს, და არა — გიჟი სამხედრო დამნაშავე. ოდესელებს ახსოვთ, რომ სააკაშვილს ხელები სისხლში აქვს გასვრილი. სწორედ მან გასცა ბრძანება სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი კვარტლების დაბომბვის შესახებ, იქ ასობით მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა. სწორედ სააკაშვილმა მოაწყო სასაკლაო სამხრეთ ოსეთში, ახლა კი ოდესაში ჩამოვიდა იმისათვის, რომ ანალოგიური რამ დნეპრისპირეთშიც მოაწყოს»**

ამ ყველაფრის ფონზე ოდესის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრებმა საპროტესტო აქცია გამართეს გუბერნატორის პოსტიდან მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. აქციის მონაწილეებმა **გაიდარის ქუჩაზე გამოიყვანეს თხა, რომელსაც წითელი ჰალსტუხი ჰქონდა გაკეთებული — ეს იყო შეხსენება ბი-ბი-სის მიერ გავრცელებული კადრებისა, რომლებზეც სააკაშვილი ჰალსტუხს ღეჭავს.**

აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ პლაკატები წარწერებით: **„სააკაშვილი GO HOME“ და „სააკაშვილი — სამხედრო დამნაშავე“.**

„ოდესას უნდა ჰყავდეს ადგილობრივი ნორმალური გუბერნატორი, რომელიც დაიცავს ოდესელთა ინტერესებს, და არა — გიჟი სამხედრო დამნაშავე. ოდესელებს ახსოვთ, რომ სააკაშვილს ხელები სისხლში აქვს გასვრილი. სწორედ მან გასცა ბრძანება სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი კვარტლების დაბომბვის შესახებ, იქ ასობით მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა. სწორედ სააკაშვილმა მოაწყო სასაკლაო სამხრეთ ოსეთში, ახლა კი ოდესაში ჩამოვიდა იმისათვის, რომ ანალოგიური რამ დნეპრისპირეთშიც მოაწყოს“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მიხეილ კოშელევმა.

> **აშშ მეთოდებს არ ცვლის — ის, რაც წლების წინათ საქართველოში ხდებოდა, ახლა უკრაინაში მეორდება: გახსოვთ, ალბათ, საქართველოს ხელისუფლებასაც აშშ-ის დავალებით უხდიდა ხელფასს ჯორჯ სოროსი და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბიძინა ივანიშვილიც; საპატრულო პოლიცია კი ბიძინა ივანიშვილის ფინანსური დახმარებით შეიქმნა**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დონალდ ტრამპმა აშშ-ს მექსიკელი ბოროტმოქმედების ნაგავსაყრელი უწოდა



**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი მიგრანტებზე გამონათქვამის გამო სკანდალში გაეხვია. ტრამპმა მექსიკელ მიგრანტებზე საუბრისას ამერიკის შეერთებულ შტატებს მეზობელი ქვეყნის ბოროტმოქმედთა ნაგავსაყრელი უწოდა, — იუწყება CBS News-ი.** „მექსიკის ხელისუფლება არასასურველ პირებს აშშ-ში გამგზავრებას აიძულებს, მათგან კი ბევრია ბოროტმოქმედი, ნარკოვაჭარი და მოძალადე. ამერიკის შეერთებული შტატები მექსიკელი ბოროტმოქმედების ნაგავსაყრელად გადაიქცა. ჩვენთან ძლიერი ინფექციური დაავადებები საზღვრის გავლით შემოდის“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.




# ბერძნების «არა» — ეს ნიშნავს «დიახ» მომავალს

## საბერძნეთის მაგალითი შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს

**საბერძნეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, კრედიტორების სამეულის — ევროპის ცენტრალური ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ევროკომისიის — პირობებს „არა“ უთხრა რეფერენდუმში მონაწილეთა 61,3%-მა და ამით ქვეყნის მომავალი განსაზღვრა.**




რეფერენდუმის შედეგების გამოცხადებას მოსახლეობის დიდი ნაწილი ოვაციებით შეხვდა. ათენში საზეიმო განწყობა იყო, თუმცა, ზოგიერთი ევროპელი ლიდერის განცხადებით, რეფერენდუმის შედეგები ნიშნავს, რომ საბერძნეთმა შეიძლება ევროზონა დატოვოს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საბერძნეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები ევროკავშირის დაშლას გამოიწვევს — **ევროპაში პირველად გამოცხადებული დეფოლტი შეიძლება უკანასკნელი არ აღმოჩნდეს. ინტერნეტში გავრცელებული ფრაზა — „საბერძნეთმა დაანგრია სპარსეთი, ტროა, ფინიკია და ახლა ევროკავშირის ჯერია“ — ხუმრობად უკვე აღარავის ეჩვენება.**

უკვე კარსაა მომდგარი სავალო კრიზისი **იტალიაში**, რომლის სახელმწიფო ვალი ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის **132%-ს** შეადგენს, **პორტუგალიის — 130%-ს**, **ესპანეთისა — 18%-ს**; ამასთანავე, ევროპისგანვე ელის დახმარებას **უკრაინაც,** რომელმაც განაცხადა, რომ არ აქვს ვალების გადახდის არც სურვილი და არც საშუალება — ზუსტად ისე, როგორც ათენს, თუმცა დეფოლტის გამოცხადებას არ ჩქარობს.

შედეგად — გაერთიანებული ევროპა შეიძლება იქცეს ოცნებად, რომელიც რეალურად მხოლოდ ევრობანკნოტებზე იქნება ასახული და, თუკი პრობლემების გადაწყვეტის ათენური მეთოდი შედეგს გამოიღებს, მაშინ ევროზონას ახალი რეფერენდუმები და რყევები არ ასცდება.

ევროპელები თავდაპირველად სერიოზულად არ აღიქვამდნენ ბერძნებს, ფიქრობდნენ, რომ მმართველი კოალიცია სირიზა დანებდებოდა და ხელს მოაწერდა ბრიუსელის ყველა მოთხოვნას. თავის მხრივ, ბერძნები ფიქრობდნენ, რომ დანარჩენი ევროპა კარგად აცნობიერებს ათენის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ევროკავშირისთვის საფრთხის დონეს. და აი შედეგიც: **ქვეყანამ მტკიცედ თქვა „არა“ გარედან თავსმოხვეულ მკაცრ ეკონომიკაზე.**

ამ შედეგს უკვე უწოდებენ პრემიერმინისტრ **ალექსის ციპრასის** ტრიუმფს, რომელმაც „ბერძნული რულეტკის“ თამაშისას ყველაფერი დადო ფსონზე და გაიმარჯვა.

**როგორ მივიდნენ ბერძნები ამ კრიზისამდე?** — ეს არის მთავარი კითხვა, რომელსაც დღეს ბევრი სვამს. **320 მილიარდი დოლარი ვალი — ეს ხომ 11-მილიონიანი მოსახლეობისთვის ძალიან ბევრია?!**

**ეს თანხა რომ გავანაწილოთ, აღმოჩნდება, რომ საბერძნეთის თითოეულ მოქალაქეს, მათ შორის, ახალშობილებს, 30 ათასი ევრო აქვს გასასტუმრებელი.** დღეს უკვე ნათელია, რომ მოწოდებები ბერძნების გადარჩენაზე, მხოლოდ საფარველი იყო მასშტაბური ფინანსური მაქინაციებისთვის. **საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის ცენტრალური ბანკიდან და ევროკავშირიდან გადარიცხული ფული ჯდებოდა კერძო ბანკების ანგარიშებზე, ძირითადად — გერმანული და ფრანგული ბანკების, და იქვე რჩებოდა.** ეს კრედიტები ძველი ვალების პროცენტების გასტუმრებად ჩაითვალა. **ბანკები გამდიდრდნენ, საბერძნეთი კი უფრო მეტ ვალში ჩაეფლო.**

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში ვალების უფრო ღრმა ორმოებიც არის და **ეს 320 მილიარდი არაფერია იტალიის ვალთან შედარებით, რომელიც 2 ტრილიონ ევროზე მეტია. ესპანეთის ვალმა 1 ტრილიონს გადააჭარბა.** ცოტამ თუ მიაქცია ყურადღება ინფორმაციას, რომ 25 ივნისს მადრიდმა პირველად მიმართა ევროკავშირს მხარდაჭერისთვის, რადგან უკვე ველარ იხდის ვალებს. ვალები ახრჩობს პორტუგალიასა და **ირლანდიასაც.**

და, თუ ევროკავშირი მიუტევებს ვალს ერთ რომელიმე ქვეყანას, ამას სხვაც მოითხოვს, რაც არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ ევროზონის დასასრულის დასაწყისი იქნება — „საერთო სახლის“ იდეის კრახი კი გარდაუვალი იქნება.



მარინ ლე პენი:

## ევროკავშირი ტვინის გამომრეცხველთა სექტად გადაიქცა!




**პარტია „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ ევროკავშირი გადაიქცა სექტად, რომელიც მოქალაქეებს ჯერ ტვინს ურეცხავს, შემდეგ კი გადადის მუქარასა და შანტაჟზე.**

როდემდე უნდა ითმინონ ფრანგებმა ასეთი დამოკიდებულება? — დასვა კითხვა ფრანგმა პოლიტიკოსმა Sud Radio-ს ეთერში.

**„ევროკავშირის ასეთი სექტანტური მიდგომის გამო ამ გაერთიანების წევრმა ქვეყნებმა უფრო მეტი დამოუკიდებლობის მოპოვება უნდა სცადონ და ეროვნულ ვალუტას დაუბრუნდნენ.**

**ევროკავშირი სიგიჟეა, ამოფარებულია ყალბი დემოკრატიის დროშას და ქვეყნებს დამოუკიდებლობას ართმევს“,** — განაცხადა მარინ ლე პენმა.



## თურქეთმა სირიის საზღვრის გასწვრივ დამატებითი სამხედრო ძალები და ტექნიკა განალაგა

**თურქეთმა სირიის საზღვრის გასწვრივ დამატებითი სამხედრო ძალები და ტექნიკა განალაგა. საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ მიერ გავრცელებული ცნობით, თურქეთმა სირიის საზღვრის გასწვრივ სამხედრო ძალებისა და ტექნიკის განლაგების შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მის საზღვართან ახლოს მდებარე სირიის ქალაქ ალეპოში დაპირისპირება გამწვავდა.**

„ჩვენ მივიღეთ საზღვრის დაცვის მიზნით წინასწარი ზომები. თუ ისეთი ვითარება შეიქმნება, რომელიც თურქეთის უსაფრთხოებას დაემუქრება, მოქმედების ბრძანებას გავცემთ“, — განაცხადა თურქეთის პრემიერმინისტრმა ახმედ დავუთოღლუმ.

## ელიმინაციის პროგრამაში ჩართულ 23 პაციენტს C ჰეპატიტის ვირუსი აღარ აქვს




**ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელიამ განაცხადა, რომ ელიმინაციის პროგრამაში ჩართული 32 პაციენტიდან 23-ს, ერთი თვის მკურნალობის შემდეგ, C ჰეპატიტის ვირუსი აღარ აღენიშნება.**

„შედეგები არის იმაზე კარგი, ვიდრე ველოდით. პაციენტების ნაწილი განიკურნა, თუმცა ვირუსის გაქრობა არ ნიშნავს, რომ მათ მკურნალობა მიატოვონ. ხელშეკრულებებში აღნიშნულია, რომ მკურნალობის კურსი ბოლომდე უნდა გაიარონ“, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ. ვალერი კვარაცხელიას თქმით, სისხლში ვირუსის გაქრობის შემდეგ პაციენტებმა მკურნალობა დაზიანებული ღვიძლის ფუნქციის აღსადგენად უნდა განაგრძონ.

ამჟამად C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში მკურნალობს 1700 პაციენტი, სულ კი რეგისტრაცია გაიარა 7000-მდე პაციენტმა, რომლებიც ეტაპობრივად ჩაერთვებიან აღნიშნულ პროგრამაში.




## სუპერთასის ბილეთები 12 ივლისის 9 საათიდან გაიყიდება

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ უეფას სუპერთასის ბილეთები 12 ივლისს, 09:00 საათიდან გაიყიდება მიხეილ მესხის სტადიონზე.**

„რამდენიმე კვირის წინათ შეიქმნა პრობლემები ელექტრობილეთებზე და ფედერაციამ თავის თავზე აიღო — ბილეთების დამზადება, რეალიზება და სხვ. ჩვენ გულშემატკივრებს დავპირდით, რომ რამდენიმე დღით ადრე შევატყობინებდით დროსა და ადგილს, სად გაიყიდებოდა ბილეთები. ამ ერთი კვირის განმავლობაში შსს-თან, მერიასთან ერთად გავიარეთ ყველა მოთხოვნა, რომელიც ჰქონდა უეფას. შეგვიძლია, გითხრათ, რომ **12 ივლისს, კვირას, 09:00 საათზე მიხეილ მესხის სტადიონზე გაიყიდება ბილეთები**“, — განაცხადა სიჭინავამ.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბერძნები, საბედნიეროდ, ქართულ პოლიტიკურ პრაქტიკას არ იცნობენ, როცა ყველა დაპირება დასავლეთიდან მოსულ რეკომენდაციებსა თუ მითითებებს ეწირება. ციპრასმა, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ძალაუფლების შესანარჩუნებლად „უფროს ძმებს“ უნდა უსმინოს და არა საკუთარ ხალხს, თუმცა არც ბერძნები არიან ის ხალხი, რომელიც საპროტესტო აქციებზე „ფოთლის არჩამოვარდნით“ ამაყობს და სულ ცოტაც ჰყოფნის, რომ მთავრობას გასაგებ ენაზე აუხსნას, რას ელის მისგან!**

# «ამერიკული იმპერიალიზმის დედაც!»

**საბერძნეთის რეფერენდუმმა ევროსკეპტიკოსები და ოპტიმისტები კვლავ დააშორა ერთმანეთს. ერთნი მხარს უჭერენ ერთმორწმუნე ქვეყანას, მეორენი სრულ გაკოტრებას უქადიან. ერთმორწმუნეობის გარდა, საქართველოსთვის საბერძნეთის მდგომარეობა იმიტომაც არ არის სულერთი, რომ ჩვენი ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხებით რუსეთის შემდეგ სწორედ საბერძნეთი ლიდერობს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართული პოლიტიკური კლასი ქვეყნის მომავალს ევროკავშირს უკავშირებს, გასაგებია, რომ საბერძნეთის მოვლენები ჩვენთვის ერთობ საყურადღებო და მნიშვნელოვანია.**

61:39 — ასეთია რეფერენდუმის შედეგი კრედიტორების წინადადების მიმართ „არას“ სასარგებლოდ. ათენში, სინტაგმას მოედანზე, ათასობით ადამიანი ტაშით შეეგება შედეგის გამოცხადებას. „სქაი ნიუსის“ ჟურნალისტთან საუბარში ერთმა ათენელმა ქალბატონმა ხაზგასმით მიუთითა: – ბერძნებმა დაამტკიცეს, რომ ისინი თავისუფალი ადამიანები არიან და არა — მონები.

რეფერენდუმის შედეგებით ფრთაშესხმულმა პრემიერმინისტრმა **ალექსის ციპრასმა** ერს მიმართა და მადლობა გადაუხადა „მამაცი არჩევანისთვის“. მან განაცხადა, რომ დაბრუნდება მოლაპარაკების მაგიდასთან, ხოლო რეფერენდუმის შედეგები არ ნიშნავს იმას, რომ ათენი აუცილებლად დატოვებს ევროზონას. პრემიერმინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ მოლაპარაკებებზე პრიორიტეტი საბანკო სისტემის აღდგენა და ვალების რესტრუქტურიზაცია იქნება.

ევროზონის ქვეყნების ლიდერებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, განაგრძონ მოლაპარაკებები საბერძნეთთან, რათა განიხილონ კრიზისიდან გამოსვლის გზები, თუმცა, არც მათ შორის არის ერთსულოვნება. მაგალითად, გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელის** მოკავშირე დეპუტატები აცხადებენ, რომ საბერძნეთმა ევროზონა უნდა დატოვოს. კონსერვატიული ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერის — **კლაუს-პიტერ ვილშის** თქმით, რეფერენდუმის შედეგები იმას ნიშნავს, რომ საბერძნეთი ევროზონაში ველარ დარჩება.

„ევროპის ცენტრალურმა ბანკმა გაკოტრებული საბერძნეთის დაფინანსება უნდა შეწყვიტოს. ევროკავშირის ლიდერებმა საბერძნეთის ევროზონიდან გასვლის პროცედურები უნდა დაიწყონ. საბერძნეთს შეუძლია, დარჩეს ევროკავშირში, თუმცა ევროზონაში მას მომავალი არ აქვს. მათ ჩვენი დაშანტაჟება სცადეს. ისინი სხვა ქვეყნების გადასახადის გადამხდელების მძევლად აყვანას ცდილობენ“, — აცხადებს ვილში.

საწინააღმდეგო თვალსაზრისი აქვს საფრანგეთის პარტია „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერ **მარინ ლე პენს:** „ევროზონა უკვე არასიცოცხლისუნარიანია. ევროკავშირი გახდა დიქტატორული სექტა, რომელიც დაკავებულია ტვინის გამორეცხვითა და შანტაჟით. შეუძლია თუ არა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ხალხს, კიდევ დიდხანს ითმინოს ეს ყველაფერი? საბერძნეთის რეფერენდუმმა აჩვენა, რომ არა“!

„სექტის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ევროპარლამენტის პრეზიდენტმა **მარტინ შულცმა** კი განაცხადა: „ვფიქრობ, დღეიდან საბერძნეთს არა ფინანსური, არამედ ჰუმანიტარული დახმარება დასჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში მოგვიწევს, ევროზონის სამიტზე განვიხილოთ საბერძნეთის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა. ჩვეულებრივი მოქალაქეები, ავადმყოფები, პენსიონერები და ბავშვები არ უნდა ისჯებოდნენ იმ დრამატული ვითარების გამო, რომელიც ციპრასის ხელისუფლებამ თავს მოახვია ბერძენ ხალხს“, — განაცხადა მარტინ შულცმა.

საინტერესოა, რომ ყურისძირში, **უკრაინის ჰუმანიტარული დახმარების შესახებ შულცს არაფერი უთქვამს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ომია და ადამიანები, მათ შორის ბავშვები იღუპებიან, მოსახლეობა შიმშილობს და სამედიცინო დახმარებას არის მოკლებული.**




## თუ საქართველოს მთავრობა ვერ ისწავლის «არას» თქმას, მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე ისევ ხალხს მოუწევს თქვას «არა»!

**რას ითხოვენ კრედიტორები საბერძნეთისგან ფინანსური დახმარების სანაცვლოდ?**

მკაცრი ეკონომიკური რეფორმების გატარებას, გადასახადების გაზრდას და სოციალურ პროგრამებზე სახელმწიფო ხარჯები შემცირებას, რაზეც საბერძნეთის ახალი მემარცხენე მთავრობა ვერ წავა, რადგან ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება მის წინასაარჩევნო დაპირებებს. **ბერძნები, საბედნიეროდ, ქართულ პოლიტიკურ პრაქტიკას არ იცნობენ, როცა ყველა დაპირება დასავლეთიდან მოსულ რეკომენდაციებსა თუ მითითებებს ეწირება. ციპრასმა, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ძალაუფლების შესანარჩუნებლად „უფროს ძმებს“ უნდა უსმინოს და არა საკუთარ ხალხს, თუმცა არც ბერძნები არიან ის ხალხი, რომელიც საპროტესტო აქციებზე „ფოთლის არჩამოვარდნით“ ამაყობს და სულ ცოტაც ჰყოფნის, რომ მთავრობას გასაგებ ენაზე აუხსნას, რას ელის მისგან!**

დღევანდელ ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში ყველაფერი ერთმანეთს ებმის და ისევე, როგორც რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შემთხვევაში, აქაც ევროპამ იზარალა; საბერძნეთის რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების შემდეგ მსოფლიო **საფონდო ბირჟებზე ევროს კურსი დოლარისა და იენის მიმართ დაეცა.**

საბერძნეთი ევროკავშირს 1981 წელს შეუერთდა. ქვეყანა (ჩვენსავით) ფინანსურ პრეფერენციებს ელოდა საკუთარი წარმოებისა და ვაჭრობის გასავითარებლად, ასევე — პოლიტიკურ დივიდენდებს ამ გავლენიან ერთობასთან ასოცირებით. სინამდვილეში **ათენი ევროზონის პერიფერიად იქცა, დაწინაურების ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე. ევროზე გადასვლის შემდეგ მეტალურგია 30%-ით დაეცა, სოფლის მეურნეობაში კვოტები დაუწესეს ხორცპროდუქტებსა და ხილეულზე, მომსახურების სფერო წამგებიანი გახდა, საგარეო ვალმა კი მშპ-ს სერიოზულად გადააჭარბა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ქვეყანამ ბევრი ვერაფერი მოიგო — მის აზრს ევროპის წამყვანი ქვეყნები არასოდეს ითვალისწინებდნენ.** ექსპერტთა ერთი ნაწილი არ გამორიცხავს, რომ საბერძნეთის კრიზისს ანალოგიური პროცესების გამოწვევა შეუძლია **იტალიაში, ესპანეთსა** და **საფრანგეთშიც** კი. ამ ქვეყნების საგარეო ვალი, საბერძნეთის 320 მილარდთან შედარებით, შემზარავად გამოიყურება და უკვე **5 ტრილიონ ევროს აჭარბებს.**

სხვათა შორის, 62 წლის წინათ საბერძნეთის მსგავს ვითარებაში იყო ომწაგებული გერმანია. 1953 წელს ლონდონის კონფერენციაზე სწორედ მისი ვალების შესახებ მსჯელობდნენ. თავის დროზე, გასული საუკუნის 30-იან წლებში გერმანიას, ვერსალის შეთანხმებით, 16 მილიარდი მარკის გადახდა დაეკისრა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბანკების სასარგებლოდ. ერთი ამდენი კიდევ ის კრედიტები იყო, რომლებიც გერმანიამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკის აღსადგენად აიღო იმავე ქვეყნებისგან.

მოლაპარაკება თებერვლიდან აგვისტომდე გაგრძელდა და გერმანიას ვალის (არა მხოლოდ სახელმწიფოების, არამედ კერძო ინვესტორებისაც) ნახევარი ჩამოაწერეს. ვალის ჩამოწერას, სხვა სახელმწიფოებთან ერთად, საბერძნეთიც დაეთანხმა. „გერმანული სასწაულის“ ფორმულა სწორედ ეს იყო და არა გერმანელების უნიკალურ შრომისმოყვარეობა. კრედიტორებმა ვალის გადახდა 30 წელზე გაწერეს, გერმანიის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ ვალების უკანასკნელი გადახდა კი გერმანიამ ახლახან, 2010 წელს დაასრულა, როცა დარჩენილი თანხა — 69,9 მილიონი ევრო გადაუხადა კრედიტორებს. ალექსის ციპრასმა სწორედ ამ მაგალითზე დაყრდნობით სთხოვა კრედიტორებს ვალის რესტრუქტურიზაცია და ნახევრის მიტევება. **პარადოქსია, მაგრამ სწორედ გერმანიამ გაუწია ამას წინააღმდეგობა.**

**რატომ გამწვავდა ასე საბერძნეთის ვალების საკითხი?**

რეფერენდუმის ჩატარებისთანავე საფრანგეთის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ **ევროკავშირის 320-მილიარდიანი დახმარებიდან საბერძნეთამდე 10%-იც არ ჩასულა – ყველაფერი გერმანულ კრედიტორ ბანკებს გადაერიცხათ. „ევროკავშირი ბერძნებს კი არ უნდა ლანძღავდეს, გამოძიებას უნდა იწყებდეს გერმანული ბანკების წინააღმდეგ“, — განაცხადა მან.**

იმავეს ამბობდა ჯერ კიდევ რეფერენდუმამდე ნობელის პრემიის ლაურეატი **ჯოზეფ სტიგლიცი: „მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთი განუხრელად ასრულებდა კრედიტორთა რეკომენდაციებს, რეცესია არ შეჩერებულა, ხოლო უმუშევრობამ ახალგაზრდებში 60%-ს მიაღწია... „სამეულის“ (ევროკომისია, ევროპის ცენტრალური ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი) მიერ 5 წლის წინათ საბერძნეთისთვის თავს მოხვეულმა ეკონომიკურმა პროგრამამ ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტი 25%-ით შეამცირა... ფული, რომელსაც ევროპა გამოყოფს, საბერძნეთის ეკონომიკამდე არ მიდის. პრაქტიკულად, ყველაფერი ბანკების კრედიტების დაფარვას ხმარდება. ამგვარად, ბერძნებისთვის ფულის გამოყოფით ევროკავშირი, პირველ რიგში, საკუთარ საბანკო სისტემაზე ზრუნავს...** ევროზონის პროექტი კი არასდროს ყოფილა დემოკრატიული. ევროპაში ბევრს არ მოსწონს ციპრასის მემარცხენე მთავრობა და მისი დამხობა სურთ, მიხედავად იმისა, რომ იგი დემოკრატიულად არის არჩეული... რეფერენდუმზე „არას“ თქმა ძლიერი დემოკრატიული ტრადიციების მქონე საბერძნეთს აძლევს შანსს, რომ საკუთარი ბედი თვითონ გადაწყვიტოს“.

ყველაფერს ისიც ემატება, რომ საბერძნეთი ნატოს წევრიცაა, რომელიც მან ერთხელ უკვე დატოვა 1974 წელს. **ევროზონიდან მისი გაძევება ნატოშიც გამოიწვევს რყევებს. ამიტომაც არის, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ევროკავშირისა და საბერძნეთის ლიდერებს კომპრომისისკენ მოუწოდებენ.** თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის — **ჯოშ ერნესტის** განცხადებით, „ათენი და ბრიუსელი უნდა მივიდნენ შეთანხმებამდე რეფორმების პროგრამისა და დაფინანსების შესახებ, რომლებიც საშუალებას მისცემს საბერძნეთს, ვალის ეკონომიკური მისაღებობის, შემდეგ კი ეკონომიკის ზრდის გზაზე გავიდეს. მხარეებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა საბერძნეთი ევროზონაში დარჩეს“.

საყურადღებოა, რომ **ამ განცხადებას იმ სახელმწიფოს წარმომადგენელი აკეთებს, რომლის საგარეო ვალიც დღეს 15 ტრილიონ დოლარს აჭარბებს, თუმცა რა ქნას ამერიკამაც – საკუთარ თავს ხომ არ დასჯის?! ნათქვამია, ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგის — კაკალიც არაო. ზუსტად ასე დაემართა საბერძნეთს — მისი 320-მილიარდი ვალი აშშ-ის 15-ტრილიონ ვალზე უფრო მეტად „აჩხრიალდა“!**

საბერძნეთის ფინანსთა მინისტრმა **იანის ვარუფაკისმა** გადადგომამდე განაცხადა, რომ ევროპელი კრედიტორების ულტიმატუმი მიზნად საბერძნეთის დასჯას ისახავდა: **„მათ თავიდანვე ჰქონდათ დაგეგმილი ჩვენი ბანკების დახურვა, რათა ორ ფრონტზე დავემარცხებინეთ. ჩვენი დასჯა უნდათ იმისთვის, რომ ვაკრიტიკებდით მათ პროგრამებს. ეს იყო მათ მიერ 25 მაისს გამოცხადებული ულტიმატუმის მიზანი.** ჩვენ გავუწვდით თანამშრომლობის ხელს პარტნიორებს, რათა გამოვნახოთ მათთან საერთო ენა. მივესალმები საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშს, რომელშიც ნათქვამია, რომ საბერძნეთის ვალები რესტრუქტურიზაციას საჭიროებს“.

რეფერენდუმის შედეგებით გაცეცხლებული ▶

**ხუთივე მოსამართლე, რომლებმაც „პედერასტიის ზეობას“ მისცეს ხმა, მოსამართლის მანტიაში „გაეხვია“ სხვადასხვა წლებში, აშშ-ის სხვადასხვა პრეზიდენტის წყალობით.**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ანგელა მერკელი სასწრაფოდ გაფრინდა პარიზში და **ფრანსუა ოლანდთან** ერთად მოუწოდა საბერძნეთის მთავრობას, წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები. არადა, მისი წინადადება უკვე ცნობილია — ვალების ნახევრის ჩამოწერა და რესტრუქტურიზაცია! სადაც **საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკია, იქ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებიც პირველ ადგილზეა და, თუ გერმანელმა კრედიტორებმა იხეირეს საბერძნეთზე, მოგებას არც ისინი შეელევიან. ევროპა იძულებულია, ამერიკული ინტერესები გაატაროს და ეს ინტერესები, სხვასთან ერთად, ევროკავშირის შენარჩუნება, პოლიტიკური პროცესისა და ფინანსური ნაკადების კონტროლია. ამ კონტროლს სულ უფრო ხშირად აპროტესტებენ არა მხოლოდ ბერძნები, არამედ ფრანგებიც და გერმანელებიც.**

ქართველებისთვის კარგად ნაცნობი გერმანელი პოლიტიკოსი **ოსკარ ლაფონტენი** ახლახან ისე გამოვიდა წყობიდან, რომ პირდაპირ და მოურიდებლად დაესხა თავს ამერიკელ პარტნიორებს: **„აშშ-ის თავდაცვის მინისტრი, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამხედრო მინისტრი, ბერლინში იმყოფება. მან ევროპას მოუწოდა, წინ აღუდგეს რუსეთის „აგრესიას“. სინამდვილეში კი ევროპა ამერიკულ აგრესიას უნდა შეეწინააღმდეგოს.**

ამერიკული დიპლომატიის გროსმაისტერმა **ჯორჯ კენანმა** ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ყველაზე დიდ შეცდომად შეაფასა, რადგან ეს იყო გზა ახალი „ცივი ომისკენ“.

ამერიკელმა დიპლომატმა **ვიქტორია ნულანდმა** განაცხადა, ჩვენ 5 მილიარდი ევრო დავხარჯეთ უკრაინის დესტაბილიზაციისთვისო. მათ ცეცხლზე ნავთი დაასხეს და ევროპა ამის საფასურს ვაჭრობის შემცირებითა და სამუშაო ადგილების დაკარგვით იხდის. **ნულანდი ამბობს: „ევროკავშირის დედაც!“, ჩვენ გვჭირდება პოლიტიკა, რომელიც ომის გამჩაღებელ ამერიკულ იმპერიალიზმს შეაჩერებს.**

ამერიკული იმპერიალიზმის დედაც!”

ამ ისტორიიდან **ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, მოახერხებს თუ არა საქართველოს რომელიმე მთავრობა, ისწავლოს „არას“ თქმა? ჯერჯერობით მხოლოდ კონსტიტუციაში ოჯახის განმარტებაზე ვთანხმდებით, თუმცა, ვიდრე ოპოზიციად „ნაციონალური მოძრაობა“ იწოდება, ღარიბაშვილის ამ შესწორებას პარლამენტში დამტკიცება არ “ემუქრება”. მით უფრო, რომ ერთი სქესის პირთა ქორწინების „პატივისმცემლები“ საპარლამენტო უმრავლესობაშიც არიან. იმედია — თუ საქართველოს თავრობა ვერ ისწავლის „არას“ თქმას, მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე ისევ ხალხს მოუწევს თქვას – „არა“!**

# «პედერასტიის ზეობა», ანუ სამი დედაკაცი, რომლებმაც ააფორიაქეს მსოფლიო

**26 ივნისს „დემოკრატიის ციტადელის“ ადმინისტრაციის გარკვეული ზეწოლით აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მიიღო „ისტორიული“ გადაწყვეტილება: ერთი და იმავე სქესის წყვილებს აქვთ ერთმანეთზე დაქორწინების კონსტიტუციური უფლება ამერიკის ნებისმიერ შტატში!... ასევე შევიტყვეთ, რომ ამ სამარცხვინო გადაწყვეტილებას ცხრა მოსამართლიდან მხარი ხუთმა დაუჭირა. ეს ამბავი ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ბევრმა არ იცის, ვისი ხმა აღმოჩნდა გადამწყვეტი.**


ელენა კაგანი


რუთ გინსბურგი


სონია სოტომაიერი

ვინ დაიმსახურა ეშმაკის მხურვალე ტაში?

აი, ისინიც:

**ელენა კაგანი, რუთ გინსბურგი** და **სონია სოტომაიერი.** ამ ქალბატონების სახელები კი იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, მაგრამ ელენემ, რუთმა და სონიამ „იქუხეს“ 2013 წელს, როდესაც **ხმა მისცეს ქორწინების დაცვის კანონის გაუქმებას. არადა, ეს კანონი განმარტავდა ქორწინებას, როგორც მამაკაცისა და ქალის კავშირს.** ორი წლის წინათ ხსენებული კანონი მხოლოდ ნაწილობრივ გაუქმდა; კერძოდ, ანულირებული იქნა ქორწინების ცნება, სამაგიეროდ, თითოეულ შტატს დაუტოვეს უფლება, შედავებოდა ერთსქესიანთა ქორწინებებს. ყურადსაღებია, რომ **ხუთივე მოსამართლე, რომლებმაც „პედერასტიის ზეობას“ მისცეს ხმა, მოსამართლის მანტიაში „გაეხვია“ სხვადასხვა წლებში, აშშ-ის სხვადასხვა პრეზიდენტის წყალობით...**

**ელენა კაგანი,** ვიდრე თავის სავარძელს უზენაეს სასამართლოში დაიმკვიდრებდა (2010 წელი), მუშაობდა ბარაკ ობამას იურიდიულ კონსულტანტად და, ბუნებრივია, პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის წევრი იყო. მანამდე კი კაგანმა დაამთავრა სამი პრესტიჟული უნივერსიტეტი — პრინსტონის, ოქსფორდისა და ჰარვარდის, და დღეს ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო იურისტად. ამას გარდა, ქალბატონი ელენა ლიბერალია და თავდაუზოგავად ებრძვის ყველაფერ ბუნებრივს, ტრადიციულს. როდესაც ეს ქალბატონი ხელმძღვანელობდა ჰარვარდის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, უცერემონიოდ გააძევა სამხედრო უწყების წარმომადგენლები, რომლებიც კაგანის „სამფლობელოს“, სტუდენტებიდან მომავალი სამხედრო იურისტების ასარჩევად ეწვივნენ. რამ გამოიწვია დეკანის რისხვა? თურმე დისკრიმინაციამ — **პენტაგონში ოფიციალურად არ სწყალობდნენ ე.წ. სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს, რომლებიც არც ისე მცირერიცხოვანნი იყვნენ ჰარვარდის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე!..** საინტერესოა, რომ ელენა კაგანის არაკეთილმოსურნეები მას „უფრო პოლიტიკურ აქტივისტად თვლიან, ვიდრე იურისტად“.

მეორე „გმირი“ — 80 წლის **რუთ გინსბურგი** უზენაესი სასამართლოს ძველი მკვიდრია. ამ დაწესებულებაში მას 1993 წელს თავი ამოაყოფინა პრეზიდენტმა **ბილ კლინტონმა.** ქალბატონი რუთი პირველი ებრაელი ქალია, რომელიც ასეთ მაღალ თანამდებობას ეღირსა. ჟურნალმა „ფორბსმა“ 2009 წელს მსოფლიოში „ას ყველაზე გავლენიან ქალთა“ შორის რუთ გინსბურგი 48-ე ადგილზე მოათავსა.

თუმცა ამ სამეულიდან **სონია სოტომაიერია** ყველაზე გავლენიანი და პოპულარული. იმავე „ფორბსმა“ 2010 წელს „ას ყველაზე გავლენიან ქალთა“ სიაში სონია მე-19 ადგილზე დაასახელა და ეს, მიუხედავად იმისა, რომ სოტომაიერი უზენაეს სასამართლოში დაინიშნა ერთი წლით ადრე — 2009-ში. ეს ქალბატონი თვით პრეზიდენტ ბუში-უფროსის პროტეჟეა. ის მამა ბუშმა დანიშნა ნიუ იორკის ერთ-ერთი ოლქის მოსამართლედ. სოტომაიერი საკმაოდ მოქნილი არსება აღმოჩნდა; ემსახურებოდა, როგორც რესპუბლიკელებს, ასევე დემოკრატებს; ჯერ მოღვაწეობდა კლინტონის, შემდეგ თავის მწყალობლის შვილის — ბუში-უმცროსის ადმინისტრაციაში...

**ამ საშინელი კანონის მიღებაში გადამწყვეტი როლი ვითომდა სამმა ებრაელმა ქალმა ითამაშა, სინამდვილეში კი მათ უკან ანგლო-საქსების ე.წ. ისტებლიშმენტია, რომელსაც, ეტყობა, ძალიან სურს, გაიხსენოს XVI-XVII საუკუნეების «სახელოვანი» წარსული, როდესაც ინგლისის სამეფოში მეკობრეობა და მამათმავლობა ლამის პრესტიჟული «პროფესიები» იყო**

სამივე ზემოხსენებული ქალი ეროვნებით ებრაელია. ეს ფაქტი ზოგიერთს მისცემს საბაბს, დაუფიქრებლად დაადანაშაულოს ებრაელები ყველა იმ პრობლემაში, რომლებიც კი თავს დაატყდა XXI საუკუნის კაცობრიობას. ჩემი აზრით, ეს, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი ბრალდებაა. ებრაელი ერის ყველაზე მავნე ნაწილის — სიონისტების „სისუსტეებს“ — ვერცხლისმოყვარეობასა და მსოფლიოზე ბატონობის ოცნებას — ოსტატურად იყენებს დასავლური, უფრო ზუსტად, ანგლო-საქსური ელიტა, რომლისთვისაც ებრაელები უფრო მეტი ნაგავია, ვიდრე სხვა ერები. **ანგლო-საქსები, სიონისტების მეშვეობით იკმაყოფილებენ თავიანთ გეოპოლიტიკურ და ფინანსურ ინტერესებს.** დასავლურ ელიტას ებრაელები არ ირჩევენ და, აქედან გამომდინარე, ის არ არის დამოკიდებული ებრაელებზე. ანგლოსაქსები მსოფლიო ებრაელობას ფარულად იყენებენ. გავიხსენოთ თუნდაც ჰიტლერის აღზევება. ის ხელისუფლების სათავეში ინგლისელების მითითებით სიონისტებმა მოიყვანეს . საბოლოო ჯამში, მეორე მსოფლიო ომში ყველაზე ნაცემ-ნაბეგვი ისრაელის შვილები აღმოჩნდნენ — ფაშისტებმა 6 მილიონი ებრაელი გამოასალმეს სიცოცხლეს!.. ანგლო-საქსებმა კი ჯამში (ინგლისი-აშშ) მხოლოდ 750 ათასი თანამემამულის სისხლი გაიღეს... რა თქმა უნდა, დასავლეთის ელიტა ებრაელების გარკვეულ რაოდენობას აძლევს უფლებას, ცხოვრება კარგად მოიწყოს, სამაგიეროდ მათ სხვა ერების ზიზღს „უტოვებს“..

ახლაც **ამ საშინელი კანონის მიღებაში გადამწყვეტი როლი ვითომდა სამმა ებრაელმა ქალმა ითამაშა, სინამდვილეში კი მათ უკან ანგლო-საქსების ე.წ. ისტებლიშმენტია, რომელსაც, ეტყობა, ძალიან სურს, გაიხსენოს „სახელოვანი“ წარსული (XVI-XVII საუკუნეები), როდესაც ინგლისის სამეფოში მეკობრეობა და მამათმავლობა ლამის პრესტიჟული „პროფესიები“ იყო.**

**გიორგი კორძაძე**

## აზერბაიჯანმა სომხეთის ორი უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდო

**აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, სომხეთის შეიარაღებული ძალების უპილოტო თვითმფრინავებს აზერბაიჯანულმა მხარემ ცეცხლი მაშინ გაუხსნა, როდესაც ისინი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში აზერბაიჯანის არმიის პოზიციების თავზე გამოჩნდნენ. აზერბაიჯანელმა სამხედროებმა 2 უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს.** სომხეთის თავდაცვის სამინისტრო უარყოფს აზერბაიჯანული მხარის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უპილოტო თვითმფრინავების ჩამოგდებაზე.

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი 1988 წელს დაიწყო. აზერბაიჯანი მიიჩნევს, რომ მთიანი ყარაბაღი და შვიდი მიმდებარე რაიონი, აზერბაიჯანის 20% სომხეთის შეიარაღებულ ძალებს აქვს ოკუპირებული, ამას სომხეთი კატეგორიულად უარყოფს. 1994 წელს მხარეებმა ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს, რომელსაც ორივე მხარე არღვევს.

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართველებს ჩვენი ტრადიციები, ჩვენი კულტურა გვაქვს და პრემიერმინისტრმაც მკაფიოდ განაცხადა, რომ ოჯახი მხოლოდ ქალისა და კაცის კავშირია. ორი მამაკაცისთვის ქორწინების უფლების მინიჭება დაანგრევს მართლმადიდებლობას. რა თქმა უნდა, ჩვენ ამას მხარს არ დავუჭერთ. წარმოუდგენელია, ეს საქართველოში მოხდეს“.**

# ემხრობიან თუ არა პარლამენტარები ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას საქართველოში

**ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამიერიდან ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს ქვეყნის ყველა შტატში შეუძლიათ ოფიციალურად იქორწინონ. აშშ 21-ე ქვეყანაა, სადაც ჰომოსექსუალ წყვილებს ქორწინების უფლება აქვთ; პირველი ქვეყანა, რომელშიც 2001 წელს ერთსქესიანებმა პირველად იქორწინეს, ჰოლანდია იყო. არადა, 1990 წლამდე ჰომოსექსუალიზმი მსოფლიოში დაავადებად იყო აღიარებული, თუმცა მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ის დაავადებების სიიდან ამოიღო, დაიწყო ჰომოსექსუალიზმის, როგორც ჩვეულებრივი მოვლენის, მსოფლიოს მასშტაბით პროპაგანდა, რომელიც ერთი და იმავე სქესის პირებისთვის ქორწინებისა და ბავშვების აყვანის უფლების მინიჭებით დასრულდა.**

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის განაცხადებით, ერთი და იმავე სქესის წყვილებს ქორწინების უფლება სხვა ქვეყნებმაც უნდა მისცენ. ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტ ფრანს ტიმერანსის თქმით კი, გეიქორწინებები სრულიად ევროპაში უნდა იყოს ლეგალიზებული. მეტიც, ის სირცხვილს უწოდებს იმას, რომ ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობას ჯერ კიდევ არ დაუკანონებია მსგავსი ქორწინება. „ევროკომისია უნდა ეცადოს, ევროპაში გეიქორწინებების უპირობო დაკანონებას მიაღწიოს“, — განაცხადა ტიმერანსმა.

საყურადღებოა, რომ, მოსახლეობის საპროტესტო აქციების მიუხედავად, ევროპის რიგ ქვეყნებში ჰომოსექსუალ წყვილებს ქორწინება და შვილის აყვანის უფლება მაინც დაუკანონეს. მართალია, კანონმდებლობით საქართველოში ქორწინება ჯერ კიდევ ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106 მუხლი), მაგრამ, თუ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს გავაანალიზებთ და საქართველოზე აშშ-ისა და ევროკავშირის ზეგავლენასაც გავითვალისწინებთ, ,ალბათ, შორს აღარ არის დღე, როდესაც საქართველოც დადგება გადაწყვეტილების მიღების წინაშე — მისცეს თუ არა ერთი სქესის ქარმომადგენლებს ქორწინებისა და შვილების აყვანის უფლება და ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება სწორედ ქართველ კანონმდებლებს ექნებათ.

პირველი, ვინც მწვავე პოზიცია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გამოხატა, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მანანა კობახიძე იყო. „სულ რომ მარტონი დავრჩეთ ამ დედამიწაზე, ყველა ჩვენმა მეგობარმა, პარტნიორმა თუ მოკავშირემ რომ ზურგი გვაქციოს, მე მაინც ვიტყვი, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება დიდი შეცდომაა, ხელისუფლების მხრიდან დაშვებული შეცდომა, თორემ სხვა დანარჩენ კატეგორიებზე, როგორიცაა ზნეობა, მორალი და ა.შ. ჩემზე უფრო ზნეობრივები და მორალურები ილაპარაკებენ, მე მხოლოდ სახელმწიფოზე ვამბობ, კანონმდებლებზე... დღეს ლამის ერთიანად გაცისარტყელდა facebook-ი, ტაში შემოკრეს ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო. რა ვქნა, თუ მე ვერ შევუერთდი ამ „სიხარულს“, მაპატიეთ, ვიცი გამკიცხავთ ზოგიერთები, კრიტიკას არ დაიშურებთ, შეიძლება ქარ-ცეცხლშიც გამატაროთ, მაგრამ, ალბათ, აზრის თავისუფლება ის უფლებაა, რომელიც მაინც მრჩება, როგორც საჯარო პირს. თქვენი ნებააა, მაკრიტიკეთ, ოღონდ ადამიანების სიძულვილს, შეუწყნარებლობას, დისკრიმინაციას და, რაც მთავარია, რუსეთუმეობას და ამის მსგავსებს ნუ დამაბრალებთ!“ — წერს მანანა კობახიძე.

მკაფიო პოზიცია საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ და საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც გამოხატეს. საქართველოს პატრიარქმა აშშ-ის ხელისუფლების გადაწყვეტილებას შეცდომა უწოდა. თუმცა პოლიტიკოსებს შორის ჰომოსექსუალთა ქორწინების მხარდამჭერებიც გამოჩნდნენ. მაგალითად, პარლამენტარმა თამარ კორძაიამ ლგბტ პირების ქორწინების დაკანონება ადამიანის უფლებების სფეროში წინ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა. მისი განცხადებით, „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის არგუმენტები, რომლებიც სასამართლომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა, რათა ეს პრაქტიკა საქართველოს მსგავს ქვეყნებში სათანადოდ გაიაზრონ“.

შევეცადეთ, გაგვერკვია, როგორ აფასებენ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების გადაწყვეტილებას ქართველი პარლამენტარები და დაუჭერენ თუ არა მხარს საქართველოში ერთსქესიან წყვილებს შორის ქორწინებას. ჩვენ მიერ გამოკითხული რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოში ლგბტ პირებს შორის ქორწინების წინააღმდეგია, თუმცა რამდენიმე მათგანმა, მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, პირდაპირ პასუხს, დაუჭერს თუ არა მხარს საქართველოში ერთი სქესის ადამიანების ქორწინებას, თავი აარიდა და განაცხადა, რომ დღეს საქართველო გაცილებით დიდი პრობლემების წინაშეა.

„საქართველო და მსოფლიო“ საქართველოს პარლამენტის წევრებს ესაუბრა.



**სოსო ჯაჭვლიანი:**

— ამ საკითხისადმი ჩემი დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ჰომოსექსუალებს შორის ქორწინების დაკანონება ჩემთვის და ჩემი ქვეყნისთვის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი იქნება. ისე, საინტერესოა, **როდესაც ეს უფლებადამცველები ლგბტ პირების უფლებებზე საუბრობენ, ბავშვების უფლებები რატომ ავიწყდებათ. იმ ბავშვის უფლებებზე რატომ არავინ ფიქრობს, ეს წყვილები რომ იშვილებენ? ბავშვის უფლებები არ ირღვევა, დედას რომ ჯემალი ჰქვია და მამას მანანა?!** ასე რომ, როდესაც საკუთარ უფლებებს იცავ, სხვისი უფლება არ უნდა დაარღვიო. **ეს ადამიანები უკვე ჩემი და ჩემი ოჯახის უფლებებს არღვევენ, რადგან იმის მიღებას მაიძულებენ, რაც ჩემთვის მიუღებელია. მე ხომ არავის ვაძალებ, რომ გინდა თუ არა, უნდა გიყვარდე და ზუსტად ისე მოიქეცი, როგორც მე ვიქცევი-მეთქი და მე რატომ მაძალებენ?!**

ამას გარდა, როდესაც ადამიანის უფლებებზე გველაპარაკებიან, ყველამ იცოდეს, რომ **საქართველოში ჰომოსექსუალები ყოველთვის იყვნენ, მაგრამ მათ არავინ ჩაგრავდა და არაფერს უშავებდა.** უამრავ მაგალითს ჩამოგითვლით, ხელოვნების თუ სხვა სფეროში წარმატებული ასეთი ადამიანებისა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში თავს მშვენივრად გრძნობდნენ. მხოლოდ **სერგო ფარაჯანოვისა** და მსოფლიო დონის ვარსკვლავის — **ვახტანგ ჭაბუკიანის** მაგალითი იქნება საკმარისი. ფარაჯანოვი, როდესაც ის ციხიდან გაათავისუფლეს, არც ერთმა იმ ქვეყანამ არ მიიღო, ახლა ნოტაციებს რომ გვიკითხავს, ხოლო რეზო ჩხეიძემ საქართველოში ჩამოიყვანა და ფილმები გადააღებინა. **ქვეყანაში, ახლა რომ ჰომოსექსუალთა ქორწინებას აკანონებს და ჭკუას გვასწავლის, ავტობუსში ფერადკანიანების გვერდით დღემდე არ სხდებიან, საფრანგეთში 70-80-იან წლებამდე გილიოტინაზე კვეთდნენ თავს, დღემდე აშშ-ის ზოგიერთ შტატში სიკვდილით დასჯის კანონი არ გაუქმებულა და ახლა ჩვენ გვასწავლიან, რომ თურმე ტოლერანტულები უნდა ვიყოთ!**

ამიტომ აშშ-ის ხელისუფლებას ასე ვეტყოდი: **ხომ არ სჯობდა, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სიკვდილით დასჯა გაგეუქმებინათ?** ქართველი ერი ნებისმიერი რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობის მიმართ ტოლერანტულია. ასე რომ, მშვიდობაში მოახმაროს მსოფლიოს ერთსქესიანთა ქორწინება, მაგრამ საქართველოში თუ საკითხი წამოიჭრა კი არა, უბრალოდ, საუბარიც დაიწყო ამ თემაზე, ჩემი განწყობა, რა თქმა უნდა, უარყოფითი იქნება.



**გიორგი ცაგარეიშვილი:**

— ამერიკის შეერთებული შტატები დამოუკიდებელი ქვეყანაა და მას აქვს უფლება, ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს.

**— თუ ეს საკითხი საქართველოს არ ეხება, როგორ ფიქრობთ, რატომ შეშფოთდა საქართველოს მოსახლეობა?**

— ეს შეშფოთება და აღშფოთებაც ბუნებრივია, რადგან ამგვარი ცხოვრების წესი ჩვენთვის მიუღებელია, **ეს ჩვენში არ არის დამკვიდრებული და ღმერთმა არ ქნას, ოდესმე დამკვიდრდეს. აქედან გამომდინარე, მე მესმის ხალხის აღშფოთება.**

ამას გარდა, ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი მეგობარი ქვეყანაა და მას დიდი ზეგავლენა აქვს არა მხოლოდ რეგიონზე, არამედ მსოფლიოზე და, მით უმეტეს, საქართველოზე, ამიტომ ვნებათაღელვა ამანაც გამოიწვია. ბუნებრივია, ვშფოთავთ, როდესაც ჩვენი მოკავშირე ქვეყანა ამგვარ გადაწყვეტილებას იღებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ **აშშ-ს აქვს უფლება, როგორც საჭიროდ მიიჩნევს, ისე მოიქცეს, ისევე, როგორც საქართველოს აქვს უფლება, ამგვარი ღირებულებები არ გაიზიაროს, ვინაიდან ეს ჩვენს მენტალობას, ხასიათს, მორალს, ცხოვრების წესს არ შეესაბამება.** არ მინდა, ვინმეს მორალი კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენო ან უარყოფითად შევაფასო, მაგრამ მაინც მგონია, რომ საქართველო შორს არის ქცევის ასეთი წესისგან და ეს საზოგადოებას ხელოვნურად არ უნდა მოახვიო თავს. როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატები მომწიფდა ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად და, ღმერთმა არ ქნას, საქართველო ოდესმე ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდეს. ქართული ხასიათისთვის ეს აბსოლუტურად შეუსაბამოა. ჩემი პოზიცია ამ საკითხზე ყოველთვის უარყოფითი იქნება.

**— თუმცა თქვით, რომ აშშ-ის დიდი გავლენა აქვს საქართველოზე. როგორ შეძლებს საქართველო, ამ ყველაფერს წინ აღუდგეს?**

— შემიძლია, უახლოესი წარსულიდან ხორვატიის მაგალითი გავიხსენო, რომელმაც ევროკავშირში მიღების წინ რეფერენდუმი ჩაატარა და ხორვატიის კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში მკაფიოდ აღნიშნა, რომ ოჯახი მხოლოდ ქალისა და კაცის კავშირია. ასე რომ, **თუ მტკიცედ დავდგებით, ვიტყვით, რომ ამგვარი ქცევა შეუსაბამოა ჩვენი ცხოვრების წესისთვის, თავს ძალით ვერაფერს მოგვახვევენ.** ვთქვათ მტკიცედ, რომ ის, რაც აშშ-სა თუ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ხდება, საქართველოში არ მოხდება.

თუმცა უნდა აღვნიშნო, ჩემი ეს პოზიცია არ ნიშნავს, რომ სექსუალურ უმცირესობათა უფლებები უნდა დავარღვიოთ, ვცემოთ და შეურაცხვყოთ, კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ოჯახში არავინ არავის არ უნდა შეეჭრას.



**ვიქტორ დოლიძე:**

— „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ჩვენი პოზიცია მკაფიოდ ჩამოვაყალიბეთ. მიგვაჩნია, რომ ლგბტ პირები ავადმყოფები არ არიან და მათი დისკრიმინაცია ყოვლად მიუღებელია, სწორედ ამიტომ ანტიდისკრიმინაციულ კანონ-

**«ეს ყველა მიმართულებით ძალიან დიდი საფრთხეა. როგორ შეიძლება, ერთსქესიანთა ქორწინება დაუშვა ადამიანმა, მე ამის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. ბავშვის აყვანის უფლება როგორ უნდა ჰქონდეთ ამ ადამიანებს, როგორ შეიძლება ბავშვს მამა ქალი ჰყავდეს, ხოლო დედა —კაცი?! ეს ხომ ბავშვის უფლებების დარღვევაა»**

**„არ მაინტერესებს, რა განაცხადა ჯონ კერიმ; მაინტერესებს, რა თქვა ჩვენმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ვეთანხმები მის მოსაზრებას, რომ ოჯახი არის ქალისა და კაცის კავშირი. შეიძლება გამონაკლისიც იყოს, ვისაც ადამიანის თავისუფლება სხვაგვარად ესმის, მაგრამ მე არ მიმაჩნია, რომ გარყვნილება თავისუფლებაა. ღმერთმა ქალი და კაცი გააჩინა და, თუ ღმერთს უარყოფთ, არ ვიცი“.**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქვეყნანაში, ახლა რომ ჰომოსექსუალთა ქორწინებას აკანონებს და ჭკუას გვასწავლის, ავტობუსში ფერადკანიანების გვერდით დღემდე არ სხდებიან, საფრანგეთში 70-80-იან წლებამდე გილიოტინაზე კვეთდნენ თავს, დღემდე აშშ-ის ზოგიერთ შტატში სიკვდილით დასჯის კანონი არ გაუქმებულა და ახლა ჩვენ გვასწავლიან, რომ თურმე ტოლერანტულები უნდა ვიყოთ!»

საც მხარი დავუჭირეთ, მაგრამ, რაც შეეხება ქორწინების საკითხს, ვფიქრობთ, რომ **ქორწინება მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის არის შესაძლებელი.**

**— აშშ სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის განცხადებით, აშშ-ს მსოფლიოს ყველა ქვეყანამ უნდა მიბაძოს და ერთი და იმავე სქესის წყვილებს ქორწინების უფლება ყველგან უნდა ჰქონდეთ...**

— თუ კაცები დაქორწინდებიან, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ კომბლებით დავედევნებით, მაგრამ ქორწინება მისაღებია მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის.

**— და მაინც, უახლოეს მომავალში, საქართველოში რომ წამოიჭრას ეს საკითხი, დაუჭერთ მხარს ერთსქესიანთა ქორწინებას?**

— მე მხარს **არ დავუჭერ**. ეს არ არის არც ირაკლი ალასანიას, არც ჩვენი პარტიის განცხადება, ეს ჩემი პირადი პოზიციაა. **ჩემთვის ქორწინება მხოლოდ ქალისა და კაცის კავშირია.**



**მიხეილ მაჭავარიანი:**

— ჩვენ ეს პრობლემა დღეს არ გვაქვს და აშშ-ის ხელისუფლების გადაწყვეტილება რატომ უნდა შევაფასო? ვფიქრობ, ჩემი შესაფასებელი არ არის.

**— თუ ეს საკითხი არ ეხება საქართველოს, როგორ ფიქრობთ, რატომ გამოიწვია აშშ-ის ხელისუფლების გადაწყვეტილებამ ჩვენი საზოგადოების შეშფოთება?**

— ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ დღეს ეს პრობლემა გვაქვს. აშშ-ში რას იზამენ, მათი გადასაწყვეტია და იქაც არის ზოგიერთი შტატი, რომელიც ხელისუფლების გადაწყვეტილებას არ იზიარებს და არ მიმაჩნია, რომ ახლა ეს ის პრობლემაა, რომელზეც მე უნდა ვისაუბრო.

**— საქართველოში დღის წესრიგში რომ დადგეს ეს საკითხი, თქვენ მხარს დაუჭერთ ერთსქესიანთა ქორწინებას?**

— ახლა არ დგას ეს საკითხი საქართველოს წინაშე. დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშეა ის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლამ შეუქმნა ქვეყნის მოქალაქეებს. ქვეყანაში უმუშევრობაა, კრიმინალი, მაღალი ფასები, ეს საკითხები უფრო მაღელვებს.

**— ამ საკითხებსაც ვაშუქებთ, მაგრამ, თუ მოვლენებს გავაანალიზებთ, შესაძლოა, შორს აღარ იყოს ის დღე, როცა საქართველოც დადგება არჩევანის წინაშე. ამ საკითხზე პოზიცია ხომ გაქვთ?**

— არა, საქართველოში ეს საკითხი ნამდვილად არ წამოიჭრება. ყოველ შემთხვევაში, უახლოეს პერსპექტივაში ამას ვერ ვხედავ. ჩვენს ქვეყანაში მთავრობის უნიათობა და არაეფექტიანობა უფრო პრობლემაა, ვიდრე ის, აშშ-ში რა გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ. აღნიშნული საკითხი აშშ-ის შიდა პოლიტიკური პრობლემაა და არ მიმაჩნია, რომ ამაზე კომენტარი უნდა გავაკეთო.



**ზურაბ აბაშიძე:**

— სხვა სახელმწიფო რას გადაწყვეტს ან როგორ მოიქცევა, ეს მისი სუვერენული უფლებაა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ქორწინება მხოლოდ ქალსა და კაცს შორის არის შესაძლებელი.

**— საქართველოც რომ აღმოჩნდეს არჩევანის წინაშე, როგორი იქნება თქვენი პოზიცია?**

— მჯერა, რომ ქორწინება მხოლოდ ქალის და მამაკაცის კავშირია და შესაბამისად, რა თქმა უნდა, მხარს არ დავუჭერ.



**გოგი თოფაძე:**

— ქართველებს ჩვენი ტრადიციები, ჩვენი კულტურა გვაქვს და პრემიერმინისტრმაც მკაფიოდ განაცხადა, რომ ოჯახი მხოლოდ ქალისა და კაცის კავშირია. ორი მამაკაცისთვის ქორწინების უფლების მინიჭება დაანგრევს მართლმადიდებლობას. რა თქმა უნდა, ჩვენ ამას მხარს არ დავუჭერთ. წარმოუდგენელია, ეს საქართველოში მოხდეს.

სხვათა შორის, როგორც ვიცი, სწორედ აშშ-ის ხელისუფლების ამ გადაწყვეტილების გამო, ტეხასის შტატი ამერიკის შეერთებული შტატებიდან გასვლით იმუქრება. ევროპის იმ ქვეყნებში კი, რომლებშიც ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონეს, ხალხი ძალიან აღშფოთებულია. მე ნამდვილად წინააღმდეგი ვიქნები, საქართველოში ჰომოსექსუალებმა იქორწინონ. არ შეიძლება, ჩვენი ტრადიციების მქონე ქვეყანაში ეს დაკანონდეს. მე და ჩემი თანაგუნდელები უარს ვიტყვით.

**— ამერიკაც და ევროპაც ჩვენი პარტნიორები არიან და არ ფიქრობთ, რომ ხვალ და ზეგ ეს საკითხი დღის წესრიგში შეიძლება დადგეს?**

— არა მგონია. თუ ევროკავშირისკენ გვაქვს გეზი აღებული, ცხოვრების ამგვარი წესი ევროპაშიც ბევრისთვის არის მიუღებელი და ბევრმა ქვეყანამ თავადაც არ მიანიჭა ჰომოსექსუალებს ქორწინების უფლება. აშშ დღეს, ფაქტობრივად, მსოფლიო პოლიტიკას წარმართავს, მაგრამ საქართველოსთვის ეს ყოველთვის მიუღებელი იქნება.



**ზურაბ ტყემალაძე:**

— ამერიკის შეერთებული შტატები თავის ქვეყანაში გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, თავად იღებს, მაგრამ საქართველოში მსგავსი ცხოვრების წესის დაკანონება ყოვლად მიუღებელია. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილებას ერთი სქესის პირებს შორის ქორწინების თაობაზე მე მხარს არ დავუჭერ. არც მგონია, ეს საკითხი წარმოიჭრას, მაგრამ, ასეც რომ მოხდეს, ჩვენ ამას კატეგორიულად არ დავუშვებთ.

**ეს დალოცვილები რომ გაიძახიან, გენდერი დაიცავითო, მაინცდამაინც ცოლ-ქმარს შორის არ უნდათ გენდერის დაცვა? ან რომ აცხადებენ, კვოტები დავაწესოთ და მინისტრების ნახევარი ქალები იყვნენო — ეს არ არის მამაკაცების უფლებების შეზღუდვა?! ამაზე რატომ არავინ ფიქრობს?!**



**კარლო კოპალიანი:**

— ამ საკითხის მიმართ ჩემი პოზიცია, რა თქმა უნდა, უარყოფითია. ჩვენ ვართ დიდი ტრადიციების მქონე ერი და, ქვეყანა რომ გადაბრუნდეს, ჩვენთან მსგავსი ქორწინება არ დაკანონდება. ეს გენეტიკაში გვაქვს. რა თქმა უნდა, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ.

**— თუმცა, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ყველა ქვეყანაში უნდა ჰქონდეთ ერთი და იმავე სქესის წყვილებს ქორწინების უფლება.**

— არ მაინტერესებს, რა განაცხადა ჯონ კერიმ, მაინტერესებს, რა თქვა ჩვენმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ვეთანხმები მის მოსაზრებას, რომ ოჯახი არის ქალისა და კაცის კავშირი. შეიძლება გამონაკლისიც იყოს, ვისაც ადამიანის თავისუფლება სხვაგვარად ესმის, მაგრამ მე არ მიმაჩნია, რომ გარყვნილება თავისუფლებაა. ღმერთმა ქალი და კაცი გააჩინა და, თუ ღმერთს უარყოფთ, არ ვიცი.

მართალია, ევროპის ბევრ ქვეყანაში მიანიჭეს ლგბტ პირებს ქორწინების უფლებება, მაგრამ, ვინაიდან აშშ დომინანტი ქვეყანაა, ბუნებრივია, ამ გადაწყვეტილებამ რეზონანსი გამოიწვია.



**დავით დარჩიაშვილი:**

— მიმაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ ადამიანებს ქორწინების უფლება კი არ მიანიჭა, არამედ მიიჩნია, რომ მათთვის ამის აკრძალვა აშშ-ის კონსტიტუციის შესაფერისი არ იყო.

**— თუმცა ფაქტია, ჰომოსექსუალ წყვილებს ოფიციალური ქორწინება აქამდე აკრძალული ჰქონდათ...**

— მათ ჩათვალეს, რომ აშშ-ის კონსტიტუციიდან გამომდინარე, ასეთი აკრძალვა არ არის მათი კონსტიტუციის სულისკვეთების შესაბამისი.

**— როგორია თქვენი პოზიცია — ეთანხმებით ჰომოსექსუალი წყვილებისთვის ქორწინების უფლების მინიჭებას?**

— ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ქორწინება არ არის მართებული სიტყვა. აქ საუბარია სამოქალაქო რეგისტრაციაზე და, ვისაც როგორ უნდა, ისე დარეგისტრირდეს.

**— აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ჰომოსექსუალებს ქორწინების უფლება ყველა ქვეყანაში უნდა ჰქონდეთ. საქართველოც რომ დადგეს არჩევანის წინაშე, როგორი იქნება თქვენი პოზიცია?**

— დღეს ჩემთვის მთავარი საკითხი, რომელიც ქვეყანაში დგას, რუსეთის აგრესიული პოლიტიკაა და, ერთსქესიანთა ქორწინებაზე აქცენტირება მხოლოდ პუტინის წისქვილზე ასხამს წყალს.

**— მაგრამ, ბატონო დავით, ახლა ამ კონკრეტულ საკითხზე ვსაუბრობთ. თქვენ თუ დაუჭერდით მხარს ამ გადაწყვეტილებას?**

— კიდევ ვიმეორებ, რომ აქცენტი იმ საკითხებზე, რომლებიც პუტინის წისქვილზე ასხამს წყალს, არ არის მიზანშეწონილი. უბედურება სწორედ რუსეთიდან მოდის, რომელიც მართლმადიდებლობით მანიპულირებს.

**— თუმცა ჩვენმა პატრიარქმაც შეცდომა უწოდა ამ გადაწყვეტილებას...**

— მგონი, გასაგებად გიპასუხეთ, რომ, ჩემი აზრით, საქართველოსთვის საფრთხე რუსეთიდან მოდის და არა — დასავლეთიდან. ჩემი პირადი არჩევანია, ადამიანის უფლებები... ისე, ნათქვამია: „ვის მღვდელი მოსწონს და ვის — მღვდლის ცოლიო“.



**შოთა ხაბარელი:**

— ჩვენ ცხოვრების ასეთი წესის დასაკანონებლად ჯერ მზად არ ვართ და მე, პირადად უარყოფითად ვაფასებ აშშ-ის ხელისუფლების გადაწყვეტილებას.

**— არ ფიქრობთ, უახლოეს მომავალში, საქართველოშიც შეიძლება დადგეს ეს საკითხი დღის წესრიგში?**

— ვფიქრობ, ეს საკითხი საქართველოში დღის წესრიგში არ დადგება და, თუ მაინც ასე მოხდა, ერთსქესიანი წყვილების ქორწინებას მხარს არ დავუჭერ.

**— რა საფრთხეს ხედავთ, თუ საქართველოში ერთი სქესის ადამიანთა შორის ქორწინება დაკანონდება?**

— რას ჰქვია, რა საფრთხეს ვხედავ, ეს ყველა მიმართულებით ძალიან დიდი საფრთხეა! როგორ შეიძლება, ერთსქესიანთა ქორწინება დაუშვა ადამიანმა, მე ამის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. ბავშვის აყვანის უფლება როგორ უნდა ჰქონდეთ ამ ადამიანებს?! როგორ შეიძლება, ბავშვს მამა ქალი ჰყავდეს, ხოლო დედა — კაცი?! ეს ხომ ბავშვის უფლებების დარღვევაა!

**მოამზადა შორენა ცივქარაშვილმა**


The Washington Post
Spurned by the West, Georgians look to Russia despite past quarrels

## Washington Post-ი: რუსეთი გაბატონებას გააგრძელებს, თუ დასავლური კლუბების კარს საქართველოს დაუხურავენ

**მიუხედავად წარსული უთანხმოებისა რუსეთთან, ქართველები თავიანთ ორბიტაზე ბრუნდებიან, — ამ სათაურით აქვეყნებს Washington Post-ი სტატიას საქართველოს შესახებ.**

ავტორი საქართველოში რუსული განწყობების ზრდაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ლიდერების თქმით, რუსეთმა, შესაძლოა, გაბატონება გააგრძელოს, თუ დასავლური კლუბების კარებს საქართველოს დაუხურავენ.

„რუსეთმა საქართველოში გაზარდა წარმომადგენლობა სახელმწიფო ახალი ამბების სააგენტოს ქართულენოვანი ბიუროს გახსნით, ენერგოსექტორსა და სხვა წამყვან სექტორებში ინვესტიციების გაღრმავებით. მსგავსი ქმედებები შეინიშნება სხვა ყოფილი „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებშიც, რომლებიც რუსეთსა და დასავლეთს შორისაა მოქცეული“, — აღნიშნულია სტატიაში.

მასალაში ასევე მოყვანილია გიორგი მარგველაშვილის კომენტარიც, საქართველოს პრეზიდენტი ამბობს, რომ „სტაბილურობა და უსაფრთხოება ვერ შენარჩუნდება რუსეთის პარადიგმით, რომელიც სხვა ქვეყნებზე განსაკუთრებული უფლებების ფლობას გულისხმობს. რუსეთი მუშაობს საკმაოდ აქტიურად არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში გავლენის გასაფართოებლად“.

სტატიის ავტორი დაახლოებით ერთი თვის წინათ გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის შესახებაც საუბრობს და წერს, რომ ევროპელმა ლიდერებმა საქართველოს მოქალაქეებს უვიზო რეჟიმზე უარი უთხრეს, რამაც საქართველოს ლიდერების იმედგაცრუება გამოიწვია.

სტატიაში მოყვანილია ბარაკ ობამას კომენტარიც: „არც უკრაინა და არც საქართველო არ დგანან ნატოს წევრობის გზაზე. ამ ეტაპზე ნატოს გაფართოების შესახებ გეგმა არ არსებობს“.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქრისტიანულ ფესვებზე აღმოცენებული დასავლური ცივილიზაცია გასული საუკუნის 60-ანი წლებიდან მოყოლებული ისე გარყვნეს და გაათახსირეს, რომ მივიღეთ ყოველგვარი იდეალებისგან, ზნეობისგან, ანუ ღმერთისგან თავისუფალი დასავლელი ახალგაზრდობა, რომლისთვისაც ერთსქესიანი ქორწინებები, ინცესტი, პედოფილია და სხვა გარყვნილებანი, მომაკვდინებელი ცოდვა კი არა, ჩვეულებრივი ამბავია!**

# თეთრი სახლის ცისფერი არჩევანი, ანუ სატანის ზეობა დედამიწაზე

**ვაშინგტონში ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება, გნებავთ, დემოტრაკიის გამარჯვება თეთრი სახლის ლგბტ ფერებით შეღებვითა და ამ ფონზე ბებერი პედერასტების თვალცრემლიანი „ზასაობით“აღნიშნეს...**
**ერთი მაგათი დედაცო! — შეუკურთხებს მავანი და დამამუნათებს, — პოტომაკის ნაპირებზე, რაც უნდათ, ის ქნან, თუნდაც თავში ქვა იხალონ, ბოლოს და ბოლოს, ვაშინგტონამდე კარგა ხნით ადრე მსოფლიოს ოცზე მეტი სახელმწიფოს დედაქალაქში დააკანონეს ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებები და რაღა ამერიკაზე გავწყერით ქართველებიო?! ჰოდა, წინამდებარე წერილის მიზანიც ის არის, რომ მკითხველთან ერთად ვიმსჯელოთ, უკიდურესი შეშფოთება ან გულარხეინობა საფუძვლიანია თუ უსაფუძვლო ჩვენი „სტატეგიული მოკავშირე“ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონის მიმართ.**



**„ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, მოვთაფლავთ და გავხრწნით მათ. წინ წამოვწევთ მდაბიო გრძნობებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, თანდათან მოვუსპობთ მათ სოციალურ არსს. ხელოვანს ჩავუკლავთ მისწრაფებებს, გადავაჩვევთ შექმნან ღირსეული სახეები. ლიტერატურა, თეატრი, კინო ადამიანის ყველაზე მდაბიო გრძნობების ამსახველი და გამავრცელებელი იქნება. ჩვენ, ყველანი, მხარს დავუჭერთ და შევაქებთ სექსის, ძალადობის, სადიზმის, გამცემლობის კულტს,“** — ეს არის ამონარიდი ალენ დალესის საიდუმლო მოხსენებიდან, რომლითაც ის 1947 წელს წარსდგა აშშ-ის კონგრესის წინაშე, და რომლის სტენოგრამა მეორე დღესვე იდო სტალინის მაგიდაზე.

**გავიხსენოთ ვაშინგტონის „ძაღლიშვილი“ სააკაშვილის 9-წლიანი რეჟიმი:**

ცხვირმოუხოცავი, რიგ შემთხვევაში, საეჭვო სექსუალური ორიენტაციის მინისტრები თუ, საზოგადოდ, მაღალჩინოსნები; ამორალურობის, გარყვნილების მქადაგებელი მწერლები თუ პოეტები (ბულაძეები, ბურჭულაძე-დეისაძეები და ა.შ.), რომლებიც, მათ მიმართ საზოგადოების უდიდესი ნაწილის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, განებივრებულები არიან სხვადასხვა პრემიითა თუ გრანტებით; ე.წ. სატელევიზიო თოქშოუები, რომლებიც სულის წარმწყმედ ქვენა გრძნობებს პროპაგანდას უწევენ, რომელსაც ახალი ხელისუფლების პირობებშიც აგრძელებენ **კონჩიტა გაბუნიები**; მართლმადიდებელი დედაეკლესიის დისკრედიტაციის არცთუ წარუმატებელი მცდელობები; ქართველი ერის სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის არაერთგზის თავხედური შეურაცხყოფა; სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის მიერ ასობით ახალგაზრდის ქუჩაში დახვრეტა; ციხეებში მასობრივი ტერორი, პატიმართა წამება-გაუპატიურება; ე.წ. ჩაშვების ინსტიტუტის დაკანონება; 7 ნოემბერი, 26 მაისი და ა.შ. ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ურწმუნო თომებისთვისაც ცხადი გახდება, რომ ზემოთ ციტირებული „კეთილი ზრახვანი“, ე.წ. შეთქმულების თეორიების მოყვარულთა ავადმყოფური ფანტაზია კი არა, საქართველოში ალენ დალესის თეორიის („პადვინუტების“ ლექსიკით თუ ვიტყვით) იმპლემენტაციის სასტიკი რეალობაა.

და, მიუხედავად ყველაფრისა:

**„ჩვენ, ყველანი მხარს დავუჭერთ და შევაქებთ სექსის, ძალადობის, სადიზმის, გამცემლობის კულტს“...**

**აკი, უჭერდნენ და დღესაც მხარს უჭერენ საკუთარ „ძაღლიშვილსა“ და მის რეჟიმს!**

სხვა მრავალთაგან ერთი მიზეზი იოსებ სტალინის მიერ რკინის ფარდის დაშვებისა, ალბათ, ალენ დალესის დოქტრინაც იყო და, ვიდრე რკინის ფარდაში ჯერ ჭუჭრუტანები არ გაჩნდა და ბოლოს, ვიდრე ამერიკის გავლენის აგენტების (გორბაჩოვი და მისი რაზმი) მეცადინეობით ბერლინის კედელი და საბჭოთა კავშირიც არ დაინგრა, ყოფილი საბჭოეთის მოქალაქეთა „ობლიკო მორალე“-ს ძვრაც ვერ უყვეს!

სამაგიეროდ, **თავიანთ საზოგადოებას მიხედეს და ქრისტიანულ ფესვებზე აღმოცენებული დასავლური ცივილიზაცია გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ისე გარყვნეს და გაათახსირეს, რომ მივიღეთ ყოველგვარი იდეალებისგან, ზნეობისგან, ანუ ღმერთისგან თავისუფალი დასავლელი ახალგაზრდობა, რომლისთვისაც ერთსქესიანი ქორწინებები, ინცესტი, პედოფილია და სხვა გარყვნილებანი, მომაკვდინებელი ცოდვა კი არა, ჩვეულებრივი ამბავია!**

1992 წელს, როცა გაეროს სამედიცინო კომიტეტმა მამათმავლობა დაავადებათა სიიდან ამოიღო, დაიწყო ლგბტ-თა ტრიუმფალური სვლა მსოფლიოში და ვიდრე აშშ-მა არ დააკანონა ერთსქესიანთა ქორწინებები, შედარებით არხეინად ვიყავით, რადგან ერთია, როცა ამას ჰოლანდია ან ნორვეგია დააკანონებს და სხვა, როდესაც ამას მსოფლიო დემოკრატიის ლიდერობაზე პრეტენზიის მქონე ბირთვული ზესახელმწიფო აკეთებს. ლგბტ თემის ლიდერად მოგვევლინა აშშ, რომლის სახმდივანმა ჯონ კერიმ დანარჩენ მსოფლიოში პედერასტიის ექსპორტირების პირობა დადო, რომელსაც სატელიტ ევროკავშირში ადვილად შეძლებენ და, თუ ალენ დალესის დოქტრინის მნიშვნელოვანი ნაწილის ზემოთ ხსენებულ იმპლემენტაციას გავიხსენებთ, უდავოა, რომ საქართველოს ჯერიც დადგა. ხოლო, **თუ ყურები ჩამოვყარეთ და ახლავე არ დავარისხეთ განგაშის ზარები, ამერიკის ვასალ, გაფარჩაკებულ საქართველოში (რომლის ყველა ხელისუფლებას საქართველო აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირე ჰგონია), რომელიც გაძეძგილია ე.წ. არასამთავრობო თუ სამთავრობო ნომრიანი აგენტებით, ჯონ კერის დაპირების ასრულება არ გაუჭირდება!**

თეთრი სახლის ცისფერი პარასკევი ხვალინდელ შავ დღედ რომ არ გვექცეს ქართველებს, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ და აშშ ვაღიაროთ ყველა უზნეობის დამამკვიდრებელ ბუდედ, საიდანაც აფრენილმა გუგულებმა შხამიანი კვერცხები დადეს მსოფლიოში ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების სახით!

უნდა ვამხილოთ და შესაბამისი ადგილი მივუჩინოთ ამ „კვერცხებს“, თორემ ხომ ვიცით, გუგულის კვერცხებიდან გამოჩეკილი ბარტყები რომ დაიზრდებიან, როგორც წესი, ბუდის ნამდვილ პატრონს აძევებენ!

ზემოთ გაეროს მიერ დაავადებების სიიდან პედერასტიის ამოღებაზე ვთქვი და **იცით, ახლახან რა შეიტანა გაერომ დაავადებათა ნუსხაში?**

ერთი შეხედვით დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი — **სიყვარული!**

გაერომ, რომელიც უკვე დიდი ხანია, თეთრი სახლის სანოტარო კანტორად იქცა; გაერომ, რომელმაც „გაუპრავა“ ამერიკას სერბეთის დაბომბვა, კოსოვოს აღიარება; გაერომ, რომლის გენერალური მდივანი დიდ პატივად თვლის ევროვიზიაზე „გამარჯვებული“ კონჩიტას მიღებას და მასთან ფოტოს გადაღებას!

ეს ისე, ცნობისთვის, მაგრამ **რას ნიშნავს სიყვარულის, ამ უსათნოესი გრძნობის, რომელიც საფუძველთა საფუძველია ქრისტეს მოძღვრებისა, დაავადებად მიჩნევა?**

რას და იმას, რომ **აშშ-ის მიერ მსოფლიოს გაპედერასტების საქმეში გაერო აშშ-ის მოკავშირეა!**

საბოლოოდ კი, მსოფლიოს ლგბტ-ზაცია სატანის ღმერთთან ბრძოლას ნიშნავს.

ულმერთოთა კავშირი გასული საუკუნის 20-30-იანი წლების საბჭოთა საქართველოშიც იყო და უფრო მეტიც, ამ კავშირის თავმჯდომარე, ამხანაგი **მალაქია ტოროშელიძე** მთაწმინდაზეც კი იყო დაკრძალული!

მიუხედავად ამისა, ულმერთოთა კავშირის ბრძოლას ღმერთთან სატანის ბრძოლას ვერ დაარქმევდი, რადგან ათეიზმი, რომელსაც ბოლშევიზმი იზიარებდა, არც ღმერთს ცნობდა და არც — ეშმაკს, ანუ მისტიკური ძალების არსებობას უარყოფდა.

აქედან გამომდინარე, **ამერიკიდან უხვად დაფინანსებულ დღევანდელ სატანისტებთან შედარებით, საბჭოეთის ულმერთოთა კავშირი უცოდველ კრავად გამოიყურება, რადგან ბარაკ ჰუსეინ ობამას, ჰილარი კლინტონის, ჯო ბაიდენისა და ჯონ ქერის მეცადინეობით, ლგბტთა ბინძურმა სექტამ ეკლესიაში (ჯერჯერობით მხოლოდ პროტესტანტულებში) შეღწევაც შეძლო, სადაც უკვე გეიმღვდლებიც ჰყავთ და ერთსქესიანი წყვილების ჯვრისწერაც ისე ხდება, როგორც ჩვეულებრივი ამბავი.**

ეს უკვე აშკარა ბრძოლაა არა მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიასთან, არამედ ყველა იმ კონფესიასთან, რომლებიც აღიარებს მამა ღმერთს და მისგან შექმნილ ადამსა და ევას; ამიტომ არის ეს ბრძოლა სატანისა გამჩენი ღმერთის წინააღმდეგ!

**საქართველოში ალაპარაკდნენ რეფერენდუმის ჩატარებაზე, რაც, ჩემი აზრით, სრული აბსურდია. რეფერენდუმი რაზე, ხალხო, უკანალის მიცემის დაკანონებაზე?!** — ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში ამის გაფიქრებაც კი ქართველი ერის შეურაცხყოფა და უდიდესი მკრეხელობა მგონია!

ერთსქესიანთა ქორწინების თემა წყალგამყოფი უნდა გახდეს ქართულ პოლიტიკაში და მომავალ არჩევნებში საქართველოს მრავალეროვანმა ამომრჩეველმა, მემარცხენე-მემარჯვენეებსა და ნატო-კატოს მიმდევრებს კი არა, მხოლოდ იმ პარტიებს უნდა მისცეს ხმა, რომლებიც ახლავე საჯაროდ გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებას ერთსქესიანთა ქორწინების მიმართ!

მსგავსი „პლებისცისტი“ ამას წინათ რომელიღაც ტელევიზიამ ჩაატარა, როდესაც ლგბტ დროშის დაჭერა შესთავაზა პოლიტიკოსებს და ამ საკითხზე რესპუბლიკელების, ალასანიას პარტიისა და „ნაცების“ ერთგვარი თვითლუსტრაცია მოხდა, როდესაც ამ პარტიების წარმომადგენლებმა არ ითაკილეს სატანის მიმდევართა ბაირაღის აფრიალება!

პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ცნობილი განცხადების შემდეგ კი ერთხმად აღნავლდნენ ვაშინგტონზე ჭიპლარით გადაბმული გუგულის კვერცხიდან გამოჩეკილი არასამთავრობოები, პოლიტიკოსები თუ მწერლები:

**თამარ კორძაია** საჯაროდ იმუქრება, ერთსქესიანთა ქორწინება აუცილებლად უნდა დაკანონდესო.

ეს ის თამროა, რომელიც ნახალოვკაში მაჟორიტარი დეპუტატის სტატუსის მოგებამდე, იმაზე, რითაც დღეს გვემუქრება, არათუ კატეგორიულ „არას“ ამბობდა ამომრჩევლებთან შეხვედრებზე, არამედ რესპუბლიკური პარტიის წევრობასაც კი უარყოფდა და ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით დათრგუნვილმა ნახალოვკამ სოსო მანჯავიძეს ის თამრო არჩია. ნახალოვკა, მალევე მიხვდა, რომ ეს, ის თამრო კი არა, რესპუბლიკელი უნამუსო ქალი ყოფილა.

გადეპუტატებულმა დედაკაცმა მალევე შეურაცხყო ჩვენი პატრიარქი, — როგორ თუ ქართველი ერისთვის მტკივნეულ საკითხებზე მთავრობისთვის მიუღებელ განცხადებებს აკეთებს, ბარემ დეპუტატის მანდატი მივცეთო. ამის გამო სრულიად ნახალოვკას სიმწრის გმინვა აღმოხდა, — ეს რა მაგრად „ვთოხლეთო“...

ან **რაღ ღირს „მწერალი“ ლაშა „მალიაროვიჩ“ ბუღაძე, რომელსაც თავის დროზე წმინდა თამარ მეფის შეურაცხყოფა შევარჩინეთ და რომელმაც „ნაცების“ პერიოდში „მალიარ“ მამასთან ერთად ფული გვარიანად ქაფა, ახლა კი ქართველ ხალხს ერთსქესიანთა ქორწინების მიმართ ადეკვატური ქცევისკენ მოუწოდებს და შეურაცხგვყოფს ქართველებს, როცა ჩვენ დამოკიდებულებას ამ სიბინძურის მიმართ რუსეთის პროპაგანდას აბრალებს.**

კაცი კაცი რომ უნდა იყოს და ქალი — ქალი, ამას რუსეთის პროპაგანდა სჭირდება?

ზემოთ ქართველ საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს შორის წყალგამყოფი ვახსენე და ახლა დამატებით დავძენ:

ამ ძველი, მარადიული დეპუტატების, პოლიტიკოსების დაპირებების იმედად ჩვენი მტერი იყოს!

ერთადერთი იმედი, დამცავი ფარი მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქია!

ღმერთო, დიდი დღე მიეცი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რათა მტერნი ძრწოდენ და მოყვარენი სასოებდნენ!

*უფლის იმედით,*
**დავით მხეიძე**

„ამერიკა დასცილდა დემოკრატიის საფუძვლებს და ახლა სულ სხვა გზით მიდის, ანუ, რასაც დღეს ვხედავთ, არის არა დემოკრატია, არამედ დემონოკრატია, რომელიც მსოფლიოში ელვის სისწრაფით ვრცელდება და კაცობრიობას ხრწნის. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ამ სახელმწიფოში შეიქმნა და ჩამოყალიბდა ყველანაირი გარყვნილების, ალვირახსნილობის ბუკეტი, ეს ქვეყანა არის ანტიქრისტეს მედროშე“.

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მამა ათანასე (ხაბეიშვილი): ამერიკაა მათი სამშობლო და მიბრძანდნენ, იქნებ ხელიც სთხოვონ თავიანთ მამობილ ობამას...

**მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება წმინდა თეოდორე ტირონის ტაძრის წინამძღვარი მამა ათანასე (ხაბეიშვილი).**

**— მამაო, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის ძალითაც ე.წ. ერთსქესიანთა ქორწინება ქვეყნის 50-ვე შტატში ოფიციალურად დაკანონდა, მსოფლიოში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რიგმა სახელმწიფოებმა თეთრი სახლი მკაცრად გააკრიტიკეს, ბევრმაც ეს ნაბიჯი მოიწონა და გადაწყვეტილებას მისაბაძი უწოდა. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ კი განაცხადა, რომ ვაშინგტონი ყველაფერს გააკეთებს, რათა ანალოგიური საკანონმდებლო ცვლილებები სხვა ქვეყნებშიც განხორციელდეს. როგორ შეაფასებთ ამ ყველაფერს?**

— იმ დღეს, როცა ამერიკის უზენაესმა სასამართლომ ეს შემზარავი გადაწყვეტილება მიიღო, პრეზიდენტმა ობამამ სოციალურ ქსელში დაწერა: „სიყვარული იმარჯვებს!“. როგორც ჩანს, მას არ ესმის, სიყვარული რა არის ან გაუკუღმართებულად ესმის.

ამერიკა დასცილდა დემოკრატიის საფუძვლებს და ახლა სულ სხვა გზით მიდის, ანუ, **რასაც დღეს ვხედავთ, არის არა დემოკრატია, არამედ დემონოკრატია, რომელიც მსოფლიოში ელვის სისწრაფით ვრცელდება და კაცობრიობას ხრწნის.** პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ **ამ სახელმწიფოში შეიქმნა და ჩამოყალიბდა ყველანაირი გარყვნილების, ალვირახსნილობის ბუკეტი, ეს ქვეყანა არის ანტიქრისტეს მედროშე.** ავიღოთ **ჯონ კერის** განცხადება, რომელიც თქვენ ახსენეთ, ყველაფერს გავაკეთებთ, ერთსქესიანთა ქორწინება სხვა ქვეყნებშიც დაკანონდესო, **ეს არის დემოკრატია, ამას ჰქვია ხალხის მმართველობა?! დემოკრატია ხომ ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს, რანაირად იქნება ხალხი თავისუფალი იმ ქვეყანაში, რომლის მმართველი გუნდი დაკვეთას არა საზოგადოებისგან, არამედ გარე ძალისგან იღებს?** ეს ხომ აშკარაა. რომელ სიყვარულსა და თავისუფლებაზე გველაპარაკებიან! **ეს არის დიქტატურა, ეს არის მსოფლიოში გეიფაშიზმის დასაწყისი...**

**— მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი გამოცხადებულია საქართველოს ისტორიულ არჩევანად.**

— **ჩვენი ისტორიული არჩევანი არასდროს ყოფილა უზნეობაზე დამყარებული კავშირები, ჩვენი არჩევანი არასოდეს იქნება ანტიქრისტეს გზა.**

კონკრეტულად დასავლეთს რაც შეეხება, გამუდმებით გვესმის, რომ ნატო — ეს არის საქართველოს ხსნა და მომავალი, რომ მხოლოდ იქ შესვლა გადაგვარჩენს, თორემ დაღუპულები ვართ. რეალურად რას ვხედავთ — **თავის დროზე, როცა ნატო აწ უკვე ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიას ბომბავდა (ოპერაციას ერქვა „გულმოწყალე ანგელოზი“ — ჯ. ჟ.), და ეს ხდებოდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ჭურვებზე ეწერა: „გილოცავთ აღდგომას!“. აი, ასე ცინიკურად ანგრევდნენ ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ტაძრებს და ამ უბედურებას შეეწირა ათეულათასობით მშვიდობიანი მოქალაქე. ახლა ვეკითხები იმ ე.წ. მედასავლეთე ლიბერალებს, რომლებსაც ერთი სული აქვთ, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში შეგვიყვანონ: ეს არის დემოკრატია? ეს არის ჰუმანიზმი და სიყვარული?**

**— თქვით, რომ გარყვნილება და ალვირახსნილობა ვერ იქნება საქართველოს არჩევანი. რას გულისხმობთ, სახელმწიფომ კურსი უნდა შეიცვალოს?**

— მე არ ვარ პოლიტიკოსი და არც პოლიტიკური მიმომხილველი, რომ ეს საკითხები გავაანალიზო, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ეს არ არის საქართველოს ისტორიული გზა, ეს არ არის ქრისტეს გზა. გავიხსენოთ საქართველოს ოქროს ხანა: **დავით აღმაშენებელმა ჯარში მკაცრი დისციპლინა დაამყარა, აკრძალა საეშმაკო სიმღერები, გინება, ბილწსიტყვაობა... და რა მივიღეთ შედეგად? მივიღეთ ის, რომ 50-ათასიანი ლაშქრით სამჯერ, ოთხჯერ მრავალრიცხოვან მტერზე ვიმარჯვებდით, ანუ ღმერთი ეწეოდა ჩვენს ქვეყანას და სახელმწიფო მყარად იდგა ფეხზე;** იმის თქმა მინდა, რომ, თუ საქართველო არ გაწყვეტს კავშირს ქრისტეს მგმობელებთან და ეშმაკის მსახურებთან, ამერიკასა და მის მეთაურებთან ერთად დაიღუპება. ეს გარდაუვალია, რადგან ყოველი ერი და სახელმწიფო, რომელიც ასცდება ჭეშმარიტების გზას, იღუპება. შესცოდა დავითმა (მეფსალმუნემ) ღმერთს და მის სახელმწიფოში სამოცდაათი ათასი ადამიანი დაიღუპა შავი ჭირით; შესცოდა იონა წინასწარმეტყველმა და გემს, რომელშიც სხვა ადამიანებიც იმყოფებოდნენ, საფრთხე დაემუქრა; გემი, რომლის შესახებაც სახარება მოგვითხრობს, ტალღებმა დაფარა არა ქარიშხლის, არამედ იუდას ცოდვის გამო. ჩვენც რომ არ დავიღუპოთ, სწორედ ამიტომ უნდა გავწყვიტოთ კავშირი. „ვისაც ყურნი ასხე, ისმინონ!“

## «თუ საქართველო არ გაწყვეტს კავშირს ქრისტეს მგმობელებთან და ეშმაკის მსახურებთან, ამერიკასა და მის მეთაურებთან ერთად დაიღუპება»

**— ფაქტია, რომ დღეს საქართველო ფეხდაფეხ მიჰყვება ამერიკასა და ევროპას. ეს კურსი სად მიგვიყვანს?**

— ეს გზა მიგვიყვანს ზუსტად იქ, სადაც არის ახლა ევროპა და ამერიკა, ვგულისხმობ იმ დემონურ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ამას წინათ ამერიკაში განხორციელდა, მანამდე კი — ევროპის რიგ ქვეყნებში. **ახლა ზოგიერთი იტყვის, ამერიკა და ევროპა არაფერს გვაძალებსო, სწორედ რომ გვაძალებს. აბა, რას ჰქვია ამერიკული სტანდარტი, ევროპული სტანდარტი ან იმავე ევროკავშირის დირექტივა, მოთხოვნა, მითითება?!** — ეს სიტყვები ხომ ყოველდღიურად გვესმის. ან **იმაზე მეტი დაძალება რა გინდა, როცა კანონს, კონსტიტუციას — ყველაფერს სხვა გიწერს?** ცხადია, ამას იმ მდგომარეობამდე მივყავართ, რომელიც ახლა არის ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: **ქართველი კაცი არასოდეს შეეგუება გარყვნილებას; ქართველი ხალხი არ მიიღებს იმ სიბინძურეს, რომელიც დასავლეთის რიგ ქვეყნებში უჩუმრად დააკანონეს და, რომ იტყვიან, ხახვივით შერჩათ. ასე რომ, მშვიდად ნუ იქნებიან.** ამერიკამ რაღაც კანონი რომ მიიღო, არ ნიშნავს, რომ რიგში საქართველო დგას. ბევრი, შეიძლება, ამას ელოდება, მაგრამ ეს არ მოხდება, ისინი ამას ვერ ეღირსებიან!

**— მსგავსი სიტყვები არაერთი სასულიერო პირისგან მომისმენია, მაგრამ ფაქტია, საზოგადოება არ არის საკმარისად აქტიური. მაგალითად, თავის დროზე ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიიღეს, მოსახლეობას არ გაუპროტესტებია, არადა, სულ ცოტა, 80 პროცენტი ამ კანონის წინააღმდეგი იყო.**

— გასაგებია თქვენი შეკითხვის პათოსი, მაგრამ მერწმუნეთ, ეს არაფერს ნიშნავს, ქართველი ხალხი მაინც თავისი რწმენის, ტრადიციების ერთგულია და ეს მომავალში გამოჩნდება. **გაიხსენეთ თუნდაც ბახტრიონის აჯანყება, როცა სრულიად ერი და ბერი ფეხზე დადგა მტრის წინააღმდეგ.** 80 ათასი თურქმენი იყო იმხანად აღმოსავლეთ საქართველოს შემოსეული და ხალხი მთებში იმალებოდა; ანუ პრაქტიკულად არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მაგრამ, **როგორც კი მტერმა შეურაცხყო ყველაზე ძვირფასი — სარწმუნოება, რომელზეც ქვეყანა იდგა (მოგეხსენებათ, მომხდურებმა სასულიერო პირი გააუპატიურეს), მოხდა ის, რაც არ მომხდარა საქართველოს ისტორიაში, — აკვანშიც კი ხოცავდნენ ურჯულოებს ქართველები. ამით რის თქმა მინდა: როგორც ჩანს, ჯერ არ დამდგარა ის მომენტი, როცა საზოგადოება ჩათვლის, რომ ყველაფერს წერტილი უნდა დაუსვას. დარწმუნებული ვარ, ეს დრო მოვა და ეს იქნება იმ გარყვნილების დასასრული;** ეს იქნება სწორედ ის აჯანყება, რომელიც ალგვის ეშმაკეულსა და ანტიქრისტიანულს, მათ შორის, იმ ე.წ. ლიბერალებსაც, რომლებიც 24 საათი პატრიარქს ლანძღავენ და აქილიკებენ...

**— მართლაც, ეს დღეებია, სოციალური ქსელები აჭრელებულია მისი უწმინდესობის შეურაცხმყოფელი განცხადებებით. „უფლებადამცველმა“ თეა თუთბერიძემ ერთგვარი კამპანიაც წამოიწყო: „მე მიყვარს ჩემი გეიპატრიარქი“. რას ემსახურება ეს ყველაფერი? მათ ხომ იციან, რომ ამით ვერც პატრიარქისა და ვერც ეკლესიის დისკრედიტებას ვერ შეძლებენ?**

— მათი გონება ისეა დაბინდული, შეიძლება, ვერც კი ხვდებიან, რომ მსგავსი სიბინძურეებით პატრიარქს კი არ აკლებენ რამეს, ეკლესიას კი არ აკლებენ, არამედ თვითონვე იღუპებიან. ისინი არიან გარედან მართული მარიონეტები, რომლებიც ერთ სიტყვასაც ვერ ამბობენ ხმამაღლა ისე, რომ თავიანთ დასავლელ მამამარჩენლებს არ შეუთანხმონ. ვგულისხმობ იმ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც თავგადაკლული იცავენ სოდომური ცოდვით შეპყრობილ ადამიანებს, ერთსქესიანთა ქორწინებებს და იბრძვიან იმისთვის, რომ ერთსქესიან ოჯახებს შვილის აყვანის უფლება მისცენ. პირდაპირ შემიძლია ვთქვა: **ისინი არ არიან ქართველები და ამიტომ უნდა წავიდნენ იქ, სადაც მათი სამშობლოა — შეერთებულ შტატებში. ამერიკაა მათი სამშობლო და მიბრძანდნენ, იქნებ ხელიც სთხოვონ თავიანთ მამობილ ობამას...**

**— უკვე სთხოვეს კიდეც...**

— ჰოდა, ქვეყნის პირველმა პირმა თავი ისე არ უნდა დაიმციროს, რომ ზიმბაბვეს პრეზიდენტმა ხუმრობით ხელი სთხოვოს და მსოფლიოს დასაცინი გახდეს...

**— ალბათ, ხელისუფლებაშიც ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებსაც ამერიკის ვიზა უნდა ავუღოთ.**

— **ხელისუფლება, რასაც ჰქვია, საქართველოს არ ჰყავს, ეს არის შემსრულებელი, ოღონდ არა ქართველი ხალხის ნების, არამედ ამერიკისა და ევროპის.** რბილად რომ ვთქვათ, ამას ჰქვია საკუთარი ხალხის ინტერესების უგულებელყოფა, რაც შეეხება ევროკავშირისკენ სწრაფვას, ამას წინათ რომში, ცენტრალურ მოედანზე, უამრავი ადამიანი გამოვიდა ერთსქესიანთა ქორწინების გასაპროტესტებლად და მათ რუსეთის დროშები ეჭირათ. მე იქ არ დამინახავს ევროკავშირის დროშა, ანუ რა ხდება: ამ გაერთიანების იდეოლოგია უკვე თვითონ მის წევრ სახელმწიფოებს, მათ მოსახლეობას არ მოსწონს და აპროტესტებენ. ჩვენ სად მივდივართ? მარტივი რამეა, — **როცა შენობა ინგრევა, თავი არ უნდა შეუშვირო — ევროკავშირი ინგრევა და ჩვენ რა გვინდა იქ, რა გველოდება?!**

**— 500-მილიონიანი ბაზარი და ეკონომიკური აღმასვლაო, — გვეუბნებიან ქვეყნის პოლიტიკური საჭეთმპყრობელნი.**

— ჩემი, როგორც სასულიერო პირის, თხოვნა იქნება, რომ არანაირი გარყვნილება არ მიიღონ არც ხელისუფლების წარმომადგენლებმა და არც ინტელიგენციამ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება დასაბამი ქვეყნის დაქცევისა და განადგურებისა; და შემდეგ, თუ რატომ ხდება წყალდიდობები, მიწისძვრები და სხვა კატაკლიზმები, ჩვენ ნუ შეგვეკითხებიან...

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, თუკი ქართველი ხალხი დასავლურ ყაიდაზე გარდაიქმნება, რა ცვლილებები მოხდება და რა ტიპის სამოქალაქო საზოგადოება გვეყოლება?**

— რა საზოგადოება გვეყოლება და როგორიც არის ამერიკაში, — მივიღებთ ე.წ. კოსმოპოლიტებს, რომლებსაც არც ეროვნება აქვთ, არც უფლისა და სამშობლოს სიყვარული. დასავლეთს აქ სხვა მიზანი არ აქვს, ამიტომ დროა, ქართველებმა თავით ვიაზროვნოთ და არა მუცლით, გრანტებით. ჩვენ უნდა ვიფიქროთ მომავალ თაობებზე, სამშობლოზე და მის განვითარებაზე, მაგრამ, ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, სახელმწიფო ვერ იქნება ძლიერი, თუ არ დგას ჭეშმარიტ მაღალზნეობრივ ღირებულებებზე; სახელმწიფო ვერ იქნება წელში გამართული, თუ დაივიწყა წარსული და მოსწყდა თავის ისტორიულ ფესვებს...

## «ჩვენი ისტორიული არჩევანი არასდროს ყოფილა უზნეობაზე დამყარებული კავშირები»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ჩემპიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამა წლის 19 მაისს ტელევიზიით გამოვიდა ლილოს ყველის ქარხნის დირექტორი და თქვა, საქართველოში რძე არ არის და ფხვნილზე ვმუშაობთო. საინტერესოა, სად ვერ იშოვა რძე?! დმანისი, კერძოდ კი, გომარეთი, რძეს მიაქვს. ერთადერთი ქარხანა, რომელიც ჩვენგან რძეს ყიდულობს, არის „სანტე“, ყოველთვიურად 4 ტონა რძე მიაქვს... პრობლემაა ხორცის ჩაბარებაც. მოსახლეობას უამრავი ბუღა ჰყავს, მაგრამ რეალიზაციას ვერ ახერხებს. წინათ საქართველოს გარეთ გაჰქონდათ, მაგრამ ახლა ველარ გააქვთ. კოოპერატივები გააკეთეთო, რომ გვეუბნებიან, გვაქვს კოოპერატივები, მაგრამ ვერაფრის რეალიზებას ვერ ვახერხებთ, ერთი სული გვაქვს, როგორმე თავიდან მოვიშოროთ საქონელი, ახლა მიწებსაც გვიყიდიან და რა უნდა ვქნათ?**

# წინ ვერავინ უდგება უკრაინელ ბიზნესმენებს, რომლებიც ახლახან ჩამოვიდნენ და მიწებს დიდი რაოდენობით ყიდულობენ

**საქართველოში მიწების უცხოელებზე გასხვისება სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში დაიწყო. ალბათ, ყველას ახსოვს ეკონომიკის ყოფილი მინისტრის — კახა ბენდუქიძის გამონათქვამი: „იყიდება ყველაფერი, სინდისის გარდა!“ და ქართული მიწა იყიდებოდა და იყიდება თურქზე, აზერბაიჯანელზე, არაბზე, ჩინელსა თუ აფრიკელზე, მაგრამ იშვიათად — ქართველზე, რადგან, თუ უცხოელისთვის მიწის ფასი ხელმისაწვდომი და მისაღებია, ქართველი გლეხისთვის ეს უზარმაზარი თანხაა.**



სააკაშვილის მმართველობის პერიოდში 30 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა გაიყიდა და, როგორც ჩანს, ეს პროცესი დღესაც გრძელდება, თუმცა ახლა ოდესის გუბერნატორადწოდებული მიშიკო თავის „დესპანებს“ უკრაინიდან გზავნის. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც ამერიკელთა წაქეზებით რუსებთან ძმათამკვლელი ომი გააჩაღეს, თავიანთი ქვეყნის ტერიტორიის თითქმის ნახევარი — ყირიმის ნახევარკუნძული, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქები — დაკარგეს და ახლა ეს ამერიკელთა ვასალები ქართული მიწების ხელში ჩაგდებას ლამობენ. ესენი არიან იმ სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომლის ხელისუფლებამაც ამერიკელთა მარიონეტ პოროშენკოს მეთაურობით წარმოუდგენელი უპატივცემულობა და მტრობა გამოიჩინა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ, როცა ქართველთა სისხლში ხელგასვრილი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, არათუ შეიფარა, ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობებზეც კი დანიშნა.

როგორც ჩანს, საქართველო არა მხოლოდ აშშ-ის, არამედ მისი ვასალის (უკრაინის) ვასალი ქვეყანაა, რადგან იმას, რასაც ამერიკელთა „ძაღლიშვილი“ სააკაშვილისგან წაქეზებული უკრაინელი მილიონერები ჩვენთან სჩადიან, თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოში არავინ მოითმენდა — გაყოყოჩებული უკრაინელები უძველესი ქართული სოფლების მიწებს ყიდულობენ, ხანდახან — ძალითა და კანონდარღვევით, თანაც ადგილობრივ ქართველებს ემუქრებიან, თუ წინააღმდეგობას გაგვიწევთ და ჩვენს ნებას არ დაჰყვებით, საერთოდ გაგანადგურებთო. ასეა, აშშ-ის ვასალის ვასალ ქვეყანაში მკვიდრ მოსახლეობას უფლებები აყრილი აქვს და ხელისუფლებასაც ფეხზე ჰკიდია.

ამაზე მიუთითებს ის, რაც ქვემო ქართლში, დმანისის რაიონის სოფელ გომარეთში მოხდა.

გომარეთი ქვემო ქართლის ერთ-ერთი ძველი მთიანი სოფელია, რომელიც 15 საუკუნეს ითვლის და ქართველებით არის დასახლებული. სოფელში 110 წლის წინათ აშენებული სკოლაა, რომელიც ახლაც ფუნქციონირებს და წარმატებულ ახალგაზრდებსაც ზრდის.

„საქართველო და მსოფლიოს“ დმანისის რაიონის სოფელ გომარეთის მცხოვრები **მერაბ სამადაშვილი** ესაუბრა.

— ბატონო მერაბ, რა პრობლემის წინაშე აღმოჩნდით, როდესაც მიწის შესყიდვა გადაწყვიტეთ?

— **პრობლემა „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში შეგვექმნა, იჯარის გაუქმებაზე კანონის მიღების შემდეგ. ეს 2007 წელს მოხდა. კანონის მიღების შედეგ სოფელ გომარეთის მოსახლეობამ გადაწყვიტა, მიწა თვითონ შეესყიდა. ხელისუფლებამ 1 ჰექტარი თავდაპირველად 300 ლარად შეაფასა. მოსახლეობამ მაშინვე ნახაზები გააკეთა და, მიუხედავად იმისა, რომ ძვირი იყო, მიწის შესყიდვა მაინც გადაწყვიტა. ხელისუფლებამ პროცესი შეაჩერა და 300 ლარის ნაცვლად 500 ლარი დაადო ფასი, თუმცა გლეხები და ფერმერები მაინც თანახმა იყვნენ მიწის შესყიდვაზე. ეს რომ გაიგეს, ისევ შეჩერდა ყველაფერი. ზოგიერთმა მოასწრო იჯარით აღებული მიწის შეძენა, მაგრამ, ვინც ვერ მოასწრო, იჯარა გააუქმეს და გაუყიდეს კიდეც.**

პროფესორ **პეტრე ნასყიდაშვილს** ჩვენს სოფელში ორგანიზაცია ჰქონდა — „სელექციური მიღწევის ჯიშთა გამოცდის სადგური“. ეს ორგანიზაცია დიდი რაოდენობით მიწას ფლობდა, რომელიც უკანონოდ წაართვეს და გაყიდეს. **მიწა დმანისის „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელმა ალექსი მუჯირიშვილმა შეისყიდა. ყველა საბუთი ხელთ გვქონდა, ყველაფერი კანონიერად იყო გაფორმებული, მაგრამ ვერაფერს გავხდით, ხომ იცით, ძალა აღმართს ხნავს. საქმე სასამართლომდე რომ მივიდა, აქეთ დაგვაჯარიმეს — მიწას უკანონოდ ფლობდითო.**

მოკლედ, გომარეთლებისთვის მიწის შესყიდვა უდიდეს პრობლემად იქცა. პროცესი არ იძვროდა, **მაგრამ 2012 წელს, ვიდრე არჩევნები გაიმართებოდა, შევიტყვეთ, რომ სააკაშვილს 740 ჰექტარი მიწა მიუყიდია შპს „ორმაშენისთვის“. ეს აზერბაიჯანული ფირმაა, ამ ორგანიზაციის უკან აზერბაიჯანის იმჟამინდელი გენერალური პროკურორი იდგა. როგორც კი არჩევნები დასრულდა, მეორე დღიდანვე მიწის მოხვნა დაიწყეს. მიწა ბაქოელ აზრებაიჯანელებზე 409 ლარად გასხვისდა, მაშინ, როდესაც გომარეთის მოსახლეობა მზად იყო, მიწაში 1000 ლარიც კი გადაეხადა. მიწის მოხვნა რომ დაიწყეს, მთელი სოფელი წინ გადავუდექით, მაგრამ ვერაფერს გავხდით.**

გლეხებმა გადაწყვიტეს, რომ დარჩენილ მიწებს მაინც დაპატრონებოდნენ და ნახაზები ხელახლა გააკეთეს, მაგრამ **ამბობენ, ეკონომიკის სამინისტრო მიწებს გასაყიდად აუქციონზე გამოიტანსო. თუ ეს ასე მოხდა, ვერც ერთი ქართველი გლეხი მიწის შეძენას ვერ შეძლებს, ვერავინ დაუდგება წინ უკრაინელ მილიონერ ბიზნესმენებს, რომლებიც ახლა გომარეთში მიწებს ყიდულობენ.**

**— უკრაინელებმა როდის დაიწყეს ჩამოსვლა?**

— ახლახან და მიწებსაც ყიდულობენ, უფრო მეტიც, ძალითაც იჭრებიან, კერძო ნაკვეთებსაც ეპოტინებიან. **ჩვენი პატრონი არავინაა... უძველესი ქართული სოფელი, რომელმაც თავი 15 საუკუნე შეინახა, ქართული სული არ დაკარგა, ნადგურდება. სოფლის ნახევარი ეთნიკური აზარებაიჯანელია. მათ თავიანთი ნაწილი გადაკეტეს, ახლა უკრაინელებიც გადაკეტავენ თავიანთ საკუთრებას. ჩვენ სად წავიდეთ და რით ვიარსებოთ?**

**— ვინმეს თუ მიმრთეთ დახმარებისთვის? რას გეუბნებიან ეკონომიკის სამინისტროში?**

— პასუხს არავინ გვცემს. გვეუბნებიან, რომ მიწები აუქციონზე უნდა გაიტანონ გასაყიდადო. არადა, ჩვენ აუქციონზე მიწის ყიდვას ვერ შევძლებთ. **უკრაინელებს ქართველი წარმომადგენელი ჰყავთ, ადვოკატი ქალი. არც სახელი ვიცი, არც — გვარი. რომ შევკამათდით, მითხრა: რამდენიმე შენნაირ თავკაცს მოვსპობ და ეს სოფელი ჩვენ დაგვრჩებაო.**

არავინ ზრუნავს იმაზე, რომ სოფელი ქართველებისგან არ დაიცალოს, მეზობელი სოფლები სულ დაცლილია, ნაომარს ჰგავს. მხოლოდ გომარეთელებმა შევძელით გადარჩენა და ახლა ძალით ანადგურებენ ყველაფერს.

**— ვიცი, რომ ფერმერი ხართ. ამ საქმეში მაინც თუ გაქვთ ხელშეწყობა?**

— **ამა წლის 19 მაისს ტელევიზიით გამოვიდა ლილოს ყველის ქარხნის დირექტორი და თქვა, საქართველოში რძე არ არის და ფხვნილზე ვმუშაობთო. საინტერესოა, სად ვერ იშოვა რძე? დმანისი, კერძოდ კი — გომარეთი, რძეს მიაქვს. ერთადერთი ქარხანა, რომელიც ჩვენგან რძეს ყიდულობს არის „სანტე“, ყოველთვიურად 4 ტონა რძე მიაქვს, მასაც ლიმიტი აქვს.**

ეს, რაც შეეხება რძეს. **პრობლემაა ხორცის ჩაბარებაც. მოსახლეობას უამრავი ბუღა ჰყავს, მაგრამ რეალიზაციას ვერ ახერხებს. წინათ საქართველოს გარეთ გაჰქონდათ, მაგრამ ახლა ველარ გააქვთ. კოოპერატივები გააკეთეთო, რომ გვეუბნებიან, გვაქვს კოოპერატივები, მაგრამ ვერაფრის რეალიზებას ვერ ვახერხებთ, ერთი სული გვაქვს, როგორმე თავიდან მოვიშოროთ საქონელი, ახლა მიწებსაც გვიყიდიან და რა უნდა ვქნათ?**

მოსახლეობაზე არავინ ფიქრობს, გლეხის ბედით არავინ ინტერესდება. გლეხს მიწას რომ გაუყიდი, მოყვანილ მოსავალს რომ არ გაასაღებინებ, როგორ იარსებოს?! თანაც გაიძახიან, სოფლებში დაბრუნდით და მეურნეობები აალორძინეთო...

## ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# საქართველოს პატრონი არ ჰყავს, სწორედ ამიტომ, ვისაც გაუხარდება, შეუძლია, ჩვენი მიწა იყიდოს!

**სოფელ გომარეთში შექმნილ ვითარებაზე კომენტარი პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს ვთხოვეთ:**

**— საქართველოს როგორი ხელისუფლებაც ჰყავს, ისე გვექცევა ყველა. უკრაინელებს რა უნდა მოსთხოვო? ჩვენმა ხელისუფლებამ რა ღონისძიებები გაატარა იმისთვის, რომ ეს არ მომხდარიყო და თუ მოხდა დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა?**

საქართველოს ხელისუფლებამ ხალხს არ მოგვცა საშუალება, გვეთქვა, — ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, სააკაშვილი და მისი ბანდა უკრაინიდან გამოეყარათო. ეს ასე არ მომხდარა და იმ ხალხს რას ვერჩით? **როდესაც ქვეყანა ხიდაშელ-წულუკიანის — ამ ორი გოიმის იმედად არის დარჩენილი და თავლაფდასხმული მამაკაცები ამ ქალებს აბაირამებენ, გასაკვირი რა არის? იმის ძახილი, რომ უკრაინასთან დაძაბული ურთიერთობა გვაქვს, ბლეფია. საქართველოს სერიოზული ნაბიჯები უკრაინის წინააღმდეგ არ გადაუდგამს, ელჩისთვის დროებით უფლებამოსილება უნდა შეეწყვიტათ. ქვეყანას ჰყავს მესამე გოიმი ქალი – ბერუჩაშვილი, რომელიც დიპლომატიური ურთიერთობების აზრზე არ არის.**

ამ ყველაფერიდან გამომდინარე, სულაც არ გამიკვირდება, რომ უკრაინელმა ბანდიტებმა საქართველოში მიწები იყიდონ. დიახ, ურაინაში არიან ბანდიტები, ყაჩაღები და ომის გამჩაღებლები. **საქართველოს პატრონი არ ჰყავს, სწორედ ამიტომ, ვისაც გაუხარდება, შეუძლია, ჩვენი მიწის იყიდოს. გარდა ამისა, ვინმემ იცის, ხიდაშელ-უსუფაშვილი რისთვის შეხვდნენ სააკაშვილს? აუდიოჩანაწერებიდან ჩანს, რომ მათ საქართველოს სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.** ჟურნალისტებმა დაიწყეს ამაზე საუბარი, მაგრამ ბოლომდე საქმეს ბოლომდე არ მიიყვანეს. ცოლ-ქმარს პასუხი არავინ მოსთხოვა. არავინ იცის, რა გარიგებები მოხდა? დღეს კი, თურმე ვდგავართ ფაქტის წინაშე, რომ **საუკეთესო ქართულ მიწებს უკრაინელი ბანდიტები ყიდულობენ.**



ესაუბრა **ეკა ნასყიდაშვილი**

**„აზერბაიჯანში ახალი ჩასული ვიყავი, როდესაც სახლის სახურავს ქვები დაუშინეს, ჩემი დაშინების მიზნით კი საცხოვრებლის ეზოში ვიღაცები დადიოდნენ. იყო შემთხვევა, როდესაც ბელაქანი-ბაქოს მატარებლიდან ჩამომაგდეს. ორჯერ მომწამლეს კიდეც, მაგრამ რეაქცია არავის ჰქონია. ერთხელ მრევლთან ვიყავი სტუმრად და შევამჩნიე მანქანა, რომელიც ცდილობდა, დამჯახებოდა. ეს ყველაფერი დაშინების მიზნით ხდებოდა, რათა კახიდან წამოვსულიყავი“.**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰერეთის ერთადერთი ქართული ეკლესია მოძღვრის გარეშე დარჩა



**აზერბაიჯანში, კახის რაიონში, მოქმედი წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, მამა დემეტრე (თეთრუაშვილი) ლაგოდეხი-ბელაქანის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ქვეყანაში არ შეუშვეს. ისტორიულ ჰერეთში არსებული ერთადერთი ქრისტიანული ეკლესია მოძღვრის გარეშე დარჩა. ამ საკითხზე აზერბაიჯანის საელჩოსა და საქართველოს მთავრობისადმი არაერთგზის მიმართვას შედეგი არ მოჰყოლია — უკვე ორი კვირაა, მამა დემეტრე ოფიციალური სტრუქტურებისგან პასუხს უშედეგოდ ელოდება. „საქართველო და მსოფლიოს“ კახის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი დემეტრე (თეთრუაშვილი) ესაუბრა.**

**— მამაო, რამდენიმე წელიწადია, კახის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი ბრძანდებით. რა მოხდა 21 ივნისს, რატომ არ შეგიშვეს აზერბაიჯანში?**

— 4 წელიწადია, რაც აზერბაიჯანში, ისტორიულ ჰერეთში, კახის რაიონში ვმსახურობ. ადგილობრივ ხელისუფლებასთან ჰარმონიული ურთიერთობა მქონდა, არასდროს არც მათი და არც ჩემი მხრიდან პრობლემა არ წარმოქმნილა. რა იყო მიზეზი, რის გამო არ შემიშვეს აზერბაიჯანში, არ ვიცი. როდესაც მესაზღვრეებს მიზეზი ვკითხე, — ამიხსენით, რა ხდება, რატომ მაგდებთ საზღვრიდან-თქო, მიპასუხეს, — ასეთი ბრძანება გვაქვს, შავ სიაში ხართო. ამის შემდეგ შევეცადე, აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს დავკავშირებოდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემი ნომერი დაბლოკილი იყო. ორსაათიანი დავის შემდეგ უკან დავბრუნდი და მომხდარის შესახებ საპატრიარქოს, საელჩოსა და საქართველოს ხელისუფლებას შევატყობინე.

აქამდე საზღვრის გადაკვეთისას პრობლემა არასდროს შემქმნია, ერთადერთი პრობლემა იყო ის, რომ აზერბაიჯანის კანონმდებლობით, საზღვარზე საეკლესიო ნივთების გადატანა აკრძალულია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, რელიგიის სააგენტო უფლებას აძლევს სასულიერო პირს, სანთელი და სხვა საეკლესიო ნივთები გადაიტანოს. საზღვარზე ხან რა მოიმიზეზეს, ხან — რა და ამის უფლება არ მომცეს. არც რელიგიის სააგენტოსადმი ჩემს მიმართვებს მოჰყოლია შედეგი — ყველა ჩემი წერილი უპასუხოდ დარჩა.

ისე კი, რა თქმა უნდა, ამ 4 წლის განმავლობაში, პრობლემები ყოველთვის იყო. მაგალითად, წმინდა **მიქაელ ყულოშვილის** ხსენების დღის აღნიშვნის საშუალებას არასდროს გვაძლევდნენ, **ვინაიდან მიქაელ ყულოშვილი 1917 წელს მუსავატელებმა აწამეს და მოკლეს; მუსლიმან და ქრისტიან მოსახლეობას შორის ურთიერთობა დაიძაბებაო,** — ამ მიზეზით ამართლებდნენ თავიანთ საქციელს. მაგრამ ეს სიცრუეა. დღესასწაულის აღნიშვნა ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობის ურთიერთობაზე არანაირ გავლენას არ მოახდენს. წმინდანის საფლავზე მუსლიმანებიც მოდიან, პატივს მიაგებენ მას და ბედნიერებასა და წარმატებას ევედრებიან.

ამას გარდა, მინდა, კიდევ ერთი რამ აღვნიშნო. აზერბაიჯანის კანონმდებლობით, ყველა რელიგიურ კონფესიას თავისი „ოცეული“ ჰყავს, რომელსაც ერთგვარი ზედამხედველობის ფუნქცია აკისრია და ის აზერბაიჯანის რელიგიის კომიტეტს ექვემდებარება. **„ოცეულში“ ოცი მორწმუნე ადამიანია გაერთიანებული, რომელთა მოთხოვნის საფუძველზეც ტაძარი მოქმედი ხდება. რამდენიმე თვეა, რაც ახლანდელი „ოცეულის“ წარმომადგენლები დანიშნეს და მათ პირჯვრის გადასახვაც არ იციან. მათი მეშვეობით ბევრ ცუდ საქმეს აკეთებენ და სიტუაციას ურევენ.**

**— როგორ ხსნით აზერბაიჯანის ხელისუფლების ასეთ დამოკიდებულებას ქართველი სასულიერო პირის მიმართ?**

— შემიძლია ვივარაუდო, რომ, რადგან მუსლიმან მოსახლეობასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, კახის გარდა, აზერბაიჯანის სხვა ქალაქებშიც დავდივარ და ყველგან თბილად მხვდებიან, ამაში, ალბათ, გარკვეული საფრთხე დაინახეს. **არ მოსწონთ, რომ ქრისტიან მღვდელს ადგილობრივ აზერბაიჯანელ მუსლიმ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობა აქვს.**

**— მამაო, როგორც ვიცი, აზერბაიჯანის ელჩსაც შეხვდით, რა გითხრათ?**

— აზერბაიჯანის ელჩს საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად შევხვდი; ვთხოვეთ, გამონაკლისის სახით, ჩემთვის ორმაგი მოქალაქეობა დაეშვათ ან დიპლომატიური პასპორტით მაინც მოეცათ ქვეყანაში შესვლის უფლება, მაგრამ უარი გვითხრეს. არადა, ადგილობრივი კანონმდებლობით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ღვთისმსახურების უფლება მხოლოდ აზერბაიჯანის მოქალაქეებს აქვთ. შემდეგ ვთხოვეთ, ვიდრე ისეთ ადგილობრივ მაცხოვრებელს მოვძებნიდით, რომელსაც სასულიერო სასწავლებელი აქვს დამთავრებული და ჩემს შეცვლას შეძლებდა, ჩემთვის მცირე ხნით მაინც მოეცათ ორმაგი მოქალაქეობა, რათა ღვთისმსახურების საშუალება მქონოდა, მაგრამ უკვე ორი კვირა გავიდა და პასუხს არავინ გვცემს...

არადა, **აზერბაიჯანში რუსული ეპარქიაც არსებობს, რომლის წევრებსაც ორმაგი მოქალაქეობა აქვთ და მათ ვერავინ ვერაფერს უბედავს. ჩვენც ამას ვითხოვთ, ვინაიდან სწორედ ორმაგი მოქალაქეობაა ჩემი უსაფრთხოების გარანტი.**

აზერბაიჯანი მშვიდი, დემორატიული ქვეყანა რომ იყოს, აუცილებლად მივიღებდი მოქალაქეობას, ახლა კი ვიცი, ამას რა შედეგიც მოჰყვება. ვინ აგებს ჩემს უსაფრთხოებაზე პასუხს? ამას უსაფუძვლოდ არ ვლაპარაკობ. **აზერბაიჯანში ახალი ჩასული ვიყავი, როდესაც სახლის სახურავს ქვები დაუშინეს, ჩემი დაშინების მიზნით კი საცხოვრებლის ეზოში ვიღაცები დადიოდნენ. იყო შემთხვევა, როდესაც ბელაქანი-ბაქოს მატარებლიდან ჩამომაგდეს. ორჯერ მომწამლეს კიდეც, მაგრამ რეაქცია არავის ჰქონია. ერთხელ მრევლთან ვიყავი სტუმრად და შევამჩნიე მანქანა, რომელიც ცდილობდა, დამჯახებოდა. ეს ყველაფერი დაშინების მიზნით ხდებოდა, რათა კახიდან წამოვსულიყავი.**

**— ცნობილია, რომ თქვენამდე, ტაძრის სხვა წინამძღვრებსაც ანალოგიური პრობლემები ჰქონდათ, მათაც ავიწროებდნენ, ამიტომაც წამოვიდნენ კახიდან.**

— დიახ, ეს პრობლემები ყველას ჰქონდა, მაგრამ რატომლაც ამაზე ყოველთვის დუმდნენ.

**— მამაო, საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოსთან ახალგაზრდებმა თქვენი მხარდასაჭერი საპროტესტო აქციაც გამართეს, მიმართვის ტექსტიც გაუგზავნეთ აზერბაიჯანის საელჩოს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, უკვე კვირაზე მეტი გავიდა და პასუხი მიიღეთ?**

— სამწუხაროდ, არც ერთი ოფიციალური სტრუქტურიდან პასუხი არ მიგვიღია. ერთადერთი — გენერალური საკონსულოდან დამირეკა ბატონმა მამუკა ბალავაძემ. მისი დიდი მადლობელი ვარ.

**— როგორ ხსნით საქართველოს მთავრობის უმოქმედობას, ხელისუფლება აზერბაიჯანის, როგორც მეგობარი სახელმწიფოს, გაღიზიანებას ერიდება თუ რატომ არ აგვარებს ამ პრობლემას? რატომ არ აქტიურობს თუნდაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო?**

— ცალმხრივი მეგობრობა გაუგებარია. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან ძალიან ცივად მოგვიშორეს და გვითხრეს, რომ ასეთია კანონი, რომელსაც ჩვენ ვერ შევცვლითო.

**— საპატრიარქოში როგორ ესახებათ პრობლემის მოგვარების გზა?**

— პატრიარქს შევხვდი და პირადად მოვახსენე პრობლემის თაობაზე, როგორც ვიცი, საპატრიარქოდანაც გაგზავნეს მიმართვა აზერბაიჯანში და პასუხს ელოდებიან.

**— ისტორიულ საინგილოში ქრისტიანი ქართველების ყოფა-ცხოვრებაზე რა შეგიძლიათ გვითხრათ, რთულ პირობებში არიან?**

— დიახ, ქართველები მძიმე პირობებში ცხოვრობენ, ეკონომიკურად ძალიან უჭირთ. ქართველების 90%, ფაქტობრივად, დაუსაქმებელია. ვინც მუშაობს, შეიძლება სკოლაში პედაგოგი იყოს და მცირე შემოსავალი ჰქონდეს, მეტი არაფერი... ქრისტიანები, ძირითადად, კახში ცხოვრობენ, დაახლოებით — 7 ათასი კაცი. ბელაქანში თითზე ჩამოსათვლელია ქრისტიანული ოჯახი.

**— კახში გიორგობას განსაკუთრებულად აღნიშნავენ. დღესასწაულს, ქრისტიანებთან ერთად, აზერბაიჯანელი მუსლიმანებიც ესწრებიან...**

— არაერთი მუსლიმანი მოდის და ქრისტიანულ ტაძარში სანთელს ანთებს, ლოცულობს და უფალს წყალობას სთხოვს. ასე ამბობენ ხოლმე — ამ ტაძრებში არის ისეთი ძალა, რომელიც ჩვენს სალოცავებში არ არისო. ამ ტაძრიდან გასვლის შემდეგ ვხედავთ, რომ ჩვენს ოჯახებში ბედნიერება და წარმატება ისადგურებსო.

გიორგობის დღესასწაულზე უამრავი აზერბაიჯანელი მოდის. ერთხელ ფეხშიშველი მუსლიმანი ქალი შემხვდა, რომელსაც მძიმე ავადმყოფი ქმარი ჰყოლია და ექიმს უთქვამს, — თავი დაგვანებე, ეს კაცი მაინც მოკვდება და ტყუილად ნუ გვაწუხებო. მოგვიყვა, რომ ოთხჯერ ყოფილა მოსალოცად მექაში. მოგეხსენებათ, მუსლიმანებისთვის მექა რაოდენ მნიშვნელოვანია, მაგრამ ქურმუხზეც ამოსულა და უთხოვია, თუ ჩემი ქმარი გადარჩება, მომავალ წელს ფეხშიშველი ამოვალ და ქმარსაც ამოვიყვანო. ამ ქალბატონის მეუღლე მართლაც გამოჯანმრთელდა.

უფრო მეტსაც გეტყვით, **ქრისტიანი აზერბაიჯანელებიც არსებობენ და, სხვათა შორის, გულმხურვალე მლოცველები არიან და ქრისტიანული სარწმუნოებაც გააზრებული აქვთ.**

**— არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც, ქრისტიანულ დღესასწაულზე მუსლიმანების დასწრების მიზეზი ისიც არის, რომ მათ, უბრალოდ, სურთ, აჩვენონ, რომ ეს ქართველების კი არა, აზერბაიჯანელების დღესასწაულია...**

— დიახ, ეს ვერსიაც არსებობს. ეკლესიაში ლოცვის შემდეგ მინდორზე ზეიმი იმართება. ოფიციალურ სტრუქტურებში მომუშავე ადამიანები სპეციალურად მოდიან დღესასწაულზე და ადგილებს იკავებენ, რათა ქართველებს აღარ მიეცეთ საშუალება, დასხდნენ და იზეიმონ. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან თბილი და ყურადღებიანია, ყველა ძალიან კარგად მექცეოდა. კახის გარდა, ბევრ აზერბაიჯანულ ქალაქში ვარ ნამყოფი და ქუჩაშიც კი ძალიან დიდ სიმპათიასა და სითბოს გამოხატავენ. აზერბაიჯანში სასულიერო პირს განსაკუთრებულ პატივს სცემენ. თუ რაიმე დაგჭირდა, მხარში ამოდგომა იციან.

**— მამაო, რა გამოსავალს ხედავთ?**

— ერთადერთ გამოსავალს ვხედავ — ჩვენმა ხელისუფლებამ, ანუ პრეზიდენტმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს უნდა მიმართოს. მხოლოდ სიტყვები და დაპირება, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ამ შემთხვევაში, დანაშაულია. ხელისუფლებას ვთხოვ, გულისხმიერება გამოიჩინოს, რადგან ეს არ არის უმნიშვნელო საკითხი. თუ აზერბაიჯანი მართლაც ჩვენი მეგობარია, ცალმხრივი მეგობრობა არ არსებობს და დიდი იმედი მაქვს, საქმე სასიკეთოდ გადაწყდება.

**«ჩვენმა ხელისუფლებამ, პრეზიდენტმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს უნდა მიმართოს. მხოლოდ სიტყვები და დაპირება, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ამ შემთხვევაში დანაშაულია. ხელისუფლებას ვთხოვ, გულისხმიერება გამოიჩინოს, რადგან ეს არ არის უმნიშვნელო საკითხი. თუ აზერბაიჯანი მართლაც ჩვენი მეგობარია, ცალმხრივი მეგობრობა არ არსებობს და დიდი იმედი მაქვს, საქმე სასიკეთოდ გადაწყდება»**

**«არ მოსწონთ, რომ ქრისტიან მღვდელს ადგილობრივ აზერბაიჯანელ მუსლიმ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობა აქვს»**

ესაუბრა **შორენა ციჳქარაშვილი**

## ექსპერტი

**„თუ უახლოეს მომავალში ქმედითი ზომები არ გატარდა, საქართველოს მოსახლეობა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ვეღარ გაუძლებს. ხალხს მსყიდველობითი უნარი აღარ აქვს. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ლუკმაპურის საშოვნელად საზღვარგარეთ წასვლაზე ფიქრობს“.**



# თამარ კიკნაძე: საქართველოში უნდა დასრულდეს დრო, როდესაც მხოლოდ პოლიტიკური ელიტა ცხოვრობს კარგად

**მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**

**— ქალბატონო თამარ, მსოფლიოს ყურადღება საბერძნეთისკენ იყო და არის მიპყრობილი. პოლიტოლოგები სხვადასხვა შეფასებას აკეთებენ, ზოგი ამბობს, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, ზოგის აზრით კი, საბერძნეთი შეცდა...**

— **საბერძნეთმა დეფოლტი გამოაცხადა. მან უარი თქვა ვალის გადახდის კაბალურ პირობებზე, რომლებიც ქვეყნის სოციალური პაკეტის მკვეთრად შემცირებას და ვალის გადახდის მძიმე პირობებს გულისხმობდა.**

საბერძნეთის ვალი 330 მილიარდ დოლარს აღწევს. გადახდის პირობები ძალიან მძიმეა. თუ საბერძნეთი ამ პირობებს დათანხმდებოდა, ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს 39 წლის განმავლობაში ყოველთვიურად 180 ევროს გადახდა მოუწევდა.

**ალექსის ციპრასი** ახალგაზრდა, ქარიზმული და ძალიან გაბედული ლიდერია. მან რეფერენდუმის წინა დღეს სინტაგმას მოედანზე გამართულ მრავალრიცხოვან მიტინგზე პათეტიკური სიტყვა წარმოთქვა და აღნიშნა, რომ **ბერძენი ხალხისთვის შეურაცხმყოფელია ე. წ. სამეულის — ევროკავშირის, ევროპის ცენტრალური ბანკისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის — მიერ შეთავაზებული პირობები, რომ დღეს ევროპაში აღარ არის ის დემოკრატიული ღირებულებები, რომლებითაც იგი ყოველთვის ამაყობდა და რომლებსაც საფუძველი საბერძნეთში ჩაეყარა; რომ სწორედ აქ მოიტაცა ზევსმა ევროპა, რომ ბერძენ ხალხს აქვს ღირსება და არ დაუშვებს ისეთ მოქცევას, როგორც მას ევროპა ექცევა, ამიტომ ის მოქმედებს ბერძნული დემოკრატიულ ტრადიციის შესაბამისად — ატარებს რეფერენდუმს და ხალხთან ერთად იზიარებს პასუხისმგებლობას.**

რეფერენდუმამდე, წინასწარი კვლევების მიხედვით, მოსახლეობა ორად იყო გაყოფილი, მაგრამ საბოლოოდ მოსახლეობის 61 პროცენტმა უარყოფითი აზრი გამოხატა და შედეგი ზეიმით აღნიშნა.

ბოლო ხანს მსოფლიოში მძიმე მდგომარეობაა შექმნილი. დღეს საბანკო კაპიტალის ბატონობის ერაა. ისინი ფულს, ფაქტობრივად, ჰაერიდან შოულობენ და მოსახლეობას ფინანსურ კაბალაში ამყოფებენ. იზრდება სოციალური ნაპრალი მდიდრებსა და ღარიბებს შორის — მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები უფრო ღარიბდებიან. ხდება საშუალო ფენის გამოხშირვა და მსოფლიო ხალხების სიმდიდრისა და საკუთრების მდიდართა ხელში კონცენტრირება. სწორედ ამით არის განპირობებული ის მრავალრიცხოვანი გამოსვლები, რომლებიც მსოფლიოში იმართება.

ნობელის პრემიის ლაურეატი **ჯოზეფ სტიგლიცი** აღნიშნავს, რომ საბერძნეთისთვის მიცემული კრედიტიდან ძალიან ცოტა მოხმარდა ბერძენ ხალხს და არც ევროკავშირის ლიდერ ქვეყნებს წაუგიათ რამე.

**— რა სანქციები დაეკისრება საბერძნეთს?**

— ბრიუსელი უარყოფითად უყურებს ციპრასის ხელისუფლებას. ევროპელი ლიდერები თვლიან, რომ ის მარქსისტია. ევროკავშირი ახალ შეთავაზებებს ელის საბერძნეთისგან და ამ ქვეყნის ხელისუფლებას მეტი პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებს.

ევროპაში მიმდინარე ბოლოდროინდელ პროცესებს თუ გადავხედავთ, მივხვდებით, რომ საქმე რთულადაა, რაც ევროინტეგრაციას საფრთხეს უქმნის. რეფერენდუმის ჩატარებას აპირებს ინგლისიც. დევიდ კემერონის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა სწორედ ევროსკეპტიციზმი იყო.

**— საბერძნეთს მხარდასაჭერად რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლები ეწვივნენ. უცხოელი პოლიტოლოგები იმედოვნებენ, რომ ეს ქვეყნები საბერძნეთის შეცდომას არ გაიმეორებენ...**

— საბერძნეთში ევროპული ქვეყნების მემარცხენე დელეგაციები ჩავიდნენ. ისინი მოვლენებს აკვირდებოდნენ და საბერძნეთს მხარს უჭერდნენ. **მძიმე მდგომარეობაა ესპანეთში, პორტუგალიაში, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ამიტომ მათი იქ ჩასვლა შემთხვევითი არ იყო. ამას გარდა, საბერძნეთის მხარდასაჭერი აქციები გაიმართა ლონდონში, პარიზში, ბერლინში, ლისაბონში და მსოფლიოს ბევრ სხვა ქალაქში.**

უნდა აღინიშოს, რომ აშშ-ს ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში სურს ურთიერთობა, რაც ევროპას არასახარბიელო შედეგებს მოუტანს. აშშ კი დაინტერესებულია ევროკავშირის შენარჩუნებაში. არ გამოვრიცხავ, საბერძნეთში მიმდინარე პროცესი ლატენტურად (ფარულად — ე. ნ.) იყოს მხარდაჭერილი ზოგიერთი ევროპელი ლიდერისგან. ამას მაფიქრებინებს „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული მასალები.



**«იმის ნაცვლად, რომ საქართველოს თავისი სტრუქტურების აღმშენებლობაზე ეზრუნა, სასიცოცხლო ენერგია პროდასავლურობისთვის ბრძოლას შევალიეთ, გავხდით რუსეთის მოწინააღმდეგე და დავკარგეთ რუსეთის ბაზარი, მაშინ, როდესაც ეს ბაზარი აზერბაიჯანელებმა, ყაზახებმა, სომხებმა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა მშვენივრად გამოიყენეს. ქართველებმა არარაციონალური ქმედებებით ურთიერთობებიცა და ეკონომიკაც დავანგრიეთ»**

დასავლეთში არიან ადამიანები, რომლებიც გრძნობენ მსოფლიოში შექმნილ მძიმე ვითარებას და მიაჩნიათ, რომ ეს ვითარება უნდა შეიცვალოს.

**— საბერძნეთის ანალოგიური ვითარებაა საქართველოშიც, ოღონდ ერთი განსხვავებაა — ჩვენ ევროკავშირის წევრები არ ვართ. საბერძნეთში ხალხი ამბობდა, რომ ევროკავშირიდან შემოსული ფულით რამდენიმე ადამიანი მდიდრდება, ხალხთან არაფერი მიდის, ვალი კი ხალხის კისერზეა...**

— **დღეს საქართველოს ისეთი პოლიტიკური ელიტა სჭირდება, რომელიც არაორდინარულ გადაწყვეტილებებს მიიღებს. საქართველოშიც ძალიან მძიმე ვითარებაა — მოსახლეობის უმრავლესობა ბანკების კაბალაშია გახვეული.** სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში მოსახლეობისთვის უპრეცენდენტოდ მძიმე და არასამართლიანი კანონები მიიღეს. საბანკო ბიზნესი საქართველოში წარმატებულ ბიზნესად ითვლება, თუმცა არა — მოსახლეობისთვის. **თუ უახლოეს მომავალში ქმედითი ზომები არ გატარდა, საქართველოს მოსახლეობა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ვეღარ გაუძლებს. ხალხს მსყიდველობითი უნარი აღარ აქვს. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ლუკმაპურის საშოვნელად საზღვარგარეთ წასვლაზე ფიქრობს.**

**— საქართველომ თუ უნდა აიღოს მაგალითი საბერძნეთისგან, მით უმეტეს, რომ ჩვენ ევროკავშირის წევრები ჯერ კიდევ არ ვართ?**

— საბერძნეთში განსხვავებული სიტუაციაა. მაგალითი უნდა აიღონ იმისა, რომ **პოლიტიკოსებმა იმოქმედონ ისე, როგორც ქართველ ხალხს წაადგება. სიტუაცია მძიმეა და არის ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქვეყნიდან არაფერი დარჩება.**

**— სულ მაინტერესებდა, რა დაემართება ქვეყანას, რომელიც პოლიტიკურ კურსს შეიცვლის. საბერძნეთის მაგალითზე ვნახე, რომ საგანგაშო არაფერი დაემართა...**

— საქართველოს უნდა ჰქონდეს მრავალვექტორიანი პოლიტიკა და თითოეული ქმედებისას არსებული სიტუაცია უნდა გაითვალისწინოს. **ჩვენ ჩაბმულნი ვართ მსოფლიო წესრიგის არასასურველ პროცესში. ეს არის დაპირისპირება დასავლეთსა და რუსეთს შორის, უპირველეს ყოვლისა, ამერიკასა და რუსეთს შორის. ევროპა ამერიკაზეა დამოკიდებული მთელი რიგი ფაქტორების გამო,** თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღევანდელი ხელისუფლება შედარებით ფრთხილად იქცევა, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ მომენტებს, რომლებზეც ჩვენ ბევრი გვისაუბრია და ისიც, რომ ამ მდგომარეობამდე არ უნდა მივსულიყავით. ეს სხვა ქვეყნებმა მოახერხეს... **სააკაშვილის პერიოდში საქართველოს ფუნქცია რუსეთის გაღიზიანება იყო. და თუ ქვეყანას აქვს დესტრუქციული ფუნქცია, ეს ყოველთვის ცუდად მთავრდება.** საჭიროა, საქართველომ შეიძინოს რუსეთსა და დასავლეთს შორის ხიდის ფუნქცია. თუ იქნებიან ჭკვიანი, პატრიოტი პოლიტიკოსები, რომლებიც არა მხოლოდ პირადი, არამედ ქვეყნის ინტერესებით განიმსჭვალებიან, საქართველო მძიმე მდგომარეობიდან გამოვა. **საქართველოში უნდა დასრულდეს დრო, როდესაც მხოლოდ პოლიტიკური ელიტა ცხოვრობს კარგად.**

**— ევროპული პრესა ბევრს წერს, რომ საქართველოში პრორუსული ძალები მომრავლდნენ. ვფიქრობ, უფრო ანტიამერიკულმა ძალებმა იმრავლეს...**

— განწყობების ცვლილება არსებული ვითარებიდან გამომდინარე ხდება. წლების განმავლობაში მოსახლეობას სჯეროდა ან გვაჯერებდნენ, რომ ჩვენ ნატოსა და ევროკავშირის წევრები გავხდებოდით და ცხოვრებაც გაუმჯობესდებოდა, მაგრამ შედეგი აშკარაა — ჩვენ უკან-უკან წავედით.

საბჭოთა კავშირში საქართველო ეკონომიკურად და სოციალურად კარგად ცხოვრობდა, ყველას ეგონა, რომ ევროკავშირიც იგივე იქნებოდა საქართველოსთვის, მაგრამ ევროპა საბჭოთა კავშირი არ არის. ევროპა ყველაფერს კარგად წონის და ზომავს. **იმის ნაცვლად, რომ საქართველოს თავისი სტრუქტურების აღმშენებლობაზე ეზრუნა, სასიცოცხლო ენერგია პროდასავლურობისთვის ბრძოლას შევალიეთ, გავხდით რუსეთის მოწინააღმდეგე და დავკარგეთ რუსეთის ბაზარი, მაშინ, როდესაც ეს ბაზარი აზერბაიჯანელებმა, ყაზახებმა, სომხებმა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა მშვენივრად გამოიყენეს. ქართველებმა არარაციონალური ქმედებებით ურთიერთობებიცა და ეკონომიკაც დავანგრიეთ.**

რუსეთი არის უახლოესი მეზობელი, იქ მილიონამდე ქართველი ცხოვრობს, ამიტომ ამჟამინდელი ურთიერთობები, რომლებიც რუსეთთან გვაქვს, გამართლებული არ არის. ჩვენი და რუსეთის ურთიერთობა არარაციონალურია, რატომღაც ქართველებს ჰგონიათ, რომ რუსეთმა აფხაზეთი და სამაჩაბლო უპირობოდ უნდა დააბრუნონ, მაგრამ პოლიტიკაში ასეთი რამ არ ხდება. ჩვენ ვალდებულნი ვართ, მოვიგონოთ პროექტი და რუსეთი ვაიძულოთ, ეს გააკეთოს. პოლიტოლოგი ვარ და ვიცი, პოლიტიკაში ამის შესაძლებლობები არსებობს.

აბაშიძე-კარასინის ფორმატი და ჟენევის შეხვედრები კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა და ისიც მუდმივი თავდასხმის ობიექტია დესტრუქციული ძალისაგან, რომელიც თავს ოპოზიციას უწოდებს.

უკრაინასა და რუსეთს შორის ძალზე რთული მდგომარეობაა, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობა მაინც აქვთ.

**— გარდაიცვალა ევგენი პრიმაკოვი — თბილისის საპატიო მოქალაქე. უნდა ჩასულიყო თუ არა მოსკოვში ქართული დელეგაცია?**

— ევგენი პრიმაკოვმა თავისი სიყრმე და ახალგაზრდობა საქართველოში გაატარა. ყველა, ვინც მას იცნობდა, აღნიშნავს, რომ ცხოვრების ამ პერიოდმა მასზე დიდი გავლენა იქონია. პრიმაკოვის შვილიშვილს, რომელიც დღეს ცნობილი ჟურნალისტია, ფსევდონიმად **ევგენი-სანდრო ჰქონდა აღებული. პრიმაკოვი იყო ჭკვიანი, გავლენიანი და ღირსეული ადამიანი და ქართველების ლობისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე. პოლიტიკური კონიუქტურის გამო ჩვენი დელეგაცია მოსკოვში არ ჩავიდა, ქართულმა მხარემ სამძიმარი ვერ გაიმეტა.**

მსოფლიო დონის ბალერონ **ნიკოლოზ ცისკარიძეს** თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება უნდა მინიჭებოდა, მაგრამ დაურეკეს და უთხრეს, — ამ საპატიო წოდებაზე კონკურსი ვერ გაიარეო. როგორც ჩანს, დღეს მოქმედებს დირექტივა — ის, რაც რუსეთთან არის დაკავშირებული, მიუღებელა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები აბსურდულია და კარგია, თუ სხვა სტადიაში გადავა, უფრო პრაგმატულ-რაციონალურ და სასარგებლო ურთიერთობებში. **ღრმად მწამს, რომ, როგორც პატარა საქართველოს სჭირდება დიდი რუსეთი, ასევე სჭირდება დიდ რუსეთს პატარა საქართველო.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**თუკი „ოცნების“ 2016 წლის საარჩევნო სიებში კვლავ ჯიუტად იქნება წარმოდგენილი ჰომოსექსუალთა ქორწინების დაკანონების „წინგადადგმულ ნაბიჯად“ წარმომჩენი კანდიდატები, ამ საარჩევნო სიას კარგი დღე არ უწერია!**



**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტოლერანტობის ფაფა და ცისარტყელის მახათი

**როგორც კი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ პირდაპირი მხარდაჭერა გამოხატა ე.წ. ლგბტ თემის მიმართ და ერთი და იმავე სქესის ადამიანთა შორის ქორწინება ქვეყნის მასშტაბით დააკანონა, საქართველოს მატრაკვეცათა კასტამ იმწამსვე დაიწყო „ტოლერანტობის ფაფის“ ხარშვა იმ იმედით, რომ აშშ მასში „ერბოს“ ჩაუგდებს.**



ელისო ჩაფიძე



ლაშა ბუღაძე

რა თქმა უნდა, **ერთი და იმავე სქესის ადამიანთა შორის ქორწინების** საკითხის მიმართ ღია მხარდაჭერის გამოხატვა ქართველ ე.წ. მოლიბერალო ელემენტებს აქამდეც შეეძლოთ, მაგრამ **არ მახსენდება ზედიზედ ამდენი პუბლიკაცია, რეპლიკა, „ფეისბუქ-პოსტი“ თუ კიდევ სხვა საშუალებით გამოხატული თვალსაზრისი, სადაც „მოღვაწენი“ ამა ქვეყნისა ასე აშკარად გამოხატავდნენ მათ მიმართ ღრმა თანაგრძნობას, სიყვარულს, სინაზესა და კიდევ რაღაც აუხსნელ გრძნობას, რომელსაც მაშინ განიცდიან, როდესაც მამაკაცის ტუჩებში ტუჩებით ჩაფრენილ მეორე მამაკაცს ხედავენ!**

ასე განსაჯეთ, თვით **ბატონი ბიძინა ივანიშვილის რჩეულნიც კი უეცრად განიმსჭვალნენ ლესბოსელთა, ჰომოსექსუალთა, ბისექსუალთა და ტრანსსექსუალთა მიმართ მზრუნველობითა და უნაზესი გრძნობით. არადა, თუ კარგად გავიხსენებთ, ივანიშვილი 2012 წლის არჩევნების წინ სწორედ ოჯახის სიწმინდითა და ტრადიციული ოჯახური ფასეულობებით აწონებ- და თავს საქართველოს ამომრჩეველს.**

თუმცა გახსენებაც არ არის საჭირო, რადგან „ივანიშვილის ღარიბაშვილმა“ კატეგორიულად განაცხადა, ყველაფერს ვიზამ, რომ საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ ჩაიწეროს — ოჯახი ქალისა და მამაკაცი ერთობა არისო!

ზუსტად ვერ გეტყვით, ეს განცხადება უფრო ადრე იყო თუ ამერიკის მთავრობის გამოხდომა — გპირდებით, ყველაფერს ვიზამთ, რათა მალე ერთსქესიანთა ქორწინება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაკანონდესო...

ისე, რომელმა რომელს დაასწრო, რა მნიშვნელობა აქვს. **საინტერესოა, ღარიბაშვილი უფრო „იზამს ყველაფერს“ თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა.**

სიმართლე გითხრათ, პრემიერ ღარიბაშვილის მიერ „ყველაფრის ქნა“ მხოლოდ 2016 წლის შემოდგომის არჩევნებამდე მეჩვენება რეალურად. აი, ამის შემდეგ, **თუკი კიდევ ვინმე გაბედავს და რამეს „იზამს“, მას ამერიკის მთავრობა ისეთს „უზამს“, დღემდე რომ არაერთი მთავრობისთვის უქნია არა მხოლოდ საქართველოში!**

აი, სწორედ ამ ფონზეა საინტერესო **„ტოლერანტობის ფაფის“ მოხარშვის მომლოდინეთა ის რიგი, რომელშიც უკვე აშკარად ჩადგნენ ივანიშვილის „რჩეულნი“.**

კერძოდ, ამ დღეებში პარლამენტარმა **თამარ კორძაიამ** პირდაპირ განაცხადა, რომ ის მომხრეა საქართველოში **ერთი და იმავე სქესის ადამიანთა შორის ქორწინების** დაკანონების და ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა ქართული საზოგადოება ლგბტ თემის მიმართ უფრო ტოლერანტული გახადოს, რასაც შედეგად შესაბამისი კანონის მიღებაც უნდა მოჰყვეს, მისი აზრით, ეს „წინგადადგმული ნაბიჯი“ იქნება...

თამარ კორძაიას არც პარლამენტარი **ელისო ჩაფიძე** ჩამორჩა და საქართველოს მოსახლეობას მანაც ტოლერანტობისკენ მოუწოდა. ჩაფიძის აზრით, საქართველოს მოსახლეობამ დადებითად უნდა აღიქვას ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაც და ამერიკის მთავრობის განცხადებაც მსოფლიოში მსგავსი ქორწინების დაკანონების თაობაზე.

**რა არის ეს?**

**თუკი რესპუბლიკელი კორძაიასგან მსგავსი პოზიცია საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გაუკვირდებოდა, ელისო ჩაფიძის ასეთი გამოხდომა, რომელიც არა კოალიციაში შემავალი რომელიმე „გარე“ პარტიის, არამედ უშუალოდ „ოცნების“ კანდიდატი და პირადად ბიძინას რჩეულია, ხომ არ ნიშნავს ნიადაგის მოსინჯვას საზოგადოებაში, ემანდ, იქნებ არც ისე ძალიან გაბრაზდეს საქართველოს მოსახლეობაო?**

თუ არადა, მაშინ **როგორ უნდა გავიგოთ ბიძინას ერთი პირადი რჩეულის — ირაკლი ღარიბაშვილისა და მეორე პირადი რჩეულის — ელისო ჩაფიძის ასე მკვეთრად გამიჯნული პოზიციები?**

აქამდე, აზრთა სხვადასხვაობას სხვადასხვა საკითხზე კოალიციაში შემავალი სხვადასხვა პარტიით ხსნიდნენ ხოლმე „მეოცნებენი“. ამჯერად კი გვაქვს უშუალოდ „ოცნების“, არა როგორც კოალიციის, არამედ როგორც კონკრეტული პარტიის მიერ წამოწეული პოლიტიკური ფიგურების, მეტიც, პირადად ბიძინა ივანიშვილის მოწადინებითა და ხელდახსმით გაპოლიტიკოსებული პერსონების მძიმე მენტალური დაპირისპირება!

**რას ნიშნავს ეს?**

ახსნა ძალიან მარტივია — ისევ და ისევ მაგიური სიტყვა „გრანტი“!

**თუ გავიხსენებთ, საიდან და როგორ მოხვდა ქალბატონი ელისო ჩაფიძე „სოლოლაკის შუშის სასახლეში“, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება!**

ელისო ჩაფიძე სწორედ ის ჟურნალისტია, რომელიც ივანიშვილმა თავის პირველ, 2011 წლის სექტემბრის „ეპისტოლეში“ შალვა რამიშვილისა და სხვა „ნიჭიერთა“ გვერდით არ მოიხსენია!

ამით გაბრაზებულმა ჩაფიძემ ივანიშვილს, პირდაპირი მნიშვნელობით, „გადაუარა“ და მიწასთან გაასწორა. მილიარდერს, როგორც ჩანს, ვიღაცამ ჩააგონა, რომ ჩაფიძე „მძიმე წონაა“ და მასთან დაპირისპირება არ ღირდა, ანუ **ჩაფიძის შემთხვევაშიც ბატონი მილიარდერი ზუსტად ისე დააგოიმეს, როგორც არაერთ სხვა შემთხვევაში, გნებავთ, პოლიტიკურ და გნებავთ, სრულიად უნიჭო „ხელოვნების ნიმუშების“ შეძენის საკითხებში.**

აი, სწორედ ამის შემდეგ დაიბარა ელისო ჩაფიძე მილიარდერმა „შუშებში“. იქიდან გამოსული ჟურნალისტი კი უკვე სულ სხვა გუნებაზე იყო და დაუფარავი აღტაცებით გაიძახოდა, „არ ყოფილა ბატონი ბიძინა ისეთი“-ო!

აი, **როგორი „ისეთი“ არ ყოფილა ბატონი ბიძინა, დღემდე ვერ გავიგეთ, სამაგიეროდ, ელისო ჩაფიძის მატერიალური მდგომარეობა რომ ძალიან გაუმჯობესდა, ფაქტია!**

ჰოდა, როგორც ჩანს, **ყოფილ მეგრანტე ჟურნალისტს ბოლო ხანს „არ ყოფილა ისეთი“-ს ინერციით ნაშოვნი მატერიალური კეთილდღეობა შემოაკლდა და ახლა ისიც „ტოლერანტობის ფაფის“ დუღილში აპირებს გადაშვებას მეტი „ერბოს“ მოსაპოვებლად!**

თუ შეამჩნიეთ, ამას წინათ „პირველ არხზე“ ერთ-ერთ გადაცემაში სტუმრობისას ივანიშვილს განაწყენებული ტონით წამოსცდა: „აწი უფრო მეტს დავფიქრდები, ვიდრე ვიღაცების რჩევით ხელოვნების ნიმუშებს შევიძენო“.

ძნელი სათქმელია, როდის დაფიქრდება ამის ნახევარს მაინც ბატონი ბიძინა, ვიდრე თავისი შვილის ტელევიზიისთვის ვიღაცების რჩევით პროდიუსერებს, ჟურნალისტებსა და წამყვანებს შეარჩევს ყოფილი „ნაციონალების“ ჯიბის კონტინგენტიდან...

უფრო ძნელი სათქმელია, **როდის დაფიქრდება ამის მეათედს მაინც, ვიდრე საკუთარი პარტიის საარჩევნო სიისთვის პოლიტიკოსებსა და იურისტებს შეარჩევს...**

მაგრამ ფაქტია: **თუკი „ოცნების“ 2016 წლის საარჩევნო სიებში კვლავ ჯიუტად იქნება წარმოდგენილი ჰომოსექსუალთა ქორწინების დაკანონების „წინგადადგმულ ნაბიჯად“ წარმომჩენი კანდიდატები, ამ საარჩევნო სიას კარგი დღე არ უწერია!**

სამაგიეროდ, ნაკლებად აღელვებს საარჩევნო სიები ე.წ. დრამატურგ **ლაშა ბუღაძეს. ის უკვე დაუფარავად „უმწლაკუნებს პირს“ ამ ჩვენს „ტოლერანტობის ფაფის მოთუხთუხე ქვაბს“ და პირდაპირ აცხადებს, რომ ისეთი ტოლერანტულია ერთი და იმავე სქესის ადამიანთა შორის ქორწინებების დაკანონების მიმართ, ტოლერანტობის უნახავს გაგხდის პირდაპირ!**

ამ შემთხვევაშიც, **ბუღაძე, როგორც სჩვევია ხოლმე, განსაკუთრებით მსუყე „ერბოს“ ელოდება და დიდი მონდომებით აგრძელებს ზნეობის დამცველთა „მიბმას“ რუსეთუმეებსა და ანტიდასავლელებთან.**

გაუგებარია, ამ „ერბოს“ მომლოდინეებს რატომ არ ესმით, რომ უზნეობის მიბმა „მედასავლეთეებთან“ და ზნეობის მიბმა „რუსეთუმეებთან“ არის სწორედ პუტინის წისქვილზე წყლის დასხმა?!

თუმცა, როგორც ჩანს, დასავლეთიდან მსუყე გრანტების მოლოდინი მართლაც ძალიან აბრმავებს თვალს და აყრუებს ყურს.

**ამავე „ერბოს“ ელოდებიან, როგორც ჩანს, მედიასაშუალებები და უკვე დღეში 2-3-ჯერ მაინც გადააწყდება მაყურებელი სხვადასხვა ტელევიზიის ეთერში „სტერეოტიპების მსხვრეველ“ სიუჟეტებს.**

უფრო სწორად თვითონ ამ სიუჟეტების ავტორები და გმირები უწოდებენ ასე საკუთარ თავს, თორემ რეალურად ასეთი ყოვლად უაზრო სიუჟეტები არაფერსაც არ „ამსხვრევს“, უბრალოდ, კიდევ ერთხელ განამტკიცებს საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ აზრს, რომ მამაკაცურ საქმეებში ზოგჯერ, იშვიათად და ასე თუ ისე გამოდგებიან და გამოერევიან ხოლმე გამონაკლისი ქალები.

მაგალითად, ბოლო პერიოდში ვნახე სიუჟეტები პოლიციელ ქალებზე, სამხედრო მფრინავ ქალებზე, მაშველ ქალზე...

და ყველა ეს სიუჟეტი ერთსა და იმავეს გვაუწყებდა: „ამ ქალებს სურთ, დაამსხვრიონ სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ ქალი ვერ გააკეთებს მამაკაცის საქმეს. ისინი თავისი ცხოვრებით ამტკიცებენ, რომ ქალისთვის დაუძლეველი არაფერია!“ — ეს ყოვლად სულელური ფორმულა უკვე ძალიან შემოვიდა „მოდაში“ და მას ხშირად იყენებენ „ერბოს“ მომლოდინე „ტოლერანტები“.

არადა, ნამდვილად გაუგებარია, რანაირად „ამსხვრევს სტერეოტიპებს“ ასიოდე ქალის არსებობა რამდენიმე ათეულათასიან არმიაში, 4-5 ქალის არსებობა — რამდენიმე ასეულ სამხედრო მფრინავში ან ერთადერთი ქალის არსებობა რამდენიმე ათეულ მაშველს შორის?!

**რომელ „სტერეოტიპებზე“ საუბრობს ეს ხალხი, როდესაც მსოფლიოს ახსოვს მეფე ქალებიც, დიქტატორი ქალებიც, ჯალათი ქალებიც, მარტენის ღუმელთან მდგომი ქალებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, რომის პაპი ქალიც კი!**

მაშ, რაღას „ამსხვრევენ“ ეს ქალები და ჟურნალისტები?

მე უფრო მგონია, რომ **ისინი კი არ „ამსხვრევენ“, არამედ კიდევ უფრო განამტკიცებენ სტერეოტიპს, ზოგიერთი მატრაკვეცა ქალის ტვინისმიერი სიტუტუცის შესახებ.**

თორემ **ის „სტერეოტიპები“, რომლებზეც ისინი მიგვანიშნებენ, მხოლოდ მაშინ დაირღვევა, როდესაც ჯარში, პოლიციაში, მაშველებში, აგრეთვე, სამოქალაქო შრომის მძიმე სამუშაოებზე — „რასტვორის“ მოზელაზე, „ბალგარკაზე“ და ა.შ. — ქალი მეტი იქნება, ვიდრე მამაკაცი. ეს კი არასოდეს მოხდება!**

თორემ **ერთეული ქალების გამოჩენა სხვადასხვა „მამაკაცურ“ სამუშაოებზე მსოფლიოს დასაბამიდან არ უკვირს და ეს სულელური სიუჟეტები ვერანაირ სტერეოტიპს ვერ „ამსხვრევს“.**

თუმცა **ვის რაში აინტერესებს რეალური შედეგი ან ის, რა მდგომარეობამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა და სახელმწიფო ასეთმა სისულელემ...**

არც იმაზე ფიქრობს არავინ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დიდი და მდიდარი ქვეყანაა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით, დაცული მოქალაქეებით, მეტ-ნაკლები სოციალური პრობლემატიკით, მაგრამ მაინც უზრუნველყოფილი მოსახლეობითა და დალაგებული სახელმწიფო სტრუქტურებით...

ანუ მათ საქმე და საზრუნავი არაფერი აქვთ! უსაქმური კაცი კი რასაც აკეთებს ხოლმე ხანდახან უსაქმურობისგან, ყველამ ვიცით...

აი, ჩვენ, ანუ **საქართველოს სახელმწიფოს გვაქვს კი საქმე ისე, ცისარტყელის ფერებში ამოვლებული მახათი ერთ ადგილში რომ გავირჭოთ?**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევგენი პრიმაკოვის გალანძღვა არ შეიძლება და თუ ვინმე ამას იკადრებს, მაშინ ისიც თქვას, რისი გაკეთება შეეძლო და რა არ გააკეთა? არ არსებობდა თბილისელი მოსკოვში ჩასულიყო და მას პრიმაკოვი არ დახმარებოდა, თანაც, ისეთ საქმეში, რომლის გაკეთებაც თითქმის შეუძლებელი იყო“.**



ჯუმბერ პატიაშვილი:

# დავითგარეჯის კომპლექსის გადარჩენა ევგენი პრიმაკოვის დამსახურებაა

**26 ივნისს მოსკოვში 85 წლისა გარდაიცვალა ევგენი პრიმაკოვი, რუსეთის ყოფილი პრემიერმინისტრი, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. პრიმაკოვმა მოასწრო, ემუშავა რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის დირექტორად, საგარეო საქმეთა მინისტრად, აგრეთვე, პრემიერმინისტრად ბორის ელცინის პრეზიდენტობისას, იყო რუსეთის ფედერაციის მესამე მოწვევის სახელმწიფო დუმის დეპუტატი. ევგენი პრიმაკოვი 1929 წელს კიევში დაიბადა, საშუალო სკოლა კი თბილისში დაამთავრა. სიჭაბუკის წლებიც თბილისში გაატარა და ბევრ ქართველთან მეგობრობდა; ამბობდა კიდეც, თბილისელი ვარო.**
**1985 წელს თბილისის საპატიო მოქალაქეობა მიანიჭეს. თბილისელები თავიანთ საპატიო მოქალაქეებს, წესით, პატივს უნდა მიაგებდნენ... ევგენი პრიმაკოვისადმი უყურადღებობის გამო მკითხველს ერთ ფაქტს შევახსენებ: 2008 წელს, როცა ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა, საქართველოში ქართველ პარლამენტარებსა და მთავრობის წევრებს მანქანის სანომრე ნიშნებზე მისი სახელი ეწერათ. ძნელი წამოსადგენი არ არის, რას იზამდნენ საქართველოს ხელისუფლება და პირველი პირები, მაკკეინი რომ გარდაცვლილიყო...**
**„პრიმაკოვი ნამდვილი თბილისელი კაცი იყო, მტკვარში, ტივზე მთელი ღამე ბიჭებთან ერთადაც უქეიფია“, — ასე დაახასიათა ევგენი პრიმაკოვი ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა.**

— ევგენი პრიმაკოვი გახლდათ თბილისის საპატიო მოქალაქე, თბილისელი, კარგი კაცი, ჩვენს დედაქალაქსა და ხალხზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება, რომელმაც ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოში მცხოვრებ ადამიანებთან ურთიერთობას შეალია. მას არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა ყველასთან. არ აცდენდა არც ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც ქართველებსა და საქართველოს ეხებოდა.

ევგენი პრიმაკოვს უმძიმეს პერიოდში მოუწია მოღვაწეობა, სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოში არეულობა დაიწყო, თუმცა ახლა ამაზე საუბარი არ მსურს...

მასთან ახლო და კარგი ურთიერთობა მქონდა. პრიმაკოვზე მოთხრობილი მაქვს ჩემს წიგნში „ოცდასამი წლის შემდეგ“. ამით მისდამი პატივისცემა გამოვხატე.

**დღეს ბევრს საუბრობენ, პრიმაკოვს ბევრი რამის გაკეთება შეეძლო საქართველოსთვისო, მაგრამ ამას ამბობენ ის ადამიანები, რომლებსაც თვითონ არაფერი გაუკეთებიათ, არადა, უფრო მეტი უნდა გაეკეთებინათ, ვიდრე პრიმაკოვს.**

ევგენი პრიმაკოვს ძალიან დადებითად ვაფასებ. მას ქართველი მეუღლე ჰყავდა, შვილებს ქართულად ზრდიდა. მოხდა ისე, რომ მოსკოვში მოუწია წასვლა, ისწავლა მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, დაამთავრა ასპირანტურა მოსკოვის უნივერსიტეტში. მოგვიანებით იმუშავა არაბულ ქვეყნებში გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტად; იყო სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელიც — მართავდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა და მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტს.

დაძაბული სამუშაო რეჟიმის მიუხედავად, მას საქართველო და ქართველები არასოდეს დავიწყებია. გადიოდა წლები და ყოველთვის ახერხებდა, თბილისში წელიწადში რამდენჯერმე ჩამოსულიყო. განსაკუთრებით უყვარდა „თბილისობის“ დღესასწაული. 1985 წელს ის თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

პრიმაკოვი არ აცდენდა არც ერთ ღონისძიებას, რომლებიც რუსეთსა და საქართველოს აკავშირებდა.

**— ბატონო ჯუმბერ, საქართველოში ამბობენ, ევგენი პრიმაკოვს აფხაზეთში კონფლიქტის დროს ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ არაფერი გააკეთაო...**

— პრიმაკოვმა, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა. ამას რომ ვამბობ, ბევრი ოპონენტი გამომიჩნდება, მაგრამ ყველა მათგანს ვკითხავ — თვითონ რა გააკეთეს აფხაზებსა და ქართველებს შორის ომის თავიდან ასაცილებლად? ბევრი მათგანი ხომ აფხაზებს აგდებით მოიხსენიებდა და არც ქართველები უსახელებია თავისი „კაიკაცობით“?

არ არის კარგი, როდესაც მხოლოდ ერთ პიროვნებას ბრალდება ყველაფერი, ერთი პრიმაკოვი რას გადაწყვეტდა? ეს ადამიანი აფხაზებთანაც მეგობრობდა და ქართველებთანაც, ამის მოწმე პირადად ვარ.

ჩვენ ბავშვობიდან ვმეგობრობდით. უნდა გენახათ, როგორი სიხარულით შეხვდნენ თბილისელები, როდესაც საპატიო მოქალაქედ ავირჩიეთ.

**პრიმაკოვი უდიდესი თაყვანისმცემელი იყო ქართველი კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებისა; მეგობრობდა ყველასთან — მსახიობებთან, მომღერლებთან, სპორტსმენებთან.**

**ძალიან მწყდება გული, რომ ევგენი პრიმაკოვზე ცუდს ამბობენ. ხელის ერთი მოსმით ადამიანის განადგურება არ შეიძლება. ყველა ადამიანს აქვს განცდა, ჰყავს ოჯახი, აქვს გრძნობები... გარდა ამისა, დრო და ისტორია ყველაფერს თავის სახელს არქმევს.**

**— რა დამსახურება აქვს ევგენი პრიმაკოვს საქართველოს წინაშე?**

— როდესაც დავითგარეჯის კომპლექსის გამო საპროტესტო გამოსვლები დაიწყო და იქ არსებული პოლიგონის გაუქმებას მოითხოვდნენ, პრიმაკოვმა დიდი როლი ითამაშა.

1987 წელი იყო, პრიმაკოვი თბილისში იმყოფებოდა, უცხოელები ახლდნენ. საპროტესტო აქცია ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან მიმდინარეობდა. პრიმაკოვი ჩემთან მოვიდა. საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივან მიხეილ გორბაჩოვს დაველაპარაკე, პრიმაკოვი ჩემთან ერთად იყო, მთხოვა, ყურმილი მისთვის მიმეცა და გორბაჩოვს თვითონ დაელაპარაკა. რა თქმა უნდა, პრიმაკოვს გაცილებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან, დაწვრილებით აუხსნა თბილისში არსებული ვითარება. პრიმაკოვმა ახალგაზრდების მოთხოვნას მხარი დაუჭირა.

გორბაჩოვმა მითხრა, მოსკოვში როდესაც ჩამოხვალ, ყველა მასალა ჩამოიტანე, რაც დავითგარეჯის კომპლექსზე არსებობსო. მოსკოვში ჩავიტანე **გიორგი ჩუბინაშვილის** წიგნი, რომელშიც დავითგარეჯის კომპლექსზე ყველაფერი ეწერა. გორბაჩოვმა წიგნი დაიტოვა, ჩემი თანდასწრებით მარშალ **დიმიტრი იაზოვს** დაურეკა, უთხრა, რომ საკითხი ხალხის მოთხოვნის გათვალისწინებით გადაწყვეტილიყო. ამ ყველაფერში კი უდიდესი წვლილი ევგენი პრომაკოვს მიუძღოდა. ეს ისტორიული ფაქტია. **დავითგარეჯის კომპლექსის გადარჩენა ევგენი პრიმაკოვის დამსახურებაა.**

**დღეს დავითგარეჯა აღარავის ახსოვს, აღარ ახსოვთ არც იმ ადამიანებს, რომლებმაც იმხანად ერთი ამბავი ატეხეს და ხალხი ქუჩაში გამოიყვანეს. დარწმუნებული ვარ, ბევრი ქართველი პოლიტიკოსი დავითგარეჯში ნამყოფიც არ არის.**

გარდა ამისა, პრიმაკოვმა სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში მოიწვია უცხოელების ჯგუფი და კურორტ წყალტუბოში წაიყვანა. პრიმაკოვი ქართულ კურორტებს უდიდეს პროპაგანდას უწევდა. იმხანად ხშირად არ გვსტუმრობნენ უცხოელები. **ქუთაისელები და წყალტუბოელები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები რომ დაინახეს, სტუმრებს ტაქსებით უფასოდ ემსახურებოდნენ, პრიმაკოვი კი ამით ამაყობდა და სტუმრებს ეუბნებოდა, — ქართველები ასეთები არიან, საქართველო ამით არის განთქმულიო.**

დასასვენებლად გაგრასა და ბიჭვინთას სტუმრობდა. თავს თბილისელად თვლიდა. ქართველი მეუღლე ჰყავდა. ქალვაჟი შეეძინა. ვაჟი დაეღუპა.

ცნობილი ქირურგი **ვლადიმერ ბურაკოვსკი** და ევგენი პრიმაკოვი „თბილისელთა კლუბს“ ხელმძღვანელობდნენ და ყველა ღონისძიებას დიდი სიხარულითა და მონდომებით აწყობდნენ. ეს შეხვედრები ზეიმი იყო. პრიმაკოვის უახლოესი მეგობრები იყვნენ: ქირურგი **დათო იოსელიანი** და მხატვარი **ზურაბ წერეთელი**, მათთან ურთიერთობას არაფერი სჯობდა.

გულდასაწყვეტია, რომ ამ ადამიანების ღვაწლი შესაბამისად ვერ დავაფასეთ.

**— ევგენი პრიმაკოვი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, ედუარდ შევარდნაძემ აფხაზებთან მოლაპარაკების დიდი შანსი გაუშვა ხელიდანო. რას გულისხმობდა?**

— რას გულისხმობდა, არ ვიცი, მაგრამ აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების დღიდან ვამბობდი, რომ ეს დანაშაული იყო და თავიდანვე მარცხისთვის ვიყავით განწირული, თუმცა მერეც იყო მოლაპარაკების შანსი. ედუარდ შევარდნაძეს რუსეთის თავდაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა შესთავაზა, სოხუმთან რუსეთის დივიზია ჩამდგარიყო და ამით აფხაზი სეპარატისტების სურვილები გაქარწყლდებოდა. სამწუხაროდ, ყველამ ვიცით, ეს ამბავი როგორც დასრულდა. დიდი ცოდნა არ სჭირდებოდა იმას, რომ აფხაზეთში რუსეთის ჯარები იმყოფებოდნენ და ჩვენთვის მოლაპარაკებაზე უარის თქმა საბედისწერო აღმოჩნდებოდა.

ევგენი პრიმაკოვს იმხანად დიდი ძალაუფლება არ ჰქონდა, მაგრამ ქართველების მხარდაჭერას ყოველთვის ახერხებდა, თანაც — დაუფარავად.

აფხაზეთის ომი ჯერ კიდევ არ შეფასებულა.

**— ბოლო პერიოდში თუ გქონდათ პრიმაკოვთან ურთიერთობა?**

— რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ გაზეთში პრიმაკოვზე დავწერე და მისი ფოტოც გამოვაქვეყნეთ. ეს გაზეთი რომ ნახა, ძალიან გაუხარდა; გაუხარდა, რომ თბილისში ჯერ კიდევ ახსოვდათ...

**ევგენი პრიმაკოვის გალანძღვა არ შეიძლება და, თუ ვინმე ამას იკადრებს, მაშინ ისიც თქვას, რისი გაკეთება შეეძლო და რა არ გააკეთა. არ არსებობდა თბილისელი, მოსკოვში ჩასულიყო და მას პრიმაკოვი არ დახმარებოდა, თანაც ისეთ საქმეში, რომლის გაკეთებაც თითქმის შეუძლებელი იყო.**

**— უნდა წასულიყო თუ არა საქართველოს ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი ევგენი პრიმაკოვის დაკრძალვაზე ან რაიმე ფორმით სამძიმარი უნდა გამოეცხადებინა?**

— აუცილებლად უნდა წასულიყო ვინმე და სამძიმარიც ეთქვა მისი ოჯახისთვის. ევგენი პრიმაკოვი თბილისელი კაცი იყო, თბილისის საპატიო მოქალაქე, ამიტომ ვალდებულებაც იყო, რომ მისი გარდაცვალების გამო მწუხარება გამოეთქვათ. რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა გვაქვს და ამაზე უკეთესი საშუალება, იქ ჩასულიყვნენ, რა უნდა ყოფილიყო? გარდაიცვალა თბილისის საპატიო მოქალაქე და ქართველებმა სამძიმარი გამოუცხადეს, მის ხსოვნას პატივი მიაგეს — ამას ყველა კარგად გაიგებდა. **თბილისიდან თბილისელების სახელით მთავრობის დელეგაცია აუცილებლად უნდა გაგზავნილიყო.**

საპატიო მოქალაქეები უცხოელთა შორის ბევრი არ გვყავს, სამაგიეროდ, უცხოელები გმირებად მოვნათლეთ და ქუჩებს მათი სახელები მივანიჭეთ. **ნუთუ პრიმაკოვი სამძიმრის ღირსიც არ იყო?!**

**ბევრი ცოდვა გვადევს კისერზე, ცოდვას ცოდვას ნუ მივუმატებთ და ევგენი პრიმაკოვზე ცუდს ნუ ვიტყვით, მას საქართველო და ქართველები ძალიან უყვარდა, ჩვენთვის ყველაფერს აკეთებდა.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



„ჯერ დაველოდებით გუბერნატორთან შეხვედრას და შედეგებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ. თუ რუსიშვილისგან უარყოფითი პასუხით გამოვედით, საპროტესტო აქციებს დავიწყებთ. ყოველდღე მოვაწყობთ ქალაქის საკრებულოსთან და გამგეობასთან აქციებს. გამოვალთ რუპორებით და ჩვენს ხმას ქალაქის მმართველებს გავაგონებთ. სტალინი ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობაა და მისი უგულებელყოფის უფლებას არავის მივცემთ. მოვითხოვთ რეფერენდუმის ჩატარებას და ძეგლს მაინც დავდგამთ. ყველაფერს გავაკეთებს იმისთვის, რომ სტალინის ძეგლი მისივე სახლ-მუზეუმის ეზოში დაიდგას“.

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ უშლის ხელს სტალინის ძეგლის თავის ადგილას დაბრუნებას გორში



ფაშიზმზე გამარჯვების ავტორის — იოსებ სტალინის ძეგლი გორში 2010 წლის 24 ივნისს, ღამით, სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებმა აიღეს. მას შემდეგ გორელები და საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც სტალინის მადლიერია, ძეგლის ხელახლა დადგმას ამაოდ ელის.

9 მაისს გორში დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ადგილობრივმა მოსახლეობამ გორის მერსა და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებს ულტიმატუმი წაუყენა — თუ 24 ივნისს გორში სტალინის ძეგლი არ დაიდგმება, საპროტესტო აქციებს დავიწყებთო.

24 ივნისი გავიდა, მაგრამ ბელადის ძეგლი კვლავ არ დგას.

გორელები იხსენებენ 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას ბიძინა ივანიშვილის დაპირებას, სტალინის ძეგლი აუცილებლად დაუბრუნდებაო თავის ადგილს, თუმცა მათ ასევე ახსენდებათ პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებაც: „არავითარი სტალინის ძეგლი გორში არ დაიდგმება“.

გორელებმა ივანიშვილის „ქართული ოცნება“ სწორედ ამ დაპირების გამო აირჩიეს, ასევე, ამ დაპირების გამო აირჩიეს გორის მერი ზურაბ ჯირკველიშვილიც — სტალინის ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარის შვილი და დიდი ბელადის თაყვანისმცემელი, მაგრამ 9 მაისს არც კი მივიდა ფაშიზმზე გამარჯვების ღონისძიებაზე და, რაც მთავარია, გორელები ვერ ახერხებენ მასთან შეხვედრას.

**გვესაუბრება „სტალინის იდეურ მემკვიდრეთა“ საზოგადოების წევრი**
**ალექსანდრე ლურსმანაშვილი:**

## რასაც «სტალინელებსა» და «გორელებს» ეუბნებიან, ტყუილია. დროს აჭიანურებენ. ძეგლს ამ ხელისუფლების პირობებში არავინ დადგამს

**— ბატონო ალექსანდრე, 9 მაისს გორის მერსა და თვითმმართველობის წევრებს ულტიმატუმი წაუყენეთ, რომ, თუ სტალინის ძეგლი 24 ივნისს მუზეუმის ეზოში არ იდგებოდა, საპროტესტო აქციებს დაიწყებდით...**

— დიახ, ჩვენ ულტიმატუმიც წავუყენეთ და ქალაქის ხელმძღვანელობასთან ინტენსიური მიმოწერაც გვაქვს.

გორში ორი მოწვევის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება სტალინის ძეგლის ჯერ აღების და შემდეგ დადგმის თაობაზე. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ძეგლი უნდა დაიდგას და ამისთვის თანხაც გამოიყო, ამიტომ ჩვენი მოთხოვნა კანონიერია.

9 მაისის ღონისძიებისა და ულტიმატუმის შემდეგ შიდა ქართლის გუბერნატორ **ზურაბ რუსიშვილს** შევხვდით და ამ თემაზე ვესაუბრეთ. ჩვენთან ერთად იყვნენ საზოგადოება „გორელების“ წევრებიც.

**ზურაბ რუსიშვილმა გვითხრა, რომ სტალინის სახლ-მუზეუმი კულტურის სამინისტრომ გორის თვითმმართველობას უნდა გადასცეს და, როგორც კი ეს პროცესი დასრულდება, იქვე, სკვერში სტალინის ძეგლიც დაიდგმება. ამ დაპირებით დავშორდით გუბერნატორს. ჩვენ დავთმეთ, რომ სტალინის ძეგლს თავის ადგილას აღარ დააბრუნებენ და სკვერში განათავსებენ, რადგან ვშიშობთ, იგივე არ განმეორდეს და ცენტრიდან, ღამით, ქურდულად, სპეცნაზის დახმარებით ისევ არ გააქრონ. იმ ადგილას ქალაქის მუნიციპალიტეტია და შეიძლება, ვიღაცას სტალინის ძეგლი აღიზიანებს.**

24 ივნისამდე გუბერნატორს კვლავ ველაპარაკეთ. რუსიშვილმა იგივე გაიმეორა, ოღონდ გვითხრა, პროცესი ჭიანურდება და ძეგლი 1 ივლისს დაიდგმებაო, მაგრამ ძეგლი არც 1 ივლისს დადგეს. რამდენიმე დღეის ველოდეთ, მერე სტალინის სახლ-მუზეუმის დირექტორს **ლია ოქროპირიძე** შევხვდი და ვკითხე, რა ხდება-მეთქი. მიპასუხა,— არაფერივიციო.

**8 ივლისს გუბერნატორთან შეხვედრას ვითხოვთ და მას ბევრ რამეზე მოუწევს პასუხის გაცემა.**

**— რას ამბობს ქალაქ გორის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი, ის ხომ იმიტომ აირჩიეთ, სტალინის ძეგლის ძველ ადგილას დაბრუნებას რომ დაგპირდათ?**

— ჩვენი საზოგადოების წევრი მიღებაზე იყო ზურაბთან. მერმა მას განუცხადა, რომ სტალინის ძეგლის დადგმაზე პრობლემებია.

როგორც ჩანს, დიდი ბელადის ძეგლი არ დაიდგმება. ჩვენ ჯერ დაველოდებით გუბერნატორთან შეხვედრას და შედეგებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ. თუ რუსიშვილისგან უარყოფითი პასუხით გამოვედით, საპროტესტო აქციებს დავიწყებთ. ყოველდღე მოვაწყობთ ქალაქის საკრებულოსთან და გამგეობასთან აქციებს. გამოვალთ რუპორებით და ჩვენს ხმას ქალაქის მმართველებს გავაგონებთ. სტალინი ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობაა და მისი უგულებელყოფის უფლებას არავის მივცემთ. **მოვითხოვთ რეფერენდუმის ჩატარებას და ძეგლს მაინც დავდგამთ. ყველაფერს გავაკეთებს იმისთვის, რომ სტალინის ძეგლი მისივე სახლ-მუზეუმის ეზოში დაიდგას.**

სტალინის ძეგლის შეურაცხყოფისთვის ყველა პასუხს აგებს, ჩვენ ვალდებულები ვართ ეს სირცხვილი ერს ჩამოვაშოროთ.

**დავუკავშირდით გორის საკრებულოს წევრ ზურაბ როსებაშვილს და შევეცადეთ, მისგან შეგვეტყო, აქამდე რატომ არ დაიდგა სტალინის ძეგლი.**

**— ზურაბ, სტალინის ძეგლის დადგმა იმიტომ ჭიანურდება, რომ სახლ-მუზეუმი კულტურის სამინისტრომ გორის მუნიციპალიტეტს უნდა გადასცეს?**

— რა სისულელეა. ეს არაფერ შუაშია. სახლ-მუზეუმთან მიწა გაყოფილია: ნაწილი კულტურის სამინისტროს ეკუთვნის, ნაწილი — მუნიციპალიტეტს. ახლა ამბობენ, რომ კვარცხლბეკი, რომელიც ხალხის ფულით აშენდა, მუზეუმის ტერიტორიაზე მოყვა და არ შეიძლებაო. არადა, კვარცხლბეკი არ არის კულტურის სამინისტროს ტერიტორიაზე.

2013 წელს სტალინის ძეგლის დასადგმელად საკრებულომ თანხა გამოყო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მოსახლეობამ თვითონ გადაწყვიტა ფულის შეგროვება და დამატება. საკმაო თანხა შეგროვდა. სწორედ ამ თანხით მოხდა კვარცხლბეკის აგება, მაგრამ, **როდესაც თბილისში შეიტყვეს, რომ სტალინის ძეგლი იდგმებოდა, ერთი ამბავი ატყდა და პროცესი შეჩერდა. არადა, 2012 წლის არჩევნების წინ ხელისუფალი თუ ოპოზიციონერი გორში სტალინის ძეგლის დადგმის დაპირებას იძლეოდა, მაგრამ, როგორც ბევრი სხვა რამ, დაპირება დაპირებად დარჩა.**

**— ქალაქის მერს „სტალინელებისთვის“ უთქვამს, რომ ძეგლის დადგმა პრობლემაა...**

— ჯერ ერთი, **როცა ირჩევდნენ, მაშინ არ იცოდა, პრობლემა თუ იყო? რატომ იძლეოდა ამ დაპირებას? მერის მამა ერთ-ერთი პირველი ითხოვდა სტალინის ძეგლის დადგმას.**

რაც შეეხება იმას, თუ რა პრობლებაა, არაფერი პრობლემა არ არის. მეც ასე მეუბნებოდნენ, — რა დროს სტალინის ძეგლიაო. ახლა **გვაჩუქებენ ზურაბ წერეთლის გაკეთებულ ძეგლს, სადაც რუზველტი, ჩერჩილი და სტალინი არიან და იმას დავდგამთო. სტალინის ძეგლი დიდია და არ დაიდგმებაო.**

მოკლედ, შეიძლება, სურვილი ყველას აქვს, მაგრამ ძალა არ შესწევთ — ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ვერ მიდიან. გორში ხომ თვითმმართველობა არ გვაქვს, თბილისიდან წამოსულ ბრძანებას ელოდებიან. ასე რომ, **სტალინის ძეგლს არ დადგამენ. ის, რასაც „სტალინელებსა“ და „გორელებს“ ეუბნებიან, ტყუილია. დროს აჭიანურებენ. ძეგლს ამ ხელისუფლების პირობებში არავინ დადგამს.**

სტალინი ხალხის მეხსიერებაში ფესვგადგმულია, როგორც ფაშიზმის ულლისგან კაცობრიობის გადამრჩენი. „მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობითა და ახლო ურთიერთობით გაამაყებული, რომლის დიდებამაც, მხოლოდ რუსეთს კი არა, მსოფლიოს გადაუარა“, — ამბობდა უინსტონ ჩერჩილი სტალინზე მეორე მსოფლიო ომის დროს.

* * *

**დავუკავშირდით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პრესსამსახურის თანამშრომელს — მანანა თოქმაჯიშვილს და შევეცადეთ, მისგან გაგვეგო პრემიერის პოზიცია სტალინის ძეგლის დადგმაზე.**

**— ქალბატონო მანანა, პრემიერმა დავით აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანაზე ისაუბრა და, ალბათ, მისი ეს ინიციატივა სისრულეში ძალიან მალე მოვა. ხომ არ იცით, რა პოზიცია აქვს მას სტალინის ძეგლის დადგმაზე?**

— დავით აღმაშენებლის ძეგლთან დაკავშირებით რა ხდება, ნამდვილად არ ვიცი, ეს კულტურის სამინისტროს პრეროგატივაა.

**— სტალინის ძეგლის დადგმაზე თუ არის რაიმე სიახლე?**

— ვისი? და რა სიახლე უნდა იყოს, რა ხდება?

**— გორში აქციების დაწყებას გეგმავენ, ითხოვენ, რომ ძეგლი სასწრაფოდ დაიდგას.**

— სტალინის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით პრემიერის პოზიცია არ შეცვლილა.

**— ანუ, სტალინის ძეგლი არ დაიდგმება?**

— არა.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

## «როდესაც თბილისში შეიტყვეს, რომ სტალინის ძეგლი იდგმებოდა, ერთი ამბავი ატყდა და პროცესი შეჩერდა. არადა, 2012 წლის არჩევნების წინ ხელისუფალი თუ ოპოზიციონერი გორში სტალინის ძეგლის დადგმის დაპირებას იძლეოდა, მაგრამ, როგორც ბევრი სხვა რამ, დაპირება დაპირებად დარჩა... სტალინის ძეგლს არ დადგამენ»

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ვიცი, ჰორიზონტალური არქიტექტურის შესანიშნავი წარმომადგენელი ხართ, მადლი ქენით და მიხედეთ წყალტუბოს, თუ მოინდომებთ, მეც ხელს შეგიწყობთ. წყალტუბო ჩვენი ქვეყნის ულამაზესი და უძვირფასესი კურორტი გახდება, ამისათვის მას ყველაფერი აქვს, თუ საჭიროდ ჩათვლით, გააჩერეთ სამგორის პროექტი და წყალტუბოს მიხედეთ“.**

# სტალინი და სამგორის სარწყავი სისტემა

**1931 წლის ადრე შემოდგომაზე იოსებ სტალინი დასასვენებლად და სამკურნალოდ ბორჯომს ეწვია. როგორც წესი, სტალინი, სადაც ჩავიდოდა, დიდ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივ მთავრობას, გამონაკლისი არც საქართველო იყო. სტალინმა დასვენების პერიოდში გადაწყვიტა, შეხვედროდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს და ადგილზე შეემოწმებინა მოსკოვამდე (კრემლამდე) მისული არცთუ სასიამოვნო ფაქტები.**

იმხანად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო **სამსონ მამულია**, სახკომსაბჭოს თავმჯდომარე — **ლადო სუხიშვილი.** ზემოხსენებული პირების შეხვედრა სტალინთან წყალტუბოში გაიმართა, რომელსაც შორიდან უშიშროების იმჟამინდელი შეფი **ლავრენტი ბერია** აკონტროლებდა.

ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრამ და მათთან საუბარმა სტალინს კიდევ ერთხელ გაუჩინა ეჭვი საქართველოს პარტიული ელიტისადმი და გადაწყვიტა, მეორედ შეეცვალა ის. რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ სტალინს ცუდი შთაბეჭდილება დარჩა. სწორედ ამ შეხვედრაზე სტუმართა უკონტროლო ქმედება გახდა იმის საბაბი, რომ იმავე წლის გვიან შემოდგომაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სამსონ მამულია და ლადო სუხიშვილი ჩამოაცილა ხელმძღვანელ ბირთვს და საქართველოს სათავეში ჩაუდგა ლავრენტი ბერია.

ბორჯომში სტალინის შეხვედრები ამით არ დამთავრებულა, მან აგარაკზე იხმო სახელგანთქმული ინჟინერი **პეტრე მამრაძე.** ვიდრე სტალინთან შეხვედრის აღწერაზე გადავალთ, შემოგთავაზებთ ამ უნიკალური ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონიკებს.

**პეტრე მამრაძე 1877 წელს დაიბადა, ის ორი წლით უფროსი იყო სტალინზე. 1907 წელს წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, 1912-1924 წლებში დაამუშავა ქუთაისის თბოელექტროსადგურის, ალაზნის ველის, დოლლაურის ველის მიდამოებისა და მლაშე-მისაქციელის მიწების მორწყვის პროექტები და სხვ. 1921-1925 წლებში დანერგა პირველი საბჭოთა სარწყავი სისტემა და დააშრო ჭაობი ქობულეთის რაიონში, რამაც დასაბამი მისცა საუკუნის პროექტს კოლხეთის ჭაობის დაშრობის შესახებ. 1926-1930-იან წლებში ხელმძღვანელობდა ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობას, დაასრულა შირაქის წყალსადენი, სამგორის ველის მორწყვის სქემა; 1932-1937 წლებში დაამუშავა კურორტ წყალტუბოს კეთილმოწყობის გენერალური გეგმის ძირითადი სქემა და სათავეში ედგა წყალტუბოს ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობას. ამავე პერიოდში ლექციებს კითხულობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. პეტრე მამრაძემ შეასრულა მთაწმინდაზე ილიას ქანდაკების — „მწუხარე საქართველოს“ — არქიტექტურაც.**

მკითხველს ფანტაზიად რომ არ მოეჩვენოს სტალინისა და პეტრე მამრაძის შეხვედრის დეტალები, მოგითხრობთ ანალოგიურ შეხვედრაზე, რომელიც სტალინსა და ჰიდროტექნიკოს **სერგეი ჟუკს** შორის გაიმართა და რომელიც ძალიან ჰგავდა წყალტუბოში შეხვედრას.

სტალინთან გამოიძახეს საბჭოთა კავშირის პირველი ჰიდროტექნიკოსი, აკადემიკოსი სერგეი ჟუკი, რომელსაც გიგანტური ჰიდროელექტროსადგურის — კუიბიშევჰესის პროექტი უნდა შეექმნა.

— თქვენ იმაზე ფიქრით თავს ნუ შეიწუხებთ, — მიმართა სტალინმა ჟუკს, — ივარგებს თუ არა ის იმ ადგილზე... ელექტროსადგურის ადგილმდებარეობა ჩვენთვის გასაგები და გადაწყვეტილია. თქვენი მოვალეობაა, შექმნათ ტექნიკური პროექტი მშენებლობისათვის და აი რა პირობებით:

1. ელექტროსადგურში მოხმარებული ვოლგის წყლით უნდა მოირწყას უზარმაზარი მასივები;
2. კუიბიშევი ახლოს არის ისეთ სამრეწველო ცენტრთან, როგორიც ურალია, რომლისთვისაც მოგვიწევს ენერგიის გადაცემა;
3. ვოლგა-დონის არხით ასორმოცი კილომეტრით ვამოკლებთ გზას სამარამდე.

თქვენ ადგილმდებარეობას ვერ შეცვლით, ეს საკითხი გადაწყვეტილია, მით უმეტეს, რომ ეს ადგილები ძალიან კარგად შევისწავლე იქ გადასახლებაში ყოფნის პერიოდში.

— ამისათვის ათი დღის მივლინება დამჭირდება ადგილზე, — შეჰბედა ჰიდროტექნიკოსმა დამკვეთს.

— წაბრძანდით, — იყო მოკლე პასუხი.

ადგილზე ჩასული სერგეი ჟუკი თავის გუნდთან არკვევდა, რომელი „შლუზებითა“ და არხებით შეექმნათ ეს გიგანტური ენერგეტიკული კვანძი, რომელიც რეგიონის სასიცოცხლო ცენტრი გახდებოდა.

არხის პარამეტრებზე მსჯელობისას შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ჟუკი იძულებული შეიქნა, კუიბიშევიდან სტალინს დაკავშირებოდა.



**გაიცა განკარგულება, რომ ინჟინერ პეტრე მამრაძეს, სტალინის თხოვნითა და დავალებით, საბოლოოდ შეემოწმებინა 1926 წელს დაწყებული პროექტი სამგორის სარწყავი სისტემების შექმნის თაობაზე და დაწყებულიყო საუკუნის მშენებლობა, რომელიც მასშტაბით უტოლდებოდა ფოთიდან ბაქომდე რკინიგზის გაყვანას, თავისი სადგურებით, წიფის გვირაბითა და სხვადასხვა ძირითადი და დამხმარე ნაგებობით**



კუიბიშევის ჰესი

„გასაოცარი იყო ის, რომ, — იგონებს ჟუკი, — სტალინმა ზეპირად მითხრა არხის სიღრმე, ფსკერისა და ზედაპირის ზომები. მოგვიანებით, როდესაც პროექტი დასრულდა, პროექტზე მომუშავენი გაოცებას ვერ ფარავდნენ, რადგან თავაუღებელი მუშაობის შედეგად მიღებული ზომები ზუსტად ისეთი იყო, როგორც სტალინმა სავარაუდოდ განსაზღვრა. ამის დადგენა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი საპროექტო ჯგუფის გარდა, არავის შეეძლო და ისიც გარკვეული დროისა და მუშაობის შემდეგ. როდესაც საპროექტო ჯგუფმა გადაწყვიტა, შეეცვალა სტალინის მითითება — ოთხი შლუზის ნაცვლად ორი გაეკეთებინა, სტალინმა კატეგორიულად არ მიიღო ეს წინადადება და, გზის ასორმოცი კილომეტრით შემოკლების აუცილებლობიდან გამომდინარე, კვლავ ოთხ „შლუზზე“ გადაგვიყვანა. საბოლოოდ მივხვდით, რომ სტალინს ყოველი წვრილმანი, რომელიც კი პროექტში წარმოდგენით ჰქონდა ჩადებული, აბსოლუტურად ზუსტად ჰქონდა გაანგარიშებული. ვოლგა-დონის არხის გაყვანამ და ხუთი ზღვის ერთ სანაოსნო სისტემად გადაქცევის რეალობამ საფუძველი მისცა კაცობრიობას, ეფიქრა, რომ დედამიწაზე არსებულ შვიდ სასწაულს დაემატებოდა მერვეც — ვოლგა-დონის არხი, რომელიც სტალინის „გამოცხადების“ შედეგი იყო“.

—ქართულად ვისაუბროდ თუ რუსულად? — ღიმილით შეეკითხა სტალინი სტუმარს

— ჩემთვის სულერთია, ამხანაგო სტალინ, მაგრამ მე თქვენგან უფრო ქართული სიტყვების გაგონება გამიხარდებოდა, — თავაზიანად უპასუხა სტუმარმა მასპინძელს.

— შევთანხმდით: მე ქართულად ვისაუბრებ, თქვენ კი რუსულად მიპასუხეთ.

— თანახმა ვარ!

— ამხანაგო პეტრე, თუ თქვენ ბელსა და გაბს ელოდებით სამგორის სარწყავი სისტემის ასაშენებლად, დაგაგვიანდებათ. მგონი, ისინი ცოცხალიც აღარ არიან.

— არა, ამხანაგო სტალინ, ჩვენ არავის ველოდებით, საქმე ბევრია, ფული კი — ცოტა; რასაც ჩვენი ბიუჯეტი სწვდება, იმას ვაკეთებთ.

— მე საყვედური არ მითქვამს. თქვენ ბევრს მუშაობთ. ვიცი თქვენი ქობულეთური ამბავი და ისიც ვიცი, რომ საქართველოში აგროტექნიკური მორწყვის პიონერი ხართ.

ალაზანზე თქვენი ღვაწლი აღნიშვნის ღირსია, სამწუხაროდ, მე ნაკლებად ვიცნობ კახეთს. ნამყოფიც კი არ ვარ, მაგრამ კახეთი ქართველი ხალხის ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. რას შვრება შირაქის წყალსადენი? ვაჟას სოფლები უწყლობით არ უნდა დავჩაგროთ...

— შირაქმა გაამართლა, ამხანაგო სტალინ, სოფლებს წყალი უკვე მივაწოდეთ.

— რას ფიქრობთ სამგორის მორწყვის შესახებ? ბელისა და გაბის პროექტი უკვე მოძველებული იქნება. ხომ არ დაიწყებთ პროექტის განახლებას? თუ კარგად მახსოვს, გაბი და ბელი იორის ▶

მსოფლიო

## «ვიკილიქსის» დამფუძნებელს საფრანგეთმა თავშესაფარზე უარი უთხრა



**„ვიკილიქსის“ დამფუძნებელმა ჯულიან ასანჟმა ცოტა ხნის წინათ ღია წერილი გაუგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს და თავშესაფარი სთხოვა.** „ჩემი მიღება საფრანგეთისთვის ჰუმანიტარული და სიმბოლური ჟესტი იქნება, რაც თითოეულ ჟურნალისტსა და აქტივისტს წაახალისებს“, — წერია ასანჟის წერილში.

„ვიკილიქსის“ დამფუძნებელი წერილში ასევე აღნიშნავს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ოლანდის რეზიდენციაში განაცხადეს, რომ განიხილეს ასანჟის თხოვნა და გადაწყვიტეს, არ დააკმაყოფილონ. „ასანჟი რაიმე საფრთხის წინაშე არ დგას. უფრო მეტიც, მასზე ევროპაში დაკავების ორდერია გაცემული“, — აღნიშნულია საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში.

ავსტრალიელი ჟურნალისტი და აქტივისტი, ჯულიან ასანჟი 2012 წლის შემდეგ დიდ ბრიტანეთში ეკვადორის საელჩოში იმყოფება. იგი დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობას ვერ ტოვებს იმის გამო, რომ შესაძლოა, ნებისმიერ მომენტში დააკავონ, რადგან საიდუმლო დოკუმენტების გასაჯაროებისთვის მის წინააღმდეგ საქმეა აღძრული.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „სტალინს ყოველი წვრილმანი, რომელიც კი პროექტში წარმოდგენით ჰქონდა ჩადებული, აბსოლუტურად ზუსტად ჰქონდა გაანგარიშებული. ვოლგა-დონის არხის გაყვანითა და ხუთი ზღვის ერთ სანაოსნო სისტემად გადაქცევის რეალობამ საფუძველი მისცა კაცობრიობას, ეფიქრა, რომ დედამიწაზე არსებულ შვიდ სასწაულს დაემატებოდა მერვეც — ვოლგა-დონის არხი, რომელიც სტალინის „გამოცხადების“ შედეგი იყო“.

◀ წყლით აპირებდნენ სამგორის უდაბნოს მორწყვას და მათ მლაშე ტბებიც ჰქონდათ მინიშნებული, მე იმ მლაშე ტბებთან დაკავშირებით ბევრი შეხვედრა და კონსპირაციული საქმიანობა მომინია. ეს ქვაბული უდიდესი საშუალება იქნება არა მხოლოდ უდაბნოს მოსარწყავად, არამედ თბილისის წყლით მომარაგების თვალსაზრისითაც. მახსოვს, თბილსის მცხოვრებლებს ვედროებით რომ უნაწილებდნენ სასმელ წყალს.

— ბელისა და გაბის პროექტი, ამხანაგო სტალინ, გზის მანიშნებელია, როგორ უნდა განვითარდეს სამგორის გასარწყავება, მაგრამ მისი მაშტაბები და შესაძლებლობები არ შეეფარდება იმ მოცულობას, რომელიც სინამდვილეშია. სამგორის პროექტის თუნდაც მცირე ნაწილის ამოქმედებას იმანაც შეუშალა ხელი, რომ ბელისა და გაბის შემდეგ ამ პროექტის ლობირება სომხურმა ჯგუფმა დაიწყო **ხატისოვის** მეთაურობით, მთავარ როლს კი არცთუ უპერსპექტივო ჰიდროტექნიკოსი **მელიქ ფაშაევი** ასრულებდა. სხვა პიროვნებების მონაწილეობა ამ პროექტში თითქმის შეუძლებელი იყო. სამგორის პროექტს 1926 წლიდან ვამუშავებთ და იგი თითქმის დასრულებულია, თუ დამავალებთ, სამგორის საწყავი სისტემის პროექტის გადამუშავებას უახლოეს პერიოდში დავიწყებ.

— ჩათვალეთ, ამხანაგო პეტრე, რომ ეს არა სახელმწიფოს, არამედ ჩემი დავალებაა.

— ვამაყობ ამ დავალებით! — განუცხადა პეტრემ მამრაძემ სტალინს.

— ამხანაგო პეტრე, ეს დავალება რომ მიიღე, დიდად მასიამოვნე, მაგრამ ერთი პატარა სათხოვარი კიდევ მაქვს და ვიცი, უარს არ მეტყვით. გაიხედ-გამოიხედეთ, რამდენი რამით დაგვაჯილდოვა ბუნებამ — მთები, ტყეები, მინდვრები, ძვირფასი წყლები, შესანიშნავი ადამიანები. ხომ შეიძლება, ამ მხარესაც მივხედოთ და ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ?! ვიცი, ჰორიზონტალური არქიტექტურის შესანიშნავი წარმომადგენელი ხართ, **მადლი ქენით და, მიხედეთ წყალტუბოს, თუ მოინდომებთ, მეც ხელს შეგიწყობთ. წყალტუბო ჩვენი ქვეყნის ულამაზესი და უძვირფასესი კურორტი გახდება, ამისათვის მას ყველაფერი აქვს, თუ საჭიროდ ჩათვლით, გააჩერეთ სამგორის პროექტი და წყალტუბოს მიხედეთ.**

— ორივეს პარალელურ რეჟიმში დავამუშავებ, რაც შეიძლება, მოკლე პერიოდში, — უპასუხა პეტრე მამრაძემ.

კმაყოფილმა მასპინძელმა ბატონი პეტრე სახლის აივანზე, სუფრასთან მიიპატიჟა. ცოტა ხნის შემდეგ მასპინძელმა სტუმარი ზღურბლამდე მიაცილა და კეთილი მგზავრობა უსურვა. ასე დასრულდა „ქართველი ჟუკისა“ და დიდი ბელადის წყალტუბოს შეხვედრა.

ფოთიდან ბაქომდე რკინიგზის გაყვანის საძიებო სამუშაოების შესასრულებლად კავკასიის მეფისნაცვალმა, თავადმა **ბარიატინსკიმ** 1858 წელს მოიწვია ინგლისელი სპეციალისტები — **გაბი** და **ბელი.** ამ სამუშაოს შესრულებას მოწვეულმა ინჟინრებმა ორი წელი მოანდომეს და 1861 წელს პროექტი ჩააბარეს. მუშაობის პერიოდში გაირკვა, რომ გაბი და ბელი არა მხოლოდ რკინიგზის გამოცდილი მშენებლები იყვნენ, არამედ კარგად ერკვეოდნენ სამელიორაციო სამუშაოებშიც, რის გამოც იმავე ბარიატინსკიმ მათ დაუკვეთა, შეედგინათ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მორწყვის პროექტიც.


აკადემიკოსი სერგეი ჟუკი


ინჟინერი პეტრე მამრაძე

**გაბისა და ბელის, ზორინ-ტერ ვართანიანის, ქურდიანის, მელიქ ფაშაევის პროექტებს განხორციელება არ ეწერა. უკიდურეს პირობებში იყო მოქცეული არა მხოლოდ სამგორისა და ყარაიაზის უდაბნოები, არამედ ამ უდაბნოების ახლოს მდებარე მთებს შეფენილი სოფლებიც, რომლებიც ნალექისა და ნაჟური წყლების ამარა ატარებდნენ თავიანთ ბედკრულ ცხოვრებას. ავჭალის, ბალბიანის, პატარა ლილოს, დიდი ლილოს, ნორიოს, მარტყოფის, საცხენისის, სართიჭალის, უჯარმისა და სხვა მთის სოფლების მცხოვრებნი სასოწარკვეთილებამდე იყვნენ მისულნი უწყლობითა და უმოსავლობით. სამგორისა და ყარაიაზის გადამწვარი ველები პატრონს ელოდა**




სამგორის სარწყავი სისტემა

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მორწყვის პროექტის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა სამგორის სარწყავი სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა იორის წყლით მლაშე ტბების შევსებას და სასმელი წყლით ქალაქის მომარაგებას, ხოლო წყალსაცავში ჩასვლამდე — წყლის სარწყავად გამოყენებას.

გაბისა და ბელის პროექტის პარალელურად, რომელიც ძვირად ღირებული პროექტი იყო, რამდენიმე სხვადასხვა სიდიდისა და სირთულის პროექტიც არსებობდა, მათ შორის, **ზორინის** პროექტი. ის დასკვნისთვის გადაეცა **ტერ ვართანიანს** და საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ზორინ-ტერ ვართანიანის პროექტი. ეს პროექტი განიხილა საადგილმამულო კომისიამ **ჭრელაშვილის** თავჯდომარეობით და უარი თქვა მის განხორციელებაზე, რადგან წვრილმან საქმოსნურ წინადადებად მიიჩნია.

1913 წლის 21 აპრილს ქალაქის მიწების მორწყვის პროექტის შედგენა დაევალა ქალაქის წყალსადენის გამგეს — ქურდიანს. მან გულმოდგინედ შეისწავლა ყველა გზა და საშუალება, ქალაქის მიწების გასარწყავების მიზნით და გაოცებული დარჩა, როცა გაეცნო სარწყავი არხის ნანგრევებს, რომელიც ოდესღაც, თბილისის აღმოსავლეთის გავლით, არაგვიდან გარდაბნის ველისკენ მიემართებოდა.

ქურდიანის სქემით, სამგორის არხი მიწების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს მორწყავდა. რაც შეეხება სრულიად სამგორის მორწყვას, ეს საკითხი ხელახლა დაისვა და მას მელიქ ფაშაევი ამუშავებდა, რომელსაც ღიად თუ ფარულად ხატისოვი მფარველობდა.

ვინ იყო ხატისოვი?

**ალექსანდრე ხატისოვი 1875 წელს დაბადებული თბილისელი სომეხია, რომელმაც თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია დაამთავრა და სწავლა მოსკოვსა და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში განაგრძო. 1910 წლიდან ალექსანდრე ხატისოვი ქალაქ თბილისის თავია, 1917 წელს, რევოლუციის შემდეგ, ერევანში წავიდა. იყო ჯერ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ, 1920 წლის მაისამდე, — პრემიერ-მინისტრი. ხატისოვი იყო მასონთა ლოჟის — „ჩრდილოეთის ვარსკვლავის“ წევრი, საფრანგეთის „დიდი აღმოსავლეთის“ მასონთა ლოჟის წევრი, აგრეთვე, შედიოდა მასონთა ლოჟაში, რომელიც აერთიანებდა რუსეთის მე-18 ხარისხის მასონებს. იგი 1945 წლის 10 მარტს პარიზში გარდაიცვალა.**

გაბისა და ბელის, ზორინ-ტერ ვართანიანის, ქურდიანის, მელიქ ფაშაევის პროექტებს განხორციელება არ ეწერა. მძიმე პირობებში იყო მოქცეული არა მხოლოდ სამგორისა და ყარაიაზის უდაბნოები, არამედ ამ უდაბნოების ახლოს მდებარე მთებს შეფენილი სოფლები, რომლებიც ნალექისა და ნაჟური წყლების ამარა ატარებდნენ თავიანთ ბედკრულ ცხოვრებას.

ავჭალის, ბალბიანის, პატარა ლილოს, დიდი ლილოს, ნორიოს, მარტყოფის, საცხენისის, სართიჭალის, უჯარმისა და მთის სხვა სოფლების მცხოვრებნი სასოწარკვეთილებამდე იყვნენ მისული უწყლობითა და უმოსავლობით.

სამგორისა და ყარაიაზის გადამწვარი ველები პატრონს ელოდა. აკი, ამბობდა კიდეც პოეტი:

**„წყალი სწყუროდა
დასიცხულ ყამირს,
ამიტომ იყო დღე
მუდამ მწყრალი,
სტალინმა სთქვა და
სამგორის მიწამ
დღეიდან უნდა
დალიოს წყალი“.**

გაიცა განკარგულება, რომ ინჟინერ პეტრე მამრაძეს, სტალინის თხოვნითა და დავალებით, საბოლოოდ შეემოწმებინა 1926 წელს დაწყებული პროექტი სამგორის სარწყავი სისტემების შექმნის თაობაზე და დაწყებულიყო საუკუნის მშენებლობა, რომელიც მასშტაბით უტოლდებოდა ფოთიდან ბაქომდე რკინიგზის გაყვანას, თავისი სადგურებით, წიფის გვირაბითა და სხვადასხვა ძირითადი და დამხმარე ნაგებობით.

რას ითვალისწინებდა პერტე მამრაძის საუკუნის პროექტი სამგორის სარწყავი სისტემების თაობაზე და რა გვაქვს დღეს, მომავალ წერილებში გაგაცნობთ.

**(გაგრძელება იქნება)**

მსოფლიო



## 22 წლით პატიმრობა 17 წლის მოსწავლეებთან სექსის გამო

**ფლორიდელ ინგლისური ენის მასწავლებელს, 30 წლის ჯენიფერ ფიხტერს, აშშ-ის სასამართლომ არასრულწლოვან მოსწავლეებთან სექსის გამო 22 წლით პატიმრობა მიუსაჯა.**

გამოძიების ცნობით, ფიხტერს 17 წლის 3 მოსწავლესთან ჰქონდა სექსი. ის მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ მათსავე სახლში, მშობლების არყოფნისას ხვდებოდა, რის შედეგადაც დაორსულდა. ბავშვი აბორტის შედეგად მოიცილა და გაურკვეველია, იმ 3 მოსწავლიდან რომელი იყო ბავშვის მამა.

ჯენიფერ ფიხტერმა აღიარა და მოინანია დანაშაული. მან სასჯელის შემსუბუქება ითხოვა, მაგრამ სასამართლომ მისი თხოვნა არ გაითვალისწინა.



არა არს დაფარული

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაზეთმა BILD-მა 22 ივნისს, ანუ საბჭოთა კავშირზე გერმანიის ვერაგული თავდასხმის 74-ე წლისთავზე გამოაქვეყნა გერმანიის თავდაცვის მინისტრის — ურსულა ფონ დერ ლაიაიენის ინტერვიუ. მან, შვიდი შვილის დედამ, განაცხადა, რომ „მოსკოვთან ლაპარაკი უფრო უკეთესად ქალის პოზიციიდან არის შესაძლებელი"(!). ეს რომ არ იყო შემთხვევით წამოსროლილი წინადადება, მისი შემდეგი განცხადებიდანაც ჩანს: „ნატოს აღმოსავლეთევროპული ქვეყნები ალიანსმა (ჩრდილოატლანტიკური) უნდა დაიცვას". ამ განცხადებაზე ექსპერტები მწარედ ქილიკობენ: ავსტრიის სასტუმროში „ბილდერბერგებმა" ისე გადაუბრუნეს ტვინი საწყალ ქალს, რომ დაავიწყეს, როგორ დაამთავრა რუსეთზე ძალისმიერი ზემოქმედებით გატაცება ადოლფ ჰიტლერმა.**

# მსოფლიოს საიდუმლო მთავრობა ახალ შეთქმულებას ამზადებს

**მსოფლიოს ჩრდილოვან მთავრობაზე სიტყვა რომ ჩამოვარდება, ბევრი ამ ბურუსით მოცულ ორგანოს რაღაც ზებუნებრივ ძალთა კავშირად წარმოიდგენს, „ზედროულს, დაუსაბამოსა და მარადიულს" „ლუციფერის მეხუთე კოლონადაც" მოიხსენიებენ! არადა, ყველაფერი გაცილებით მარტივია და პრაგმატული. მაშ, რა არის ეს „საიდუმლო მსოფლიო მთავრობა"? ეს არის „ბილდერბერგის კლუბი" — დასავლეთის ელიტების დროდადრო თავშეყრის ადგილი, ერთგვარი „არასამთავრობო ორგანიზაცია" განუსაზღვრელი შესაძლებლობებითა და გავლენით. ჟურნალისტი ევგენი ჩერნიხი შეეცადა ამის დამტკიცებას ერთი კონკრეტული მაგალითის გაანალიზებით.**




## მსოფლიოს მომავალს აქ განსაზღვრავენ

11-14 ივნისს ფეშენებელურ ალპურ სასტუმრო **Interalpen**-ში 63-ე სხდომაზე კვლავ შეიკრიბნენ მსოფლიო ელიტის წარმომადგენლები, გაცილებით გავლენიანი, ვიდრე „დიდი შვიდეულის" ლიდერები: ასეთებად წარუდგინა ისინი გაზეთმა **„გარდიანმა"** საზოგადოებრიობას. ანალიტიკოსები უფრო კატეგორიულები არიან: ობამები, მერკელები და ა.შ. მოდიან და მიდიან, ხოლო პოლიტიკური მეთოჯინეები (кукловоды) — დიდი ფინანსისტები და მრეწველები — რჩებიან.

სტალინის ფორმულა გამოიყენეს: „ჰიტლერები მოდიან და მიდიან, ხოლო გერმანელი ხალხი, გერმანული სახელმწიფო რჩება".

**„ბილდერბერგის კლუბი" დასავლეთის ელიტის ყველაზე უფრო კარჩაკეტილი სტრუქტურაა. მაქსიმალურად გასაიდუმლოებული:** „ბილდერბერგერების" ივნისის შეხვედრის შესახებ დასავლეთის მედიაში სიტყვა არ დაუძრავთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ შეკრებაზე მიწვეულები იყვნენ **BBC**-ის, **Bloomberg**-ის, **The Financial Time**-ის, **The Economist**-ისა და სხვა გავლენიანი მედიის ხელმძღვანელები და წამყვანი ჟურნალისტები.

ხმა არ ამოუღიათ! მაშ, რატომ იყვნენ მიწვეულები? უნდა ვივარაუდოთ, **დირექტივების მისაღებად, თანამედროვე გლობალურ საკითხებზე საინფორმაციო პოლიტიკის მიმართულების დასადგენად.**

ვიდრე ამ სერიოზულ თემებზე ვისაუბრებთ, უთუოდ დაგაინტერესებთ, რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ კლუბს კინოგმირ ჯეიმს ბონდთან.

„ბილდერბერგის კლუბის" დამფუძნებელია პრინცი **ბერნარდ ლეოპოლდ ფრიდრიხ ებერჰარდ იულიუს კურტ კარლოს გოტფრიდ პეტერ ლიპე-ბისტერფელდი,** ნიდერლანდის დედოფლის — იულიანას ქმარი. პირველი სხდომა 1954 წლის მაისში ჰოლანდიის სასტუმრო „ბილდერბერგში" გაიმართა. სახელწოდებაც აქედანაა.

პრინცი ფრიად საინტერესო პიროვნებაა: ძველი გერმანული გვარის წარმომავალია, ცნობილი ავანტიურისტი და რისკიანი პიროვნება. იყო ესესელი ოფიცერი გერმანული ქიმიური კონცერნის ი.ბ. ფარბენის დაზვერვის სამსახურში, კონცერნისა, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ამ ქვეყანაში ნაციზმის გასამარჯვებლად. ცოლად მოიყვანა ნიდერლანდის პრინცესა. ცდილობდა, კავშირი დაემყარებინა მესამე რაიხსა და ბრიტანულ ელიტებს შორის.

ამბობენ, რომ **იან ფლემინგმა**, ბერნარდის მეგობარმა, თავისი ჯეიმს ბონდი ბერნარდისგან, როგორც პროტოტიპისგან, გადმოიღო.

ესეც — ბონდი!

გარდაიცვალა 2004 წელს, 93 წლისა. ამჟამად კლუბის სხდომებს ესწრება მისი ქალიშვილი **ბეატრიქსი** — ნიდერლანდების დედოფალი.

## რუსეთში სერიოზული მღელვარება დაიწყება?

კონფლიქტოლოგები ვარაუდობენ, ივნისში გამართული „საიდუმლო სერობის" ერთ-ერთი მთავარი თემა რუსეთის საკითხი იყო.

რატომ მაინცდამაინც რუსეთი?

იმიტომ, რომ პლანეტის ჩრდილოვანი პატრონების მამხილებელი, ვილნიუსში დაბადებული, ამჟამად ესპანეთში მცხოვრები მწერალი **დენიელ ესტულინი** ჯერ კიდევ 2012 წელს წერდა, რომ „ბილდერბერგის" იმ წლის მაისში გამართული კონფერენციის **მთავარი თავისტკივილი იყო ვლადიმირ პუტინი, რომელმაც გაილაშქრა ირანსა და სირიაში ომების, აშშ ბაზებით რუსეთის რკალში მოქცევის წინააღმდეგ და მტკიცედ დაიცვა თავისი ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტი,** შემდეგ — ყირიმი... ვარაუდია, მაგრამ არცთუ უსაფუძვლო.

ექსპერტების დაკვირვებით, კლუბის სხდომებს ზოგჯერ რუსი ოპოზიციონერებიც ესწრებოდნენ: **ანატოლი ჩუბაისი, გარი კასპაროვი, გრიგორი იავლინსკი** და კიდევ — ერთი-ორი, ნაკლებად ცნობილი პიროვნება. 2013-2014 წლებში რუსთაგან არავინ ჩასულა.

არც იწვევდნენ.

თუმცა ერთი გამონაკლისი მაინც დაუშვეს, როცა მიიპატიჟეს რუსეთის ეკონომიკური სკოლის ყოფილი რექტორი **სერგეი გურიევი,** რომელიც ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს და პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტში ეკონომიკის პროფესორად მუშაობს.

რატომ მაინცდამაინც გურიევი?

ამ შეკითხვის პასუხი უნდა ვეძებოთ ასეთ ფაქტში: **„ბილდერბერგის" კონფერენციის გახსნის დღეს „ვაშინგტონ პოსტში" დაიბეჭდა მისი საპროგრამო წერილი — „მზადება რუსეთში სერიოზული მღელვარებისთვის". გურიევი საყვედურობს დასავლელ ლიდერებს, რომ ისინი არ ემზადებიან რუსეთში ხელისუფლების ცვლილებისთვის, მიაჩნიათ, რომ ეს მალე არ მოხდება. მოუწოდებს, აჩქარდნენ და აქტიურად ჩაებან პროცესში; მიიჩნევს, რომ დასავლეთს სჭირდება ახალი „მარშალის გეგმა", რომელიც ხელს შეუწყობს მომავალ გარდამავალ მთავრობასა და ახალ ხელისუფლებას კრემლში.**

პოლიტოლოგი **ილია ბელოუსი** დარწმუნებულია, რომ გურიევის ერთ-ერთი რჩევის განხორციელება, რომელიც მან „ბილდერბერგერებს" სასტუმროს დახურულ კარს მიღმა მისცა, კონფერენციის დასრულებისთანავე დაიწყეს: იგულისხმება **რუსეთის ქონების გახმაურებული დაპატიმრება ბელგიასა და საფრანგეთში „იუკოსის" აქციონერების სარჩელის საფუძველზე. იმავეს გაკეთება იგეგმება დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში.**

აქ ახალი შეკითხვა იბადება: **რა კავშირი აქვს გურიევს ყოფილი მილიარდერსა და პუტინის შეწყალებულ პატიმარ ხოდორკოვსკის ბიზნესიმპერია „იუკოსთან"?**

პასუხი: პირდაპირი და უშუალო კავშირი, რადგან იგი „იუკოსის" ექსპატრონის ახლო თანამებრძოლი და ხოდორკოვსკის „ღია რუსეთის" კაცია. მრავლისმეტყველია ის, რომ გურიევი მოსკოვიდან პარიზში გაიხიზნა მას შემდეგ, რაც მისი ბინა გაჩხრიკეს „იუკოსის" საქმის გამო.

პოლიტოლოგ **სერგეი მარკოვის** აზრით, გურიევის საფრანგეთში სასწრაფოდ გადახვეწის მიზეზი იყო შიში, ვაითუ გამომძიებლებს არ გაეშიფრათ ის არხები, რომლებითაც ოლიგარქების ფული და ბიუჯეტის სახსრები მიედინებოდა ოპოზიციის სალაროებში. ეტყობა, სწორედ ამ ემიგრანტმა ურჩია ივნისის საიდუმლო სხდომაზე „ბილდერბერგერებს", აეგორებინათ სკანდალი აღნიშნული საკითხის გამო. ამით კრემლს მტკივნეულად დაარტყამდნენ.

ამ ვარაუდის ლოგიკა ასეთია: ჰააგის სამედიატორო სასამართლომ „იუკოსის" ყოფილ აქციონერებს მიუსაჯა 50 მილიარდი დოლარის გადახდა ჯერ კიდევ 2014 წლის მაისში. თითქმის ერთი წლის განმავლობაში ამ საკითხზე ხმა არავის ამოუღია. და მხოლოდ გურიევის „ბილდერბერგერებთან" შეხვედრის კვალზე დაუყოვნებლივ დაიწყო დაპატიმრება, ჯერ — ბელგიაში (როგორც ვთქვით), რომლის პრემიერმინისტრი **მიშელ შარლი** ასევე ესწრებოდა საიდუმლო შეხვედრას.

**კლუბის პირველი თავმჯდომარე ბერნარდი დიდი თაღლითი და გაიძვერა იყო. სამოცდაათიან წლებში ფირმებთან — «ლოკჰიდთან» და «ნორტონთან» იარაღის ყიდვა-გაყიდვის საქმეში ქრთამის აღება დაუმტკიცდა. პრინცის გარდა ამ უღირს საქმეში იაპონიის პრემიერიც და იტალიის პრეზიდენტიც ამხილეს. მხოლოდ «ლოკჰიდმა» დიდმოხელეებს ქრთამად 22 მილიონი დოლარი მისცა. ეს იმ პერიოდში უზარმაზარი თანხა იყო**

დღის წესრიგში რუსეთისა და ნატოს საკითხები ერთმანეთის მიყოლებით იყო ჩაწერილი. საინტერესოა! მით უფრო, რომ ფეშენებელურ სასტუმროში გამართულ „საიდუმლო სერობას" ესწრებოდა ნატოს გენერალური მდივანი **იენს სტოლტენბერგი** და რიგი სამხედრო ჩინოსნებისა, დანიის სამხედრო დაზვერვის შეფის — **თომას არენკიელის** (მას რუსეთში ჩასვლა აკრძალული აქვს) ჩათვლით.

კიდევ ერთი მრავლისმეტყველი დეტალი: გერმანულმა გაზეთმა Bild-მა 22 ივნისს, ანუ საბჭოთა კავშირზე გერმანიის ვერაგული თავდასხმის 74-ე წლისთავზე გამოაქვეყნა გერმანიის თავდაცვის მინისტრის — **ურსულა ფონ დერ ლიაიენის** ინტერვიუ. მან, შვიდი შვილის დედამ, განაცხადა, რომ **„მოსკოვთან ლაპარაკი უფრო უკეთესად ქალის პოზიციიდან არის შესაძლებელი" (!).** ეს რომ არ იყო შემთხვევით წამოსროლილი წინადადება, მისი შემდეგი განცხადებიდანაც ჩანს: **„ნატოს აღმოსავლეთევროპული ქვეყნები ალიანსმა (ჩრდილოატლანტიკურმა) უნდა დაიცვას".** ამ განცხადებაზე ექსპერტები მწარედ ქილიკობენ: **ავსტრიის სასტუმროში „ბილდერბერგებმა" ისე გადაუბრუნეს ტვინი საწყალ ქალს, რომ დაავიწყეს, როგორ დაამთავრა რუსეთზე ძალისმიერი ზემოქმედებით გატაცება ადოლფ ჰიტლერმა.**

ავიწყდებათ ისტორიის გაკვეთილები! მაგრამ არა მხოლოდ ტრიბუნიდან თავიანთი პოზიციების დეკლარირებისას, არამედ პრაქტიკულ საქმიანობაშიც. გავრცელდა ცნობა ევროპაში ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების გასამმაგების, ბალტიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 250 მძიმე ჯავშანტექნიკის გაგზავნის შესახებ, ნატოს შეფს — იენს სტოლტენბერგს სიტყვაზე თუ ვენდობით, „სწავლების" ჩასატარებლად... რუსეთის საზღვრის მახლობლად.

კიდევ ერთ დამთხვევას მიაქცევენ მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღებას ექსპერტები: **ევროკავშირმა მაინცდამაინც 22 ივნისს გაახანგრძლივა ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ.**

სიმბოლურ დამთხვევებს კი, მოგეხსენებათ, უკუქცევის ეფექტი აქვს.

ერთმა დამთხვევამაც მიგვანიშნა „ბილდერბერგის" კონფერენციის მონაწილეთა საერთო პოზიციაზე, ანუ იმაზე, რა გადაწყვეტილებაც მიიღეს ერთი, ცალკე აღებული სახელმწიფოს მიმართ სამხრეთ კავკასიაში.

უკვე ნახსენებმა **ბელგიის პრემიერმინისტრმა მიშელ შარლიმ მოულოდნელად აღიარა** ▶

არა არის დაფარული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ბილდერბერგ-2015“-ის დამთავრების შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ გაავრცელა ახალი განცხადება სირიაში ქიმიური იარაღის არსებობის შესახებ. 16 ივნისს კი „ბოევიკებმა“ სამასი რაკეტით დაბომბეს სირიის სიდიდით მეორე ქალაქ ალეპოს სახელმწიფო დაწესებულებები; დაიღუპა 43 ადამიანი, 190 დაიჭრა. ათი რაკეტა ესროლეს დამასკოს.





„ბილდერბერგის კლუბის“ შემქმნელი ბერნარდ იულიუს ბისტერფელდელი და მისი ქალიშვილი ბეატრიქსი

**უკვე ნახსენებმა ბელგიის პრემიერმინისტრმა მიშელ შარლიმ მოულოდნელად აღიარა სომხების 1915 წლის გენოციდი. არ არის ეს უმნიშვნელო განცხადება, რადგან მიმართულია თურქეთსა და ევროპას შორის ურთიერთობის არევისკენ; თურქეთის სახელმწიფოზე ზემოქმედების მიზნით რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გააქტიურების საპასუხოდ (სამხრეთის გაზსადენი, პუტინისა და ერდოღანის გახშირებული შეხვედრები)**



რიჩარდ პერლი



კენეტ გრიფინი



ურსულა ფონ დერ ლაიენი

◀ **სომხების 1915 წლის გენოციდი. არ არის ეს უმნიშვნელო განცხადება, რადგან მიმართულია თურქეთსა და ევროპას შორის ურთიერთობის არევისკენ; თურქეთის სახელმწიფოზე ზემოქმედების მიზნით რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გააქტიურების საპასუხოდ (სამხრეთის გაზსადენი, პუტინისა და ერდოღანის გახშირებული შეხვედრები).**

მიაქციეთ ყურადღება: **კონფერენციის დახურვიდან კვირაც არ იყო გასული, როცა ერევანში დაიწყო მღელვარება კიევის მაიდნის სცენარით.** სომხეთი რუსეთის მოკავშირეა, მის ტერიტორიაზე, გიუმრიში განლაგებულია რუსეთის მძლავრი სამხედრო ბაზა. ამ პრობლემას „საქართველო და მსოფლიომ“ მიუძღვნა პუბლიკაცია „კიევური მაიდნის“ საფრთხე ერევანში“ *(იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №24, გვ. 8-9).*

## „არაბული გაზაფხულის“ მამისა და სხვათა შესახებ

„ბილდერბერგ-2015“-ის დამთავრების შემდეგ აშშ სახელმწიფო მდივანმა **ჯონ კერიმ** გაავრცელა ახალი განცხადება სირიაში ქიმიური იარაღის არსებობის შესახებ. 16 ივნისს კი „ბოევიკებმა“ სამასი რაკეტით დაბომბეს სირიის სიდიდით მეორე ქალაქ ალეპოს სახელმწიფო დაწესებულებები. დაიღუპა 43 ადამიანი, 190 დაიჭრა. ათი რაკეტა ესროლეს დამასკოს.

ანალიტიკოსებს, მათ შორის, მესამე ათასწლეულის სამეცნიერო კვლევების ინსტიტუტის დამაარსებელს — **იური ბელიუსს,** მიაჩნიათ, რომ ამ თემის სპიკერად გამოდგებოდა **რიჩარდ პერლი**, ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პირწავარდნილი „ქორი“. ჯერ კიდევ 1996 წელს მან მოამზადა მოხსენება, რომელშიც წარმოდგენილი ჰქონდა მოსაზრებები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში რეჟიმების შეცვლის შესახებ ხელისუფლების რესტრუქტურიზაციის მიზნით. მოხსენებას ეწოდებოდა „სუფთა გარღვევა: სამეფოს უშიშროების ახალი სტრატეგია“, რომელშიც აქცენტირებული იყო სახელმწიფო ლიდერების მოცილების, აგრეთვე, რეგიონში ცვლილებების განხორციელების სხვა იდეები.

**ეს რიჩარდ პერლი შეიძლება ჩავთვალოთ „არაბული გაზაფხულის“ მამად!** ალბათ, იმის თქმის უფლებაც გვაქვს, რომ სწორედ **აშშ თითქმის 15 წლის განმავლობაში ამზადებდა „დემოკრატიულ“ ამბოხს ახლო აღმოსავლეთში და რომ დემონსტარციები და პუტჩები, რომლებიც, ფაქტობრივად, 2010 წლის 18 დეკემბერს დაიწყო და სახელმწიფო გადატრიალებების, სამოქალაქო ომების, ამბოხების სახით მოედო მთელს ამ რეგიონს, სულაც არ იყო ხალხის ენერგიის აფეთქება, გულის ამოძახილი და გონებით ნაკარნახევი პროტესტი; მით უფრო, არ იყო სოციალური ძალებით ორგანიზებული აჯანყება, როგორც პირველივე დღეებიდან გვარწმუნებდნენ.**

პერლი, რომელიც **სადამ ჰუსეინის** დამხობის თანმიმდევრული მომხრე იყო, ერაყში ეძებდა ქიმიურ იარაღს. იმხანად ის თავდაცვის პოლიტიკის საკითხებში აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს საბჭოს ხელმძღვანელობდა. ცნობილია მისი ფრთიანი ფრაზა: „ამის დამამტკიცებელი საბუთები უეჭველად იქნება ნაპოვნი. საეჭვო არაფერია. არის ერთადერთი შეკითხვა: **სადაა დამალული ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი?“**

ამ მიზნით შეიჭრნენ ამერიკელები ერაყში (ასე იყო განცხადებული). იარაღი ვერ იპოვეს. ჰუსეინი კი ჩამოახრჩვეს.

გაბითურდნენ ამერიკელები.

მსგავსი სკანდალების შემდეგ, რომლებშიც აშკარად გამოიკვეთა პერლის კომერციული ინტერესები, იგი იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო. ამჟამად იგი მუშაობს ამერიკის მწარმოებლობის ინსტიტუტში, სადაც აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტის — **დიკ ჩეინის** ცოლთან ერთად ამ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად არის არჩეული.

კლუბის მთავარი საზრუნავი, რა თქმა უნდა, ეკონომიკის პრობლემებია. „ბილდერბერგი-2015“-ის დღის წესრიგში განსახილველ საკითხთაგან ძირითადი, რა თქმა უნდა, ეკონომიკის პრობლემები იყო. ელიტას ეეჭვება, რომ 2008-2009 წლების მსოფლიო კრიზისის შემდგომი აღდგენის პერიოდი მდგრადია.

## ვინ ვინ არის

კლუბში წარმოდგენილები არიან უმსხვილესი კლერკები — მსოფლიო ელიტის ფინანსების გამგებელნი.

„ბილდერბერგის“ კონფერენციას თავმჯდომარეობდა სადაზღვევო კონცერნ **AXA Group**-ის გენერალური დირექტორი **ანრი დე კასტრი.** კონცერნი მსოფლიოს უდიდესი კონცერნების ათეულში შედის. მისი აქტივები ტრილიონ დოლარამდეა.

უფრო მეტ აქტივებს განკარგავს **Black Rock** — 4,77 ტრილიონ დოლარს. კომპანიას წარმოადგენდა ხელმძღვანელის მოადგილე **ფილიპ ჰილდებრანდი**. უწინ იგი შვეიცარიის ეროვნული ბანკის მმართველობას თავმჯდომარეობდა და ამ სისტემაში დიდი თანამდებობები ეკავა. მაგრამ მის მოღვაწეობას ყოველთვის თან სდევდა სკანდალები და ფინანსური ზარალი.

კონფერენციის მონაწილეთა შორის იყო **კენეტ გრიფინი, Citadel Investment Group**-ის დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ამ ჯგუფის ფინანსურ შესაძლებლობებზე მიუთითებს თუნდაც **გრიფინის წლიური ხელფასი, რომელიც 1,3 მილიარდი დოლარია(!).**

ამ ჩამონათვალში უნდა დასახელდეს **მერი ენდრიუსიც, J.P. Morgans Asset Maragement**-ის აღმასრულებელი დირექტორი. ეს კომპანია ითვლება მსოფლიო ლიდერად ინვესტიციების მართვისა და კერძო საბანკო მომსახურების დარგში, განაგებს 1,7 ტრილიონი დოლარის ოდენობის ფინანსებს.

## საიდან ჟონავს საიდუმლო ინფორმაცია?

ახლა, როცა ასე თუ ისე აეხადა ფარდა ამ კლუბის ბოლო სხდომაზე განხილულ საკითხებს, შევიტყვეთ კონფერენციის მონაწილეთა (ზოგიერთის) ვინაობა, ჩნდება კითხვა: საიდან? აკი, შეხვედრა გასაიდუმლოებული იყო, მოთხოვნაც — უმკაცრესი: ყველაფერი, რაც სხდომებზე ითქმებოდა, უმკაცრესად უნდა გასაიდუმლოებულიყო?!

პოლიტოლოგები გვიპასუხებენ, რომ განსაიდუმლოება განსჯის საფუძველზე მოხდა, ოფიციალური პოლიტიკური დღის წესრიგის, კონფერენციის მონაწილეთა სიის ანალიტიკური გაანალიზების გზით.

ვისაც სურს, დაიჯეროს...

ვინც დაეჭვდება, რამდენიმე ფაქტს დავუსახელებ.

კონფერენციის პერსონაჟთა შორის იყო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ბოსი **დევიდ პეტრეუსი**, რომელსაც ახლახან დააკისრეს ჯარიმა 100 000 დოლარის ოდენობით და საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვისთვის მიუსაჯეს თავისუფლების პირობითი აღკვეთა ორი წლით. ეს გენერალი საყვარელს სახელმწიფო საიდუმლოებათა შესახებ ემუსაიფებოდა.

ამჟამად პეტრეუსი კერძო საინვესტიციო კომპანიაში მუშაობს, რომლის დამფუძნებელია ამერიკელი მილიარდერი **ჰენრი კრავიცი.** ისიც „ბილდერბერგერთა“ კონფერენციის მონაწილეთა შორის იყო.

შემდეგი — ავსტრიელი ბარონი **რენე ბენკო**, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვითაა დაკავებული; მიცემული იყო პასუხისგებაში მექრთამეობისთვის.

გამგები მიხვდება, რაზეც მივანიშნებ.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ჟურნალისტ **სკელტონს** ეს მინიშნებად კი არ მიაჩნია, არამედ კლუბის „საუკეთესო“ ტრადიციად. **კლუბის პირველი თავმჯდომარე ბერნარდი დიდი თაღლითი და გაიძვერა იყო. სამოცდაათიან წლებში ფირმებთან „ლოკჰიდთან“ და „ნორტონთან“ იარაღის ყიდვა-გაყიდვის საქმეში ქრთამის აღება დაუმტკიცდა. პრინცის გარდა ამ ულირს საქმეში იაპონიის პრემიერიცა და იტალიის პრეზიდენტიც ამხილეს. მხოლოდ „ლოკჰიდმა“ დიდმოხელეებს ქრთამად 22 მილიონი დოლარი მისცა. ეს იმ პერიოდში უზარმაზარი თანხა იყო.**

**კანონის ამ დამრღვევთა სიას ემატება საფრანგეთის ყოფილი პრემიერი ალენ ჟუპე, რომელსაც ბრალი დაედო სახელმწიფო სახსრების გაფლანგვასა და პარტიის უკანონო დაფინანსებაში.** ყოფილ პრემიერს წლინახევრით პირობითი პატიმრობა მიესაჯა.

მათ შორის მოიხსენიებენ **ჰენრი კისინჯერსაც,** რომელსაც აკრძალული აქვს ჩასვლა რიგ ქვეყნებში. მას ბრალად ედება ჩილესა და არგენტინაში ხუნტების სისხლის სამართლის დანაშაულებში თანამონაწილეობა.

## დასასრულ:

პრაქტიკულად ყველა პერიოდში პოლიტიკა ელიტური იყო, ინფორმაცია კი ხალხის მასებისთვის მიუწვდომელი რჩებოდა.

საყოველთაოდ ცნობილია ათობით მასონური ლოჟის არსებობა რუსეთში დეკაბრისტების დროს. არაფერი კარგი მათ ამ ქვეყნისთვის არ მოუტანიათ.

შეიძლება, გავიხსენოთ ელიტური საზოგადოება **„თავის ქალა და ძვლები“**, იელის უნივერსიტეტის საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის წევრებიც იყვნენ XIX-XX საუკუნეების ბევრი დიდი პოლიტიკოსი, მათ შორის, აშშ-ის ორი **პრეზიდენტი ბუშები** და აშშ ამჟამინდელი სახელმწიფო მდივანი **ჯონ კერი**.

იელის უნივერსიტეტი მსოფლიოში აშშ-ის ექსპანსიის გამტარებელი კადრების სამჭედლოდაა მიჩნეული.

**უცხოეთის მედიის პუბლიკაციების მიხედვით მომზადა**
**არმაზ სანებლიძემ**



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვარშავის შეთანხმების ორგანიზაცია დაიშალა, ნატო კი — არა. მშვიდობიანი მისწრაფებების ნაცვლად, ნატომ დაიწყო გაფართოება და რუსეთის საზღვრებამდე მიახლოება.**




# უთხარით ნატოს «არა»!

**XVI საუკუნის დასაწყისში ფრანგი ისტორიკოსი ფ. დე კომინი აღნიშნავდა: „ღმერთმა იმგვარად ააგო ევროპა, რომ ყველა სახელმწიფომ მიიღო დაუძინებელი მტერი თავის საზღვართან“. საბედნიეროდ, 200 წელზე მეტია, შვედეთს ამგვარმა ბედისწერამ გვერდი აუარა. არადა, ქვეყანა მდებარეობდა ზესახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების გადაკვეთის წერტილზე. მისი უსაფრთხოება დამოკიდებული იყო დასავლეთევროპული სახელმწიფოებისა და რუსეთის ურთიერთობაზე, გერმანიასა და რუსეთს შორის ურთიერთობაზე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი — ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობაზე.**




გარემოებათა ბედნიერი დამთხვევის წყალობით მშვიდობა შენარჩუნდა. შვედეთი გონივრულ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა კარლ XIV მეფობის დროიდან. ეს უკანასკნელი, არ იყო რა დამძიმებული ისტორიული ცრურწმენებით, ახორციელებდა მნიშვნელოვან მისიას უშიშროების პოლიტიკის სფეროში და საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის სამხედრო კავშირებისგან თავისუფალ პოლიტიკას.

ცივი ომის პერიოდში შვედეთისთვის ძირითადი საფრთხე იყო ნატოს ომში ჩათრევა. ამ საფრთხესთან გამკლავებას შვედები ცდილობდნენ ნეიტრალიტეტის მტკიცე და თანმიმდევრული პოლიტიკით, ასევე, მტკიცე თავდაცვით. შვედური უსაფრთხოების პოლიტიკა ხელს უწყობდა სიმშვიდისა და სტაბილურობის შენარჩუნებას ჩრდილოეთ ევროპაში, მშვიდობას ქვეყანაში ყოველგვარი ბირთვული იარაღის გარეშე.

ჩრდილოეთ ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში შვედეთის დამსახურებას დღეს უარყოფს ყველა, ვისაც ქვეყნის ნატოში შეთრევა სურს. მათ არ უნდათ, გაიგონ, რომ ნეიტრალიტეტი და სამხედრო კავშირებისგან თავისუფლება სასარგებლო იყო როგორც ამ ქვეყნის, ასევე მისი ხალხისთვის.

რუსოფობია იმარჯვებს. ნატოს მომხრეები კონტინენტზე ახალი სამხედრო გამყოფი ხაზების გავლებას ცდილობენ; ისტორიასა და შვედეთის გამოცდილებას არა მხოლოდ გვერდზე გადადებენ, არამედ სანაგვეზე ისვრიან.

XX საუკუნის შვედური ლიტერატურის დიდი წარმომადგენელი, მწერალი **ეივინდ იონსონი** ევროპულ საზოგადოებაზე მსჯელობდა. როდესაც ბერლინში „სირცხვილის კედელი“ დაემხო და საბჭოთა სისტემა დაიშალა, გაჩნდა იდეა, აღარ გაევლოთ აღარანაირი გამყოფი ხაზები ევროპაში. არ შეიძლება რომელიმე ქვეყნის იზოლირება ან პოტენციურ მტრად გამოცხადება. ის, რაც ახლა რუსეთის მიმართ ხდება, მშვიდობას არ ემსახურება. პირიქით, ქვეყნებისა და ხალხების იზოლაცია სახიფათო მოვლენაა. ეს მშვიდობამდე არ მიგვიყვანს.

შეხედეთ ჩრდილოეთ კორეას. მშვიდობის განმტკიცების ნაცვლად, იზოლაცია ნელ-ნელა გადადის გაუცხოებაში, დაძაბულობისა და მტრობის ზრდაში. შვედეთის მეზობელ ბალტიისა და ბარენცის ზღვების რეგიონს კარგი წინაპირობა აქვს იმისათვის, რომ სამაგალითო მოედნად იქცეს თანამშრომლობისათვის. შვედეთს კი ყველაზე კარგი წინაპირობები აქვს იმ ინიციატივების წამოსაყენებლად, რომლებიც ევროპას ამ მიმართულებით წაიყვანს.

**ახლა შვედეთი იმ არასახარბიელო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია სამხედრო აგიტაცია და ომის ავისმომასწავებელი მოლოდინი. ნაცვლად იმისა, რომ მშვიდობაზე ისაუბრონ, ომზე ლაპარაკობენ; ნაცვლად იმისა, რომ ფიქრობდნენ კრიზისების მშვიდობიანად მოგვარებაზე, საომარი მოქმედებებით სპეკულირებენ.** მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ურთიერთდაპირისპირება და მუქარა არასდროს ყოფილა უფრო აქტუალური, ვიდრე დღესაა. **საქმე იქამდეც კი მიდის, რომ საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას სამხედრო სწავლებების ჩატარების თაობაზე და ამ სწავლებისას საბრძოლო იარაღის გამოყენებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ შიშის ეფექტი გაზარდონ.** ევროკავშირის რუსეთთან კონფლიქტმა ისე შორს შეტოპა, რომ უკვე შეუძლებელია ნორმალური დიალოგების გამართვა. კარგი იქნებოდა, ვინმე დაფიქრებულიყო, მაინც რა არის არასწორი ამ ურთიერთობებში.

იმის გამო, რომ რუსეთი ჩაერია უკრაინის მოვლენებში, ყველა მეზობელი ქვეყანა თავს საფრთხის წინაშე გრძნობს. თავისთავად ეს ბუნებრივი რეაქციაა. **ნატომ, განათავსა რა ჯარი და მძიმე ტექნიკა რუსეთის საზღვრებთან, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ვითარება გაეუარესებინა.** როგორც ჩანს, საამისოდ არანაირი ძალისხმევა არ დაზოგეს. დაძაბულობაც გაიზარდა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შვედეთმა გააკეთა არჩევანი და ნატო ჩართო თავდაცვის სფეროსა და უსაფრთხოების პოლიტიკაში, მაგრამ ნეიტრალიტეტი ხომ ორივე ყოფილი ბლოკის მიმართ ნეიტრალიტეტს ნიშნავს. აუცილებელია ერთ ენაზე საუბარი როგორც რუსებთან, ისე ამერიკელებთან. გამონაკლისი არ არსებობს.

**ნატომ, განათავსა რა ჯარი და მძიმე ტექნიკა რუსეთის საზღვრებთან, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ვითარება გაეუარესებინა**




ეგრეთ წოდებული მემორანდუმი მიღებული მხარის მხარდაჭერის შესახებ, რომლის საშუალებითაც შვედეთი კარს ულებს ნატოს, პირდაპირი მნიშვნელობით, ნატოსკენ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ შვედეთს ჯერ კიდევ აქვს დრო, გადაიფიქროს. ამ მემორანდუმის შესახებ გადაწყვეტილებას შვედეთის რიკსდაგი მხოლოდ 2016 წლის გაზაფხულზე მიიღებს. ეს მემორანდუმი შეუთავსებელია ნეიტრალიტეტთან და სამხედრო კავშირებისგან თავისუფლებასთან.

შვედეთი „მშვიდობისთვის პარტნიორობის“ წევრია. ამის შესახებ ხელშეკრულება შვედეთის სახელით 1994 წლის გაზაფხულზე ბილდტის ხელისუფლებამ გააფორმა. ამის შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსულმა სოციალ-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ შეთანხმება არ დაარღვია. რუსეთი იგივე შეთანხმების მონაწილეა და სწავლებებში მონაწილეობდა. პარტნიორობა იყო მოედანი სამოქალაქო თავდაცვის საკითხებში — პირველ რიგში, სანავთობე კატასტროფების ლიკვიდაციისა და მიგრაციული ნაკადების დარეგულირების საქმეებში თანამშრომლობისთვის.

მაგრამ დასავლურმა სახელმწიფოებმა აღკვეთეს შესაძლებლობა, ევროპაში გრძელვადიანი, სტაბილური მშვიდობის დამყარებისა და ყველა მიმართულებით კეთილმეზობლური ურთიერთობებისთვის. **ვარშავის შეთანხმების ორგანიზაცია დაიშალა, ნატო კი — არა. მშვიდობიანი მისწრაფებების ნაცვლად, ნატომ დაიწყო გაფართოება და რუსეთის საზღვრებამდე მიახლოება.**

ადვილი გასაგებია ბალტიისპირეთის ხალხთა მღელვარება მას შემდეგ, რაც უკრაინასა და ყირიმს დაემართათ. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა სისტემა ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის მოქალაქეებს გზავნიდა სადამსჯელო-გამოსასწორებელ და შრომით ბანაკებში ციმბირში, სადაც საშინელი პირობების გამო მრავალი ადამიანი დაიღუპა. რასაც გადარჩენილები ყვებიან, იმას ლამაზ ისტორიას ვერავინ დაარქმევს, მაგრამ ხომ შეიძლება, რუსეთს, მის პრეზიდენტსა და ხალხს ახლო საზღვარგარეთისთვის მშვიდობა რომ სურდეთ?!

მიხეილ გორბაჩოვი ამბობდა, რომ ახალი ცივი ომი დაიწყებოდა, თუკი რუსეთზე ზეწოლა განხორციელდებოდა და მის იზოლაციას მოინდომებდნენ. იგი დასავლეთს მოუწოდებდა, რუსეთთან ურთიერთობები დაეთბო. ბოლო ხანს პრეზიდენტმა პუტინმაც განაცხადა, რომ არ არსებობს რაიმე მიზეზი იმისათვის, რომ რუსეთის ეშინოდეთ. რუსეთს არ სურს ომი. ამ მოწოდებებს შვედურ მედიაში არ ახმოვანებენ, მაგრამ, როდესაც სტოკჰოლმში ნატოში აშშ-ის ელჩი ჩავიდა თავისი დასაშინებელი პროპაგანდით, მას დიდი ყურადღება დაუთმეს.

**შვედეთში რუსეთის ხატი სულ უფრო ნეგატიურ ელფერს იძენს. რუსოფობია შვედეთის ძველი სენია. როდესაც შვედეთის წინააღმდეგ ჯაშუშობაზეა საუბარი, პირველ რიგში, რუსეთს ასახელებენ დამნაშავის როლში.** არადა, მშვენივრად იცის ყველამ, რომ ამას აშშ-ც აკეთებს და ჩინეთიც.

ნიშანდობლივია, რომ, **როდესაც რუსეთსა და მის პოლიტიკას განიხილავენ, დასავლეთის მხრიდან თითქმის ვერასდროს დაინახავთ თვითკრიტიკასა და რუსეთის მიმართ აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგების ანალიზს.** არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ სწორედ დასავლეთის ქმედებებმა განაპირობა მწვავე დაპირისპირება. როდესაც გაჩნდა „აღმოსავლური პარტნიორობა“, რუსეთი ფაქტობრივად აიძულეს, მძლავრი საპასუხო რეაქცია გამოეხატა.

არც რუსეთის ისტორიის იგნორირება შეიძლება. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში რუსების ლაიტმოტივი იყო სურვილი, აღარასოდეს დაეშვათ საკუთარ ტერიტორიაზე ომი.

რუსებს, ისევე, როგორც სხვა ყველას, ღირსებებიც აქვთ და ნაკლოვანებებიც, მაგრამ რუსეთი შვედეთის ერთ-ერთი მეზობელი ქვეყანაა, თანაც სხვა მეზობლებზე დიდი და ყველაზე გავლენიანი. ცხადია, შვედეთს მასთან საუკეთესო ურთიერთობები უნდა აკავშირებდეს. გრძელვადიან პერსპექტივაში **შვედეთი დაინტერესებულია, რომ რუსეთს ჰქონდეს სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტები და სურდეს თანამშრომლობა როგორც მეზობელ, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებთან. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შვედეთის მხრიდან ეს ურთიერთობები დათმობებსა და მორჩილებას უნდა ეფუძნებოდეს, პირიქით, ისინი უნდა ემყარებოდეს ნეიტრალიტეტსა და სამხედრო კავშირებისგან თავისუფლებას.**

გარდა ამისა, როგორც ჩანს, უბრალო ყოველდღიური ურთიერთობა, მაგალითად, ვაჭრობა, ტურიზმი, სპორტი და ასე შემდეგ, აღებს არაერთ კარს და აგებს არაერთ ხიდს. სამხედრო კავშირებისგან თავისუფლება შვედეთისთვის არასდროს ყოფილა თვითმიზანი. **სამხედრო კავშირებისგან თავისუფლება ამ ქვეყნისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებაა. მნიშვნელოვანია, რომ შვედეთი ნეიტრალური იყოს, მით უფრო, თუ მასთან ახლოს ომი გაჩაღდება. ნატოში შესვლა მხოლოდ ფორმალობა არ არის, როგორც ბევრს ჰგონია.**

ბოლო წლებში სტოკჰოლმის ძველ ქალაქში ბევრ რუსს შეხვდებით, რომლებიც სიხარულსა და სოლიდარობას გამოხატავენ. ამგვარი გრძნობები შეიძლება ჩაახშო, არ დააფასო, მაგრამ ვერ მოკლავ.

**Aftonbladet**

**ამერიკელებს სურდათ, შეექმნათ კონტროლს დაქვემდებარებული, მართული პარტიზანების პატარა ჯგუფი, მაგრამ მიიღეს „ისლამური სახელმწიფო“; სურდათ, ცოტა „მისწოლოდნენ“ და გონს მოეყვანათ საუდის არაბეთი, რომელმაც ბევრი ფიქრი დაიწყო საკუთარ თავზე, თანაც ამერიკელებს ფიქლური გაზის პროექტი ჩაუფუშა, მაგრამ მიიღეს პარტიზანული მოძრაობა, რომელმაც საუდის არაბეთის ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება დაიწყო.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ახლოაღმოსავლური ხანძარი ფართოვდება, ვინ დაიფერფლება?

**ახლო აღმოსავლეთში აგიზგიზებული ცეცხლი თანდათან ძლიერდება. უკვე მერამდენედ მტკიცდება სამართლიანობა მოსაზრებისა, რომ ომის დაწყება გაცილებით იოლია, ვიდრე მისი დამთავრება. აშშ-ს დასჭირდა ინსტრუმენტის მოძებნა ასადის წინააღმდეგ ომში — აქ და ახლავე, სასწრაფოდ და რაც შეიძლება რადიკალური. ამერიკის ადმინისტრაციას შედეგები სულაც არ აინტერესებდა, მთავარი იყო ზესახელმწიფოს სტატუსის განმტკიცება. გამოიყენეს პირველივე, რაც ხელში მოხვდათ. და ესენი აღმოჩნდნენ რადიკალი ისლამისტები.**



სხვათა შორის, რეგიონში, რომელიც სოციალური და იდეური განვითარების მხრივ შუასაუკუნეების დონეზეა, ისლამისტების გარდა, სხვა ძალის მოძებნა შეუძლებელი იყო. ასეა თუ ისე, ამერიკელებს სურდათ, შეექმნათ კონტროლს დაქვემდებარებული, მართული პარტიზანების პატარა ჯგუფი, მაგრამ მიიღეს „ისლამური სახელმწიფო“. **სურდათ, ცოტა „მისწოლოდნენ“ და გონს მოეყვანათ საუდის არაბეთი, რომელმაც ბევრი ფიქრი დაიწყო საკუთარ თავზე, თანაც ამერიკელებს ფიქლური გაზის პროექტი ჩაუფუშა, მაგრამ მიიღეს პარტიზანული მოძრაობა, რომელმაც საუდის არაბეთის ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება დაიწყო.**

თუმცა მთავარი არც ეს არის.

რაც დღეს ახლო აღმოსავლეთში ხდება, მისი საკვანძო მომენტია:

**პირველი** — კონფლიქტის გაფართოების ტემპით თუ ვიმსჯელებთ, 3-5 წლის განმავლობაში კოლონიური სისტემის რღვევის შემდეგ (რომელიც მეორე მსოფლიო ომის შედეგებით იყო განპირობებული) ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური კონფიგურაცია დაინგრევა. დღეს რეგიონში წარმოდგენილია ხუთი ძირითადი ძალა: **ირანი, თურქეთი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე და ისრაელი; პლუს ქაოსის ფართო ტერიტორია ლიბიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში, კერძოდ, სუდანსა და სომალიში, აგრეთვე, ერაყში,** რომელიც ტერიტორიული რღვევის საფრთხის წინაშეა. **თუ ამბოხებულები შეძლებენ საუდის არაბეთისთვის ნავთობსაბადოებიანი რაიონების წართმევას, სამეფო, რომელიც მხოლოდ ნავთობის მოპოვებაზე დგას, დიდი ალბათობით, შეწყვეტს არსებობას.**

ასეთ შემთხვევაში **ქურთები**, ალბათ, შექმნიან თავიანთ სახელმწიფოს — ქურთისტანს, რაც გამოიწვევს მათ ომს თურქეთთან ტანკებისა და არტილერიის გამოყენებით, რომლებიც საკმაო რაოდენობით აქვს ორივე მხარეს. ძნელი სავარაუდოა, რომ გაძლოს **ეგვიპტემაც.** ამ ქვეყანაში აქამდე გრძელდება სამოქალაქო ომი. ამბოხებულთა დაჯგუფებებმა, რომლებმაც „ისლამური სახელმწიფოსადმი“ ერთგულების ფიცი დადეს, უკვე შეუტიეს ეგვიპტელი სამხედროების პოზიციებს სინაის ნახევარკუნძულზე. ეგვიპტემ ოფიციალურად განაცხადა, რომ, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში იმყოფება „ისლამურ სახელმწიფოსთან“. სინაის ნახევარკუნძულიდან ერაყი კი, როგორც არაბები ამბობენ, „აქლემით სამი დღის სავალზეა“.

**მეორე** — „ისლამური სახელმწიფოს“ დაფინანსების ერთ-ერთი წყარო არის ისლამისტების მიერ ერაყული ნავთობის გაყიდვა დაბალ ფასად. ჯერჯერობით ასეთი ნავთობის მოცულობა დიდი არ არის, მაგრამ, რაც მეტი ნავთობსაბადო აღმოჩნდება ამბოხებულთა ხელში, მით მეტ გავლენას მოახდენს კონტრაბანდული ნავთობი სანავთობო ბაზარზე. და, თუკი შედარებით დივერსიფიცირებული **რუსული** ნავთობისთვის ეს, უბრალოდ, შემოსავლების დამატებითი უსიამოვნო შემცირებაა, **ვენესუელა** უკვე ახლა კრიტიკულ ზღვარზეა და მწვავე პრობლემების წინაშე დგას — ნავთობის კიდევ უფრო გაიაფება ამ ქვეყანაში სოციალურ აფეთქებას გამოიწვევს.

თუმცა, ზემოჩამოთვლილის გარდა, არის კიდევ ერთი ფაქტორი — ეკონომიკური და, შესაძლოა, პოლიტიკური კრიზისის განვითარების კონკრეტული სცენარი ევროკავშირში. ამ გაერთიანებაში რყევები რომ დაიწყება, ნათელია. საკითხავია, რა მასშტაბის იქნება ეს რყევები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიოში ნავთობის ძირითადი მომხმარებლები არიან მრეწველობაგანვითარებული ქვეყნები, პირველ რიგში, ევროპის სახელმწიფოები. ეკონომიკური კრიზისი გამოიწვევს მრეწველობის დაქვეითებას, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს მოთხოვნას ნავთობპროდუქტებზე. ეს, ნავთობის კონტრაბანდასთან ერთად, კიდევ უფრო შეამცირებს ნავთობის ფასს. გავრცელებული ინფორმაციით, **„ისლამური სახელმწიფო“ 1 ბარელ ნავთობს 24-25 დოლარად ყიდის, სანავთობო ბირჟებზე კი ამჟამინდელი ფასი 63,5 დოლარია.** ამრიგად, გამორიცხული არ არის, რომ ბარელი ნავთობის ფასი 50 დოლარამდე ან უფრო მეტადაც დაეცეს. რაც რუსეთის საგარეო-სავაჭრო შემოსავლების დაახლოებით 10-15%-ით შემცირებას და ამ ქვეყნის მოსახლეობის ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას გამოიწვევს.

**რადიკალების შანსი, შექმნან «ისლამური სახელმწიფო» ეგვიპტიდან სომალიმდე, განუხრელად იმატებს. ამასთანავე, იმატებს საფრთხე «ისლამური სახელმწიფოს» შეიარაღებული შეჭრისა უკვე ევროპასა და შუა აზიაში. რა ემუქრება ისრაელს? ასეთ შემთხვევაში ისრაელს, საერთოდ, გადაქელავენ**

ყველაზე მნიშვნელოვანი კი, რომელზეც მიგვითითებს მიმდინარე პროცესი, არის ის, რომ **რეგიონში ქაოსის გაფართოებას რეალური სარგებელი მოაქვს მხოლოდ „ისლამური სახელმწიფოსთვის“. და, რაც მეტი სახელმწიფო დაინგრევა და დანაწევრდება, მით ნაკლები შანსი დარჩება მისთვის ხმელეთზე წინააღმდეგობის გაწევისა.**

**არც აშშ-ს, არც ნატოს, არც ევროკავშირს ისლამისტებთან ხმელეთზე ომში ჩართვა არ სურთ, მხოლოდ საჰაერო დარტყმებს კი დადებითი შედეგი არ მოაქვს.**

ამრიგად, რადიკალების შანსი, შექმნან „ისლამური სახელმწიფო“ ეგვიპტიდან სომალიმდე, განუხრელად იმატებს. ამასთანავე, იმატებს საფრთხე „ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებული შეჭრისა უკვე ევროპასა და შუა აზიაში. რა ემუქრება ისრაელს? ასეთ შემთხვევაში ისრაელს, საერთოდ, გადაქელავენ.

**გიორგი გაჩეჩილაძე,**
**მომზადდა საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით**




ტერიტორიები, რომლებსაც ისლამისტები აკონტროლებენ




აი, რას უმიზნებს „ისლამური სახელმწიფო“

მსოფლიო



## ტუნისში თავდასხმაში ექვმიტანილები დააკავეს

**ტუნისის პოლიციამ სასტუმროებზე თავდასხმაში მონაწილე 12 ეჭვმიტანილი დააკავა. მიმდინარეობს კიდევ ორი ეჭვმიტანილის დაკავება. რამდენიმე დღის წინ საკურორტო ქალაქ სუსიში მომხდარი ტერაქტის შედეგად 38 ადამიანი დაიღუპა.** მომხდარზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო. მომხდარის შემდეგ ქვეყანაში უსაფრთხოების ზომები განსაკუთრებით გამკაცრდა. 1000-ზე მეტი სამხედრო სანაპირო კურორტებზე განათავსეს. ამას გარდა, დროებით დაიხურა 80-ზე მეტი მეჩეთი. ეს ტერაქტი ტუნისის უახლეს ისტორიაში ყველაზე სისხლიანი იყო. მსგავსი თავდასხმა მარტშიც განხორციელდა მაშინ, როდესაც ტუნისის დედაქალაქის ერთ-ერთ მუზეუმში მომხდარ ტერაქტს 22 ადამიანი შეეწირა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ევროპული ეკონომიკის ძლივს შესამჩნევი გამოჯანმრთელება ჩანასახშივე ჩაკვდა და ევროპა კვლავ ჩაიძირა რეცესიაში. ყველა ამ შეცდომის შედეგად, კრიზისების შვიდი წლის თავზე ევროზონის ეკონომიკა წითელ ზონაში აღმოჩნდა.



# როგორ დაანგრია ევროპამ საბერძნეთის ეკონომიკა

**მართალია, ბერძნებმა თვითონაც წვლილი შეიტანეს თავიანთი ეკონომიკის დანგრევაში, მაგრამ ძირითადი დამნაშავე მაინც ევროპის ცენტრალური ბანკია — მისი სავალუტო პოლიტიკის შეცდომები, უარის თქმა საბერძნეთისთვის ევროპული აქტივების გამოსყიდვის პროგრამაში ჩართვაზე, ლიკვიდურობის არხის გადაკეტვის მუქარები...**



**ახლა ქვეყანა დაჩოქილია. საბერძნეთის «დანაშაული» არის ის, რომ მან არ ისურვა, ჩუმად მომკვდარიყო**

2008 წლის კრიზისის დაწყებიდან ევროპის ცენტრალური ბანკი ერთ-ერთი რგოლია საბერძნეთის ეკონომიკის განადგურებაზე პასუხისმგებელთა ჯაჭვში. დღეს შესაძლებელია ყველაფერი ადვილად შეინიღბოს იმით, რომ ბერძნები ვითომდა მუქთახორები და მუქთამჭამელები არიან, მაგრამ მაკროეკონომიკის უბრალო ანალიზიც საკმარისია ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გასაკეთებლად. დასაწყისშივე დაშვებულ იქნა რა საბედისწერო შეცდომა, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა განაგრძო საბერძნეთზე ზეწოლა.

### პირველი ფაზა: 2008 წელი. საბედისწერო შეცდომა ევროზონაში

2008 წლის გაზაფხულზე მსოფლიო განუხრელად მიექანებოდა რეცესიისკენ, მაგრამ ევროპის ცენტრალურმა ბანკმა გადაწყვიტა, ორჯერ გაეზარდა განაკვეთები: ჯერ — აპრილში, შემდეგ კი — ივნისში. **ჟან კლოდ ტრიშემ** შეცდომა დაუშვა და ამით მძიმედ დაარტყა ევროზონის ისედაც უკვე დამუხრუჭებულ ეკონომიკას.

სამი წლის შემდეგ ჟან კლოდ ტრიშემ გაიმეორა შეცდომა და 2011 წლის აპრილში კვლავ გაზარდა საპროცენტო განაკვეთები. არადა, ყველა სხვა ცენტრალური ბანკი საპირისპირო კურსით მიდიოდა. **ევროპული ეკონომიკის ძლივს შესამჩნევი გამოჯანმრთელება ჩანასახშივე ჩაკვდა და ევროპა კვლავ ჩაიძირა რეცესიაში. ყველა ამ შეცდომის შედეგად, კრიზისების შვიდი წლის თავზე ევროზონის ეკონომიკა წითელ ზონაში აღმოჩნდა.**

იმისათვის, რომ სრულფასოვნად შეფასდეს ევროპის ცენტრალური ბანკის მუშაობის შედეგები ევროპული ეკონომიკისთვის, „უფროს" პროფებს უნდა მივმართოთ (კრისტინ ლაგარდის განცხადებით, საბერძნეთის საკითხი უფროსებმა უნდა გადაჭრან), ანუ დავივიწყოთ ევროპელების ფინანსური შეგონებები. 2003 წლის 24 ოქტომბერს აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მომავალმა ხელმძღვანელმა **ბენ ბერნანკემ** საკადრისი მიაგო მილტონ ფრიდმანს, ისარგებლა შემთხვევით, რათა საფუძველი ჩაეყარა სავალუტო პოლიტიკის მცნებისთვის:

„მგონია, რომ მილტონ ფრიდმანის მთავარი რეკომენდაცია არის მოწოდება პოლიტიკური ხელისუფლებებისთვის, შექმნან ეკონომიკაში სტაბილური სავალუტო ფონი. მე განვიხილავ ამას, როგორც მასშტაბური კატასტროფების თავიდან აცილებისათვის უფრო ხმამაღალ განცხადებას, ვიდრე ჰიპოკრატეს ფიცია".

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტაბილური სავალუტო სისტემა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ისეთი კატაკლიზმების თავიდან აცილების საქმეში, როგორიც 2008 წლის შემდეგ ევროპას დაატყდა თავს. ბენ ბერნანკემ მიანიშნა, რომ შეუძლია დახმარება ამ სისტემის სტაბილურობის შეფასებაში:

„როგორც ჩანს, ჩვენ შეგვიძლია სავალუტო ფონდის სტაბილურობის შემოწმება მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, მაგალითად, ნომინალური შიგა საერთო პროდუქტის ზრდით ან ინფლაციით".

დასაწყისისთვის განვიხილოთ ინფლაციის სტაბილურობა. ევროზონაში ის ზემოთქვემოთ დახტის.

მაგრამ მთავარი მაინც ეს არაა. ბენ ბერნანკეს მიერ ხსენებული მეორე მომენტი ევროპის ცენტრალური ბანკის, როგორც კრიზისულ პერიოდში ეკონომიკური რეგულატორის, კრახის ყველაზე თვალსაჩინო დადასტურებაა: ნომინალური ეკონომიკური ზრდის სტაბილურობა (ეკონომიკური ზრდა მიმდინარე ფასებით, ამით განსხვავდება ნომინალური ეკონომიკური ზრდა რეალურისგან, რომელიც არ მოიცავს ინფლაციის მაჩვენებლებს).

საქმე ისაა, რომ ნომინალური ზრდა ევროპის ცენტრალური ბანკის პირდაპირ და უშუალო კონტროლს ექვემდებარება. ნომინალურ და რეალურ ზრდას შორის სხვაობა 2008 წლიდან 22%-ია.

ამ დროს ჩაერთო საქმეში საბერძნეთი. ვინაიდან ევროზონა არნახული მასშტაბების კრიზისში ჩაეფლო, წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე არამდგრად ეკონომიკებს პირველებს მოუხდათ ანგარიშების გასწორება. მათ შორის იყო საბერძნეთიც.

ქვეყნის ეკონომიკა განადგურებულია. საჭიროც აღარაა იმის თქმა, რომ **ევროპის ცენტრალური ბანკი არის იმ „სამეულის" წევრი, რომლის მიზანია, საბერძნეთის მოსახლეობისგან მიითხოვოს ბანკის შეცდომების ანაზღაურება.** მას შემდეგ, რაც მკაცრ სავალუტო ზომებს დაერთო საბიუჯეტო ზომებიც დაერთო, ქვეყნის საერთო შიგა პროდუქტი 26,27%-ით შემცირდა 2008 წლის ბოლო კვარტლიდან 2015 წლის პირველ კვარტლამდე პერიოდში. ამჟამად საბერძნეთში უმუშევრობის მაჩვენებლი 26,6%-ია.

ქვეყნის ეკონომიკის განადგურების შემდეგ მოსახლეობამ გადაწყვიტა, ხელისუფლებაში სირიზა მოიყვანა.

### მეორე ფაზა. დახმარება ყველას, გარდა ყველაზე სუსტებისა

2015 წლის 22 იანვარს, შვიდი წლის დაგვიანებით, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა გადაწყვიტა, მიეღო სავალუტო ანტიკრიზისული ზომები და მთელი ევროზონისთვის შეადგინა ტრილიონზე მეტი ევროთი ეკონომიკის გაზრდის პროგრამა, რომელიც, კერძოდ, გულისხმობს წევრი ქვეყნების სახელმწიფო ობლიგაციების გამოსყიდვას. ევროზონაში ზრდაზე ახლანდელი მინიშნებები სწორედ ამ გადაწყვეტილების შედეგია. ოღონს ეს ყველაფერი საბერძნეთს არ ეხება.

2015 წლის 5 მარტს **მარიო დრაგიმ** განაცხადა:

„მოცემულ მომენტში ევროპის ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია ბერძნული ობლიგაციების გამოსყიდვა. როგორც კი საბერძნეთი განახორციელებს გადახდებს საკუთარ ობლიგაციებზე, ეს კი ივლისში ან აგვისტოში იქნება გასაკეთებელი, შევძლებთ, შევუდგეთ საბერძნეთის ობლიგაციების შესყიდვას აქტივების შეძენის ახალი პროგრამის შესაბამისად".

**გამოდის, რომ ყველაზე სუსტი ეკონომიკა, რომელმაც კონტინენტის მასშტაბით უმძიმესი დარტყმა მიიღო, უბრალოდ, არ არის პროგრამის ნაწილი.** თუკი საბერძნეთს სურს, რომ მდგომარეობა შეუმსუბუქდეს, მის წინაშე აყენებენ პირობას: განაგრძოს მკაცრი ეკონომიის გეგმა. **არჩევნებზე ბერძენი ხალხის „არასწორ" გადაწყვეტილებას სასჯელიც მოჰყვა. ამ მომენტიდან ქვეყანა, უბრალოდ, მოისროლეს. მკაცრი კურსი უნდა გაგრძელდეს, რაიმე სავალუტო მხარდაჭერას არ უნდა ელოდონ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ „ევროპულ საზოგადოებაში" საუბარიც არ შეიძლება იყოს რაიმე სახის თანასწორობაზე.**

### მესამე ფაზა. პანიკა საბანკო სფეროში

ახლა, როდესაც საბერძნეთი უკიდურესად მიუახლოვდა ევროზონიდან მისი გარიცხვის შესახებ საკითხის დასმას, ევროპის ცენტრალური ბანკი მის ხელთ დარჩენილ უკანასკნელ ძაფს მოქაჩავს: საბერძნეთის საბანკო სისტემისთვის ლიკვიდურობის მინიჭებას. საქმე ისაა, რომ ვინაიდან ევროზონაში საბერძნეთის დარჩენასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტი საფრთხე იქმნება, ადგილობრივი მოსახლეობა ღელავს ბანკებში შენახულ ფულთან დაკავშირებით. თუ საბერძნეთი გავა ევროზონიდან, ევრო დრაჰმად იქცევა და დადგება დრო, როდესაც კრახისკენ მიმავალი საბანკო სისტემიდან დანაზოგების გატანა გახდება საჭირო.

ევროპის ცენტრალური ბანკი საბერძნეთის ბანკებს ლიკვიდურობას ექსტრემალური ვალის სახით აძლევს. ამისათვის 2015 წლის თებერვალში ევროპის ცენტრალურმა ბანკმა დაადგინა ზედა ზღვარი — 60 მილიარდი ევრო. მას შემდეგ ზღვრული დონე მიღწეულ იქნა და ბერძნული ბანკების თხოვნის საფუძველზე მაქსიმალური ზღვარი გაზარდეს.

მაგრამ 18 ივნისს პროცესი შეჩერდა. ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა ბენუა კერემ უკანასკნელი დარტყმა განახორციელა. ამის შესახებ Reuters-ი წერდა:

„ორმა ოფიციალურმა პირმა ბრძანა, რომ ევროჯგუფის ხელმძღვანელმა იერუნ დეისელბლუმმა შეხვედრისას ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელთაგან ერთ-ერთს — ბენუა კერეს ჰკითხა, ხვალ შეძლებდნენ თუ ვერა საბერძნეთის ბანკები გახსნას.

კერემ უპასუხა: „ხვალ შეძლებენ, ორშაბათს — არ ვიცი".

მუქარა ამ ნათქვამში სავსებით ნათელია და მას გაიგებენ კიდეც. ასე რომ, ბერძნული ბანკების გახსნა ევროპის ცენტრალური ბანკის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ევროპის ცენტრალურ ბანკს შეუძლია, მიიღოს ან უარყოს ადგილობრივი ბანკების თხოვნა ლიკვიდურობის მიცემაზე და ამით ხელში უჭირავს ფინანსური სისტემის გადარჩენის შანსი. ამგვარი საფრთხის წინაშე მდგომმა მოსახლეობამ ბანკებიდან სასწრაფოდ დაიწყო ნაღდი ფულის გატანა. მხოლოდ ერთ კვირაში ბერძნულმა ბანკებმა 5 მილიარდი ევრო დაკარგეს.

**ახლა ქვეყანა დაჩოქილია. საბერძნეთის „დანაშაული" არის ის, რომ მან არ ისურვა, ჩუმად მომკვდარიყო. სირიზა და ალექსის ციპრასი ამ ყველაფერში განსაკუთრებულ როლს არ ასრულებენ. იმისათვის, რომ საბერძნეთის კატასტროფის მასშტაბები შეფასდეს, ნეომარქსიზმი საჭირო არ არის, საკმარისია, გავიხსენოთ ბენ ბერნანკე და მარტინ ფრიდმანი, რომლებსაც ვერავინ დაადანაშაულებს მიკერძოებულობაში.**

Atlantico

---

მოკლედ

## პენტაგონი 2015 წლის სამხედრო სტრატეგიას აქვეყნებს

**დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მთავარ საფრთხეებს, რაც საერთაშორისო უსაფრთხოებას ემუქრება, არამხოლოდ ტერორისტული დაჯგუფება ისლამური სახელმწიფო, არამედ „რევიზიონისტი ქვეყნები" რუსეთი, ირანი, ჩინეთი და ჩრდილოეთ კორეაც წარმოადგენენ.** „მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა შეიტანა საკუთარი წვლილი ნარკოტიკებთან და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, იგი მაინც ავლენს მეზობელი სუვერენული ქვეყნების მიმართ უპატივცემულობას და სურვილს — საკუთარ მიზნებს ძალის გამოყენებით მიაღწიოს", — ნათქვამია პენტაგონის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში. სამხედრო სტრატეგიაში ასევე ნახსენებია „ჰიბრიდული ომი" რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის კონტექსტში. ამას გარდა, დოკუმენტის ავტორები რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს პირდაპირ და მესამე ძალის გამოყენებით რეგიონული უსაფრთხოებისთვის ძირის გამოთხრაში ადანაშაულებენ.



შარშან ბუდაპეშტმა 2000-ზე მეტი ადამიანი შეიფარა, წლის დასაწყისიდან კი — უკვე 54 000. თუ ევროპულ სტატისტიკას დავუჯერებთ, ეს უნგრეთს კონტინენტზე პოპულარობით მეორე ქვეყანად აქცევს შვედეთის შემდეგ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა ელის ევროპის საზღვრებს მიგრანტების მოძალების ფონზე

**სულ უფრო ძნელი წარმოსადგენი ხდება, რომ ევროკავშირის დამაარსებლები ოცნებობდნენ საზღვრებს გარეშე ევროპაზე. შენგენის ზონა, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების ტერიტორიას, ახლა ფსიქოლოგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით მსოფლიოსგან გამოყოფისკენ მიდის. ევროპა სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას ქმნის აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან მიმწყდარი მოგრანტების გზაზე. ამჟამად უკვე მოქმედებს 393 ცენტრი იმ დევნილებისთვის, რომლებსაც ევროპაში შესვლაზე უარი უთხრეს...**



შექმნილ მდგომარეობას ასახავს ის ოთხმეტრიანი ღობეც, რომლის აშენებაც უნგრეთმა გადაწყვიტა სერბეთთან 154-კილომეტრიანი საზღვრის გაყოლებაზე. ქვეყნის ხელისუფლება ამითაც გამოხატავს უკმაყოფილებას უცხოელების მასობრივი შემოტევის პრობლემის მოსაგვარებლად ევროპის ხელისუფლების გვიანი რეაქციების გამო.

**შარშან ბუდაპეშტმა 2000-ზე მეტი ადამიანი შეიფარა, წლის დასაწყისიდან კი — უკვე 54 000. თუ ევროპულ სტატისტიკას დავუჯერებთ, ეს უნგრეთს კონტინენტზე პოპულარობით მეორე ქვეყანად აქცევს შვედეთის შემდეგ.**

საზღვრის უეცარი დაკეტვის გამო სერბეთმა პროტესტი გამოხატა, მაგრამ უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ არ დარღვეულა არც ერთი საერთაშორისო შეთანხმება და რომ სხვა ქვეყნებმაც იგივე გზა აირჩიეს. სერბეთი შენგენის ზონაში არ შედის და უნგრეთმა მხოლოდ განამტკიცა ევროკავშირის გარე საზღვარი საერთო კანონების დარღვევის გარეშე.

ამ საქმეში მან ბულგარეთის, საბერძნეთისა და ესპანეთის მაგალითს მიჰბაძა. მსოფლიო მოიარეს კადრებმა, თუ როგორ აწყდება ათობით მიგრანტი ესპანეთის ექვსმეტრიან ღობეს, რომელშიც ახლა, როგორც ზოგიერთები ეჭვობენ, დენი გაჰყავთ. საბერძნეთს მავთულხლართები აქვს თურქეთთან სახმელეთო საზღვარზე, რომელიც სირიელ და ერაყელ დევნილებს აიძულებს, სახიფათო მოგზაურობისთვის ზღვა აირჩიონ.

## სირცხვილის კედლები

სირცხვილის კედლები ბრუნდება. ალბანეთი, მაკედონია და სლოვენია ბარიერების აღმართვით იმუქრებიან. დიდი დასავლური ქვეყნები, რომლებსაც ევროპისთვის რეპუტაციის შენარჩუნება აღელვებთ, ახლა დროებით კეტავენ საზღვრებს. იქ სამართალდამცავებს გზავნიან, გზას მხოლოდ მიგრანტებს უკეტავენ, სხვებს გავლა უპრობლემოდ შეუძლიათ, გაატარებენ ტვირთებსაც. ხელისუფლებები ირწმუნებიან, რომ საზღვრები ღიაა. **შენგელის ზონა ჯერ კიდევ რჩება ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების ზონად, მაგრამ არა იმ ადამიანებისა, რომლებიც სილატაკესა და დევნას გაურბიან.**

**ავსტრია** გზას უკეტავს ყველას, ვინც თავშესაფარზე უარს ამბობს ან ვისაც **იტალიური** პოლიცია ჩუმად ერეკება ჩრდილოეთისკენ. ზუსტად ასევე ექცევა გერმანია საფრანგეთიდან ჩასულებს. პარიზი-ფრანკფურტის მატარებლები ახლა მუდმივად ყოვნდებიან გზაზე და გერმანელი მებაჟეების მიერ შემოწმების შემდეგ უკან ბრუნდებიან. თავის მხრივ, **საფრანგეთის ხელისუფლება უარს აცხადებს ათობით ერითრიელისა და სუდანელის მიღებაზე. ეს ადამიანები ლაჟვარდოვან სანაპიროზე ივნისის დასაწყისში ჩავიდნენ. მათ იტალიის პოლიციაც აღარ უშვებს უკან, ამიტომაც იძულებულნი შეიქნენ, სპეცრაზმით გარშემორტყმულები სანაპიროზე დაბანაკებულიყვნენ.**

## პირმოთნეობა

ევროპაში აქამდე მიღებული პრაქტიკისთვის დამახასიათებელი იყო იშვიათი პირმოთნეობა. დუბლინის მეორე კონვენციის თანახმად, გათვალისწინებულია დევნილების რეგისტრაცია იმ ქვეყანაში, რომლის გავლითაც ხვდებიან ევროკავშირის ტერიტორიაზე, ანუ იტალიასა და საბერძნეთში. იტალიელი პრემიერი პარტნიორებსა და ევროკომისიას დაემუქრა, რომ ყველა დევნილს მისცემდა დროებით ცხოვრების ნებართვას. ეს კი ნიშნავს, რომ, ევროკავშირის წესების თანახმად, მათ შენგენის ზონაში თავისუფლად შეეძლებათ გადაადგილება.

**მავთულხლართებისა და გემების ჩაძირვის ხილვის შემდეგ, პირველ რიგში, გზა, შესაძლოა, ეკონომიკურ მიგრანტებს გადაეკეტოთ, მათ, ვინც ევროპაში სამუშაოდ მიდის**



შედეგად, საფრანგეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მნიშვნელოვნად გაეფართოვებინა მიგრანტების მიღებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა. თავშესაფრის მიმღები და თავშესაფრის მთხოვნელი ადამიანებისთვის გამოიყოფა კიდევ 9500 ადგილი (ამჟამად ასეთი 25 000 ადგილია). ახლა მათ სასტუმროებში განათავსებენ ან სულაც ქუჩაში ტოვებენ. კიდევ 1500 ტრანზიტული ადგილი შეიქმნება არალეგალებისთვის, რომელთაც თავშესაფრის მოთხოვნის უფლება არ აქვთ და, შესაბამისად, უნდა დატოვონ ქვეყნის ტერიტორია.

## პოზიციის გამკაცრება

მას შემდეგ, რაც ევროკომისიამ მაისში კვოტების დაწესება გადაწყვიტა იტალიასა და საბერძნეთში განთავსებული 40 000 დევნილის, ასევე ლიბანში გაეროს ეგიდით მყოფი 26 000 სირიელი მიგრანტის ევროკავშირის ქვეყნებში გადანაწილებაზე, საფრანგეთი ევროპული ზომების მიმართ წინააღმდეგობის მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. **საფრანგეთის ხელისუფლება თვლის, რომ ახლა დევნილების განსათავსებლად თანაბარი გადანაწილების კი არა, შენგენის ზონის დაკეტვისა და „სამშობლოში დაბრუნების“ პოლიტიკის დროა.**

საფრანგეთი თავგანწირვით ცდილობს, ევროკომისიაში თავისი პარტნიორები დაარწმუნოს, რომ საჭიროა საერთო სასაზღვრო ძალების გაძლიერება მიგრანტთა ნაკადების შესაჩერებლად. მათ დააყენეს შემდეგი პირობა: თუკი ევროპას სურს, დემოკრატიის კონტინენტად მოჩვენებით მაინც დარჩეს, შეზღუდვებსა და მიგრანტების მიღების პოლიტიკას უნდა გადახედოს. საფრანგეთს ამ მხრივ სრული დისბალანსი აქვს.

## ადგილების უკმარისობა

მიუხედავად ყველა იმ კომპლიმენტისა, რომლებსაც პარიზი საკუთარი თავისთვის არ იშურებს, მიგრანტების მიღების მხრივ მას ყველაფერი წესრიგში არ აქვს და დღემდე 1970-იან წლებში ვიეტნამელი დევნილების გადარჩენის შესახებ მოგონებებით საზრდოობს.

Le Monde-ს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2014 წელს სოციალისტმა ხელისუფლებამ 60 000 მთხოვნელის მხოლოდ 22% დააკმაყოფილა თავშესაფრით, როცა იგივე მაჩვენებელი გერმანიაში 42% იყო, ბელგიაში — 40%, ფინეთში — 67% და ბრიტანეთში — 39%; ევროპაში კი საშუალო მაჩვენებელი 45%-ს შეადგენდა. **გაეროს დევნილთა უმაღლესი კომისრის სამმართველომ ლიბანში ტრანზიტით მყოფი 160 000 სირიელი დაითვალა, პარიზმა მხოლოდ ორი 500-კაციანი ჯგუფი მიიღო, ბერლინმა კი — ორი 10 000-კაციანი.**

## საზღვრები

საფრანგეთი უსაფუძვლოდ იჩემებს დაჩაგრულების მიმართ სოლიდარობას. მიუხედავად იმისა, რომ მის ტერიტორიაზე მოხვედრილი ერითრიელების უმეტესობას ინგლისსა და შვედეთში სურთ მოხვედრა, 2014 წელს საფრანგეთმა თავშესაფარი მთხოვნელთა მხოლოდ 14,8%-ს მისცა, შვედეთმა — 100%-ს, ევროკავშირის საკვანძო ქვეყნებმა კი — 85%-ს.

საბოლოო ჯამში, **პარიზს მოუწევს, მიიღოს იტალიის ტერიტორიაზე მყოფი 40 000 დევნილიდან და 26 000 სირიელიდან არც თუ მცირე ნაწილი.** ამასთანავე, გადანაწილების პრინციპი მიგრანტებისთვის ხაფანგია. საფრანგეთი პირველი ქვეყანაა, რომელიც მიხვდა, რომ თავშესაფრის უფლების მთელ ევროპაზე გადანაწილება შეიძლება დევნილთა უკან დაბრუნების ხელსაყრელი საშუალება აღმოჩნდეს. ევროპისთვის ახლა უფრო იოლი იქნება, არალეგალებად გამოაცხადოს ისინი, ვისაც უარით უპასუხებენ. თავშესაფარი კი შეიძლება იქცეს საზღვრად.

ასეთია მედლის მეორე მხარე. ახალი გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებლად სიამაყით გამოცხადდება საგანგებო ცერემონიაზე, როგორც ახალი ერის დასაწყისი.

**მავთულხლართებისა და გემების ჩაძირვის ხილვის შემდეგ, პირველ რიგში, გზა, შესაძლოა, ეკონომიკურ მიგრანტებს გადაეკეტოთ, მათ, ვინც ევროპაში სამუშაოდ მიდის.** ევროპელი დემოკრატები, რომლებიც ჯერ კიდევ ცდილობენ უკმაყოფილო საზოგადოებისა და ქსენოფობიური პარტიების მხრიდან დარტყმების შერბილებას, შეეცდებიან, უფრო მკაცრად იმოქმედონ.

**Slate.fr**

მოკლედ



## საბერძნეთში ტურისტები აღარ ჩადიან

**ერთი დღე-ღამის განმავლობაში საბერძნეთში იმ ტურისტების რაოდენობა, რომელთაც სასტუმროებში განთავსების სურვილი ჰქონდათ, 50 ათასით შემცირდა.** ამის შესახებ საბერძნეთის ტურიზმის უწყების პრესსპიკერი ანდრეას ანდრეადისი იტყობინება. ტურისტები შეწუხებულები არიან იმის გამო, რომ ისინი ბანკებიდან და ბანკომატებიდან თანხის გატანას ვერ ახერხებენ. მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებით, თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, ქვეყნის შრომის ბაზარი მნიშვნელოვნად დაზარალდება. საბერძნეთში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის გამო თავად ადგილობრივი მოსახლეობაც თავს იკავებს დასასვენებლად თანხის დახარჯვისგან.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიო ფსიქიატრიამ აუცილებლად ცნო, ინტერნეტმიჯაჭვულობას მიანიჭოს დაავადების სტატუსი. დღეს მსოფლიოში ინტერნეტმიჯაჭვულობით დაავადებულია ინტერნეტის მომხმარებელთა 2-10%.**

# ზოგი რამ სოციალურ ქსელებზე

**ტერმინი „სოციალური ქსელი“ არც ისე დიდი ხნისაა. გასული საუკუნის 30-იან წლებში ამერიკელი სოციოლოგები ადამიანებს შორის არსებულ ურთიერთკავშირს სწავლობდნენ და მას სოციოგრამების, ანუ ერთგვარი დიაგრამების სახით გამოსახავდნენ. ამ გამოსახულებებში პიროვნებები წერტილებით იყვნენ აღნიშნულნი, მათ შორის კავშირები კი — ხაზებით. ამ ურთიერთგადამკვეთ ხაზთა რთულ სისტემას სოციალური ქსელი დაარქვეს.**

ტერმინმა „სოციალური ქსელი“ მოგვიანებით სოციოლოგიიდან ინტერნეტში გადაინაცვლა, ვებგვერდებზე. ასეთი საიტები ერთგვარ სოციალურ გარემოს წარმოადგენენ, რომელიც საერთო ინტერესებით დაკავშირებულ მომხმარებლებს ერთმანეთთან ურთიერთობის, ინფორმაციისა და გამოსახულებების გაცვლის საშუალებას აძლევს.

ბოლო ხანს სოციალური ქსელები მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

სოციალური ქსელების მთავარი სიმდიდრე მისი მომხმარებლები არიან. დავუშვათ, ერთ დღეს FACEBOOK-ის ყველა მომხმარებელმა ინფორმაციის განთავსება შეწყვიტოს, მაშინ ის დაკარგავს თავის მომხიბვლელობას და გამოუსადეგარ ვებგვერდად გადაიქცევა.

**დღეს სოციალური ქსელი გვაიძულებს, რაც შეიძლება დიდი დრო დავუთმოთ მას; ჩვენ, უბრალოდ, ველარ ვწყდებით ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადს.** შეიძლება, სოციალურმა ქსელმა პოზიტიური და ნეგატიური როლი შეასრულოს სხვადასხვა ტიპის ადამიანთა სოციალიზაციაში. ერთი რამ კი ცხადია, **სოციალური ქსელის ხშირი მოხმარება ნამდვილად უარყოფითად აისახება ბავშვებისა და მომავალი თაობების მიერ არავერბალური კომუნიკაციის აღქმაზე, უფროს თაობებში კი მწვავე პრობლემად იქცევა ურთიერთობების გაცივება.**

პირველი სოცილური ქსელები XIX საუკუნის დასასრულიდან იღებს სათავეს, ამ დროისათვის მომხმარებლებს შეეძლოთ, ლინკების გაცვლით დაკავშირებოდნენ ერთმანეთს. ასე იქმნებოდა გარკვეული ჯგუფები ადამიანებისა, რომელთაც მუდივი მიმოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან. 1995 წლიდან, როდესაც იქმნება პირველი ადაპტირებული სოციალური ქსელი classmates.com, იწყება ახალი ეტაპი სოციალური ქსელების განვითარებისა. ამ წარმატებულ პროექტს მოჰყვა მსგავსი პორტალების შექმნა, სადაც მომხმარბლებს უკვე შესთავაზეს საკუთარი გვერდები და პროფაილები, შესაბამისად, ხალხს უკვე შეეძლო, მოეძებნა მისთვის საინტერესო ადამიანი ინტერნეტში და დაკავშირებოდა მას.

პირველი სოციალური მედიისთვის დამახასიათებელი ვებგვერდი — Geocities, რომელზეც შეგეძლოთ შეგექმნათ ვებგვერდი ამერიკის ექვსი ქალაქში, 1994 წელს შეიქმნა.

1995 წელს theglobe.com-მა თავის მომხმარებელს საშუალება მისცა, საკუთარ გვერდზე კონტენტი გამოქევეყნებინა და ეკონტაქტა ვიზიტორებთან. მაშინ ამ კომპანიამ სამ წელიწადში 4 მილიონი დოლარის მოგება ნახა.

1997 წელს გაეშვა AOL-ის ბრენდის მესენჯერი. ეს ის დრო იყო, როცა მესენჯერების ეპოქა იწყებოდა.

1997-ში Degrees.com-მა გაუშვა სოციალური ქსელი, სადაც მომხმარებელს შეეძლო საკუთარი პროფილის შექმნა და რედაქტირება. მომხმარებელს უკვე შეეძლო კონტაქტებში მეგობრების დამატებაც.

2002 წელს შეიქმნა პირველი ოფიციალური სოციალური ქსელი FRIENDSTER-ი, სადაც შეგეძლო რეალური ცხოვრებიდან ვირტუალური მეგობრები გყოლოდა. საიტი სწრაფადვე გახდა საკმაოდ ცნობილი და 3-მილიონიანი მომხმარებელთა ბაზაც შეიქმნა პირველ სამ თვეში.

2003 წელს ერთ-ერთმა მარკეტინგულმა კომპანიამ 10 დღეში დაწერილი კოდით შექმნა MYSPACE, რომელიც FRIENDSTER-ის კლონი იყო.

ამავე წლებში შეიქმნა კიდევ რამდენიმე სოციალური საიტი, კერძოდ: linked.in, classmates.com და სხვ.

2004 წლის 4 თებერვალს, ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთი პატარა ოთახიდან გაეშვა დღეისათვის ბაზრის ლიდერი Facebook-ი. როგორც ცნობილია, საწყის ეტაპზე ის მხოლოდ კოლეჯის სტუდენტების საკონტაქტო ქსელი იყო. ქსელი დაარსდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. პირველ თვეში 19 500-მდე სტუდენტი დარეგისტრირდა. მოგვიანებით პორტალს სხვა ამერიკული სასწავლებლებიც შეუერთდნენ. Facebook-ის იდეამ ნაციონალური მნიშვნელობა შეიძინა. უკვე 2004 წელს ქსელის მომხმარებელთა რაოდენობამ მილიონს, ხოლო 2005 წელს ხუთ მილიონს მიაღწია. ცუკერბერგმა პორტალზე მოქმედი ელექტრონული ფოსტის გამოყენებით რეგისტრაციის უფლება ნებისმიერ მსურველს დართო.

2006-ში შეიქმნა მიკრობლოგების სისტემა „ტვიტერი“. საინტერესო ფაქტია, რომ 2010 წლის მიწურულს დანია-იაპონიის საფეხბურთო მატჩისას ტვიტერის მომხმარებლებმა 3,283-ჯერ „დატვიტეს“ (დაწერეს) წამში.

2008 წელს „ფეისბუქმა“ ლიდერობა მოიპოვა და გაუსწრო „მაისფეისს“ ყოველთვიურად შემომსვლელი ვიზიტორების რაოდენობით. ორივე საიტი მეტად პოპულარული გახდა, ვიდრე ორიგინალი ვერსია „ფრენდსტერი“.




## სოციალური ქსელი — რეალობის მინი-მოდელი თუ ილუზორული სამყარო?



ახლა მომხმარებელთა რაოდენობა, რა თქმა უნდა, გაცილებით დიდია. „ფეისბუქმა“ 2011-ის სექტემბრის მონაცემებით, 800 მილიონ აქტიურ მომხმარებელს მიაღწია.

**სოციალური ქსელი — რეალობის მინი-მოდელი თუ ილუზორული სამყარო?** დიდი ხანია, ამ თემაზე მიმდინარეობს კამათი. ზოგნი ამტკიცებენ, რომ სოციალური ქსელი დაგვღუპავს, ჩაგვითრევს ირეალურ, ილუზორულ სამყაროში, ჩვენ მხოლოდ ვირტუალური თავისუფლება შეგვრჩება, რეალობიდან ყურადღებაგადატანილები მოვექცევით მასობრივ კონტროლში და ასე შემდეგ, ანუ ხშირად სოციალური ქსელი განიხილება ხალხით მანიპულაციის იარაღად, რომლის გავლენის ქვეშაც ნებით თუ უნებლიედ ვექცევით.

მაგრამ არიან ამ იდეის მოწინააღმდეგენიც, რომლებიც სოაციალურ ქსელს მკვეთრად მიჯნავენ, მაგალითად, ვიდეოთამაშებისგან და ამტკიცებენ, რომ ქსელი, უბრალოდ, ინფორმაციულად ტევადი საკომუნიკაციო საშუალებაა, რომელიც არ გვითრევს ილუზიებში და მთავარია, მისი გონივრულად გამოყენება შევძლოთ.

საყურადღებოა ის გავლენა, რომელსაც ახდენს სოციალური ქსელები ადმიანის ფსიქიკაზე:

ინფორმაციის ფრაგმენტულობა და დანაწევრება იწვევს აღქმისას კოგნიტური დატვირთვის მომატებას.

ჰიპერტექსტური რეჟიმის გამოყენება მოითხოვს რთულ, ჩახლართულ სისტემაში ორიენტირების უნარს.

JAVA-აპლეტების გამოყენება ინტერნეტში ინტერაქტიული მუშაობის პროცესში მოითხოვს აზროვნების სპეციალურ ალგორითმებს.

ხანგრძლივი მუშაობისას ადამიანი განიცდის „ინფორმაციული ხმაურის“ ზემოქმედებას იმის შედეგად, რომ უმეტეს ვებგვერდზე სასარგებლო და უსარგებლო, საინტერესო და უინტერესო ინფორმაცია არეულია. ამ უსაზღვრო ინფომაციის გარემოცვაში ადამიანი დამოკიდებული ხდება სოციალურ ქსელებზე, იმდენად დამოკიდებული, რომ დაკარგული აქვს დროის შეგრძნება.

ასეა თუ ისე, ყოველ საათში ათასობით ადამიანის ანგარიში იხსნება სხვადასხვა სოციალურ ქსელში. ახალდარეგისტრირებული პროფილისთვის, უპირველეს ყოვლისა, იმიჯის შერჩევაა აუცილებელი, ისევე, როგორც სახლიდან გარეთ გასვლისას ტანსაცმლის ჩაცმა, აქსესუარების შერჩევა, ჰიგიენური ნორმების დაცვა და ასე შემდეგ.

მიუხედავად ამ მსგავსებისა, არის განსხვავებაც — ხშირად რეალობაში შეუძლებელია სასურველი იმიჯის მორგება, ანუ იმის ჩაცმა, რაც ჩვენ გულით გვინდა და არა იმისა, რისი შესაძლებლობაც გვაქვს (იმიჯი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ტანსაცმელს არ გულისხმობს, მაგრამ პრინციპის ასახსნელად ეს კარგი მაგალითია), ხოლო ინტერნეტში ამის შესაძლებლობა ყველასთვის თითქმის თანაბარია; ყველას შეუძლია, სასურველ ფერებსა და სტილში მოაწყოს საკუთარი გვერდი სხვადასხვა მასალისა და სურათების უბრალო დაკოპირებით. შეიძლება ითქვას, ყველა მომხმარებელი თანაბარ პირობებში დგება, აქ ყველას შეუძლია, აითვისოს მოდის უახლესი ტენდენციები, შეიქმნას იმიჯი, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებრივი სექტორის წევრად გახდომაში დაეხმარება, ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს საეჭვოა, რეალური შედეგებით დასრულდეს.

**უამრავი ადამიანია, რომლებიც პროტესტს უცხადებენ სოცილური ქსელების წესებს, საერთო ნიშნებს, უარს ამბობენ, მაგალითად, პროფილის სურათის დაყენებაზე და ასე შემდეგ; თითქოს ემიჯნება არსებულს და საკუთარ უნივერსალიას ინარჩუნებს, მაგრამ ასეთი ადამიანიც მუდამ გავლენის ქვეშ იმყოფება.**

როცა სოციალურ ქსელებთან გვაქვს საქმე, მუდამ ასე ხდება, ზოგი მხოლოდ იმისთვის წევრიანდება მასში, რომ გარკვეული ინფორმაცია მიიღოს და არანაირ გართობას არ აპირებს, მაგრამ, როდესაც ვაწყდებით სხვების ჩვენდამი დამოკიდებულებას, შეუძლებელია, არ დავინტერესდეთ და ნელ-ნელა ჩვენც არ ჩავერთოთ კომპიუტერული სოციუმის გაწამაწიაში. ასე რომ, სოციალური ქსელი არ დაგვეკითხება, შეიძლება თუ არა, რომ მან ჩვენზე გავლენა მოახდინოს.

საინტერესოა კიდევ ერთი კატეგორია — **არსებობს უამრავი ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო საზოგადოებრივი ცხოვრებისგან იზოლირებულნი არიან და ამ სირთულის დასაძლევად ქმნიან ანონიმურ ანგარიშს, რათა გამოავლინონ საკუთარი ცხოვრების ალტერნატიული მხარე, უფრო სწორად — რეალური მხარე და ვირტუალურად მაინც მოახერხოს მისწრაფებების, ლტოლვების, განსხვავებული აზრების რეალიზება, თვითპრეზენტაცია. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილონი არიან და ცვლილებებისკენ ისწრაფვიან, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ვერ დგამენ წინ ნაბიჯს.**

ზოგიერთი ადამიანი ვირტუალური ურთიერთობით კმაყოფილდება, რაც დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, ანონიმურობის გარანტია კი მათ უბიძგებს, სოციალური ქსელის მარადიულ ილუზორულ სამყაროში დარჩნენ. ზოგისთვის პირიქით, ესაა ნაბიჯი წინ, ბიძგი საკუთარი რეალური „მე“-ს საზოგადოებაში ღიად წარმოსაჩენად. ასე რომ, ამ შემთხვევაში უდიდესი როლი აქვს თავად ინდივიდს და მის შინაგან სიძლიერეს — უნარს, დაძლიოს კომპლექსები. ამის მიხედვით, შესაძლოა, სოციალურმა ქსელმა შეასრულოს პოზიტიური თუ ნეგატიური როლი და შეუძლებელია, ჩვენი ნაბიჯი მხოლოდ მის გავლენას დაბრალდეს.

▶

# თინეიჯერებში, რომლებიც იყენებენ FACEBOOK-ს, შეინიშნება ნარცისისტული ტენდენციები, ხოლო უფრო მცირეწლოვნებში, რომლებიც სოციალური ქსელისადმი მეტი დამოკიდებულებით გამოირჩევიან, ფსიქოლოგიური დარღვევების მეტი ნიშნებია, ანტისოციალური ქცევების, მანიებისა და აგრესიული ტენდენციების ჩათვლით.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ხშირად ხდება, რომ მომხმარებელი ზის კომპიუტერთან, უკვე გაესაუბრა ყველას, გადაათვალიერა და გაეცნო ყველა სიახლეს, ერთი სიტყვით, ამოიწურა ინტერესთა სფერო, მაგრამ რაღაც ახლის მოლოდინში იგი ჯიუტად განაგრძობს გვერდის სიახლეთა არხის ხელახლა გადატვირთვას. სხვა რა შეიძლება ამას ეწოდოს, თუ არა დამოკიდებულება სოციალური ქსელებისადმი? ამასობაში ვერც კი ვაცნობიერებთ, როგორ გადის დრო, ხშირად შეინიშნება ასევე სივრცული აღქმის დარღვევები, გრძნობათა ორგანოების მოქმედების დაქვეითება, აშკარაა ფიზიოლოგიური ზემოქმედებაც; მაგალითისთვის: ოკულისტები აცხადებენ, რომ კომპიუტერთან იმდენად დიდ დროს ვატარებთ, რამდენიმე ათეულ წელიწადში ახალი თაობები მასობრივად „დაკომპლექტდება" ახლომხედველებით.

როცა კომპიუტერსა და დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ბავშვები. კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლარი როზენი აღნიშნავს, რომ **თინეიჯერებში, რომლებიც იყენებენ FACEBOOK-ს, შეინიშნება ნარცისისტული ტენდენციები, ხოლო უფრო მცირეწლოვნებში, რომლებიც სოციალური ქსელისადმი მეტი დამოკიდებულებით გამოირჩევიან, ფსიქოლოგიური დარღვევების მეტი ნიშნებია, ანტისოციალური ქცევების, მანიებისა და აგრესიული ტენდენციების ჩათვლით.**

მთელი დღის განმავლობაში მიღებული ინფორმაცია, რომელიც ხშირად ბავშვებსა და თინეიჯერებს მღელვარებისა და დეპრესიისკენ უბიძგებს, კიდევ უფრო ზრდის მიდრეკილებას ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემისკენ მომავალში. მაგრამ აქვეა მედლის მეორე მხარეც: მოზარდებს, რომლებიც მეტ დროს ატარებენ სოციალურ ქსელში, მეტი შესაძლებლობაც აქვთ, გამოხატონ ვირტუალური, მაგრამ მაინც ემპათია, ასევე ის ეხმარება ინტროვერტ მოზარდებს, ჩაერთონ სოციალიზაციის პროცესში და ა. შ.

ჩვენ თანდათან უფრო მეტ დროს ვატარებთ ინტერნეტში და კომუნიკაციის პროცესში ვიყენებთ ე.წ. სიცილაკებს ჩვენი დამოკიდებულებების, გრძნობების, ემოციების გამოსახატავად, მაგრამ არის კი ეს პრიმიტიული სიგნალები საკმარისი?

რა მოხდება, თუ ჩვენი ემოციების გამომხატველობას ასეთ პრიმიტიულ დონეზე დავიყვანთ? შეძლებენ კი მომავალი თაობები ერთმანეთთან ნორმალური ადამიანური ურთიერთობების დამყარებას, თუ ჟესტიკულაციის ენა ასეთ პრიმიტიულ დონეზე დავარდება? ემოციების გამოხატვის გარეშე შეუძლებელია, განხორციელდეს ხარისხიანი კომუნიკაცია, ჩვენი წინაპრებისთვის ჟესტიკულაციურ-ემოციური გამოხატვები თვითგადარჩენის საშუალებას წარმოადგენდა, დანაწევრებულ მეტყველებასთან ერთად ჟესტებმა თითქოს მეორე პლანზე გადაინაცვლა, მაგრამ კომუნიკაციის პროცესში, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სხეულის ენა დღესაც კი 50%-ს იკავებს. გარკვეული ჟესტები უნივერსალურია, მაგრამ, რაც უფრო მეტ დროს ვუთმობთ ვირტუალურ ურთიერთობებს, ერთმანეთის ინდივიდუალური მახასიათებლების შესასწავლად კიდევ უფრო ნაკლები დრო გვრჩება. ეს კი პრობლემაა, რომელიც კიდევ უფრო მწვავედ დაისმევა მომავალ თაობებში, კომპიუტერიზაციის უსწრაფეს და ღრმა ტენდენციებს თუ გავითვალისწინებთ.

შესაბამისად, **შეინიშნება ურთიერთობების ცვლილება და ამ ცვლილებებს, მხოლოდ ემოციურ-ჟესტიკულაციური ენის გაუბებრობა კი არა (რისი გავლენაც ჯერ დასადგენია), გრძნობების გაციებაც განაპირობებს — ადამიანებს ერთმანეთისთვის კიდევ უფრო ნაკლები დრო რჩებათ.** ხშირად იქმნება ილუზია, რომ პირიქით, კიდევ უფრო მეტ კონტაქტს ვამყარებთ სოციალურ ქსელში, უფრო მეტი ადამიანის გაცნობას ვახერხებთ მცირე ხანში და საბოლოოდ მოგებული ვრჩებით, მაგრამ რამდენად რეალურია ეს ურთიერთობები, როცა ვირტუალურ ცხოვრებაში ვცდილობთ, მხოლოდ დადებითი, სოციალურად სასურველი მხრით წარმოვჩინდეთ და ადამიანთა ნამდვილი სახით გაცნობას ველარ ვახერხებთ.

სოციალურ ქსელებს უზარმაზარი გავლენა აქვს ადამიანების ფსიქიკაზე. ეს გავლენა კომპლექსურია და შეგვიძლია, მოვახდინოთ დიფერენცირება. დადებით მხარეებში უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში დამხმარის როლს თამაშობს ინდივიდის სოციალიზაციაში, თვითპატივისცემის ამაღლებაში, მაგრამ ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ხშირად იწვევს ბავშვების და არამარტო ბავშვების ჩაკეტვას ირეალურ სამყაროში, არავერბალური კომუნიკაციების დაქვეითებას განსაკუთრებით მცირეწლოვან მომხმარებელში. ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადიდან გამომდინარე, ქსელის წევრი მთლიანად ვერ აკონტროლებს სხვადასხვა წყაროს მიერ გაზიარებულ სიახლეებს.

ხშირად იქმნება ილუზია ახალი მეგობრების გაჩენისა, როდესაც რეალურად ეს ურთიერთობები მულტიკონტაქტურ რეჟიმში მიმდინარეობს და არ ხმარდება საკმარისი დრო ინდივიდუალურ გაცნობას.

გასულ წელს მსოფლიოში ფსიქიატრთა ასოციაციის უმსხვილესმა ოფიციალურმა გამოცემამ — The American Journal of Psychiatry გამოაქვეყნა სტატია, რომლის მიხედვითაც მსოფლიო ფსიქიატრიამ აუცილებლად ცნო, ინტერნეტმიჯაჭვულობას მიანიჭოს დაავადების სტატუსი. დღეს მსოფლიოში ინტერნეტმიჯაჭვულობით დაავადებულია ინტერნეტის მომხმარებელთა 2-10%, თითქოს ეს არც ისე დიდი მაჩვენებელია, მაგრამ ამ ადამიანებს ესაჭიროებათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რადგან დიდია სიკვდილიანობის რისკი. ამ მიზეზით უკვე გარდაცვლილია ათასობით ადამიანი, რადგან ორგანიზმი ვერ უძლებს კომპიუტერთან 24-საათიან ჯდომას. რაც შეეხება რისკის ჯგუფს, მასში ქსელის მომხმარებელთა 40% შედის.

სოციალური ქსელის ექსპანსია ყოველდღიურ ცხოვრებაში მიღწეულზე არასოდეს გაჩერებულა. ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი მობილური აპლიკაციების შექმნა იყო — ნამდვილი რევოლუცია ციფრულ სამყაროში. ბოლო მონაცემებით, ყოველდღიურად მობილურის საშუალებით საკუთარ გვერდს 488 მილიონი ადამიანი სტუმრობს. საიტი, რომელმაც მთელი ჩვენი თავისუფალი (და არა მხოლოდ) დრო მოიცვა, უკვე ჩვენთან იყო ქუჩაში, ტრანსპორტში, კაფეში, პარკში — ყველგან. ალბათ, სწორედ ამ დროს დაიბადა ე.წ. Check In ფუნქციაც, რომელიც ერთგვარ რადარად იქცა, ჩვენი გადაადგილებისა და მარშრუტის უტყუარ ინდიკატორად.

**უკვე თითქმის წაიშალა საზღვრები პირადსა და საჯაროს შორის, არ არსებობს ისეთი ტიპის ინფორმაცია, რომელიც Facebook-ზე რომელიმე მომხრებლის მიერ არ იყოს გავრცელებული.** სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თვით საიტი გთავაზობს მრავალი ინტიმური დეტალის გასაჯაროების შაბლონურ მაგალითებს; კერძოდ, შეგიძლიათ, ანკეტის მსგავსი ფორმის შევსებით მოუთხროთ თქვენს მეგობრებს, რა დაავადება გადაიტანეთ, როგორ გრძნობთ თავს ახლა, როდის გაარემონტეთ სახლი, როგორ განიცადეთ საყვარელი ადამიანის სიკვდილი ან როდის აკოცეთ პირველად ვინმეს. რთული წარმოსადგენია, არსებობენ თუ არა ადამიანები, რომლებიც მათი პირადი ცხოვრების თითოეულ ეტაპს საქვეყნოდ ამზეურებენ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ Facebook-ი მრავალი დაპირისპირების, ოჯახების დანგრევის მიზეზი და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მკვლელობის მოტივიც გამხდარა.

**FACEBOOK-ი რომ ქვეყანა იყოს, იგი მსოფლიოში რიგით მესამე იქნება მოსახლეობის რაოდენობით, ჩინეთისა და ინდოეთის შემდეგ.** მომხმარებლების მხრივ ლიდერია აშშ, რომელსაც ინდოეთი, ბრაზილია, ინდონეზია და მექსიკა მოყვებიან. ყოველდღიურად საიტს დაახლოებით 526 მილიონი ადამიანი სტუმრობს, ამ ადამიანებს შორის 125 მილიარდი „მეგობრული კავშირი" არსებობს, ხოლო მათ მიერ გამოხატული „მოწონების" და დაწერილი კომენტარების რაოდენობა 2.3 მილიარდს აღემატება. საიტზე 42 მილიონი გვერდია, რომლებიც 10 ან მეტი პირის მიერ არის მოწონებული, ხოლო აპლიკაციების რაოდენობა 9 მილიონს აღწევს.

200 ათასი ადამიანის გამოკითხვის შედეგად საკმაოდ საინტერეო და უცნაური ფაქტები გაირკვა სოციალური ქსელის მომხმარებლებზე.

**სოციალური ქსელების მომხმარებლების 2/3-ს არ უყვარს საჯაროდ გამოსვლა, საჯარო განცხადებების გაკეთება. გამოკითხულთა თითქმის მესამედი იმდენად ცოტას გამოიმუშავებს, რომ საყოფაცხოვრებო ტექნიკის (მაცივრის ან სარეცხი მანქანის) შეძენაც კი არ შეუძლიათ.** მანქანებსა და უძრავ ქონებაზე ხელი მიუწვდება სოციალური ქსელების მომხმარებლების მხოლოდ 5%-ს. ყველაზე „შეძლებულები" „ტვიტერში" აღმოჩნდნენ, აქ მყოფი საზოგადოების 8%-ს შეუძლია მანქანისა და ბინის მოვლა-პატრონობა.

**სოციალური ქსელების მომხმარებლების თითქმის ნახევარზე მეტმა იცის 2 ან მეტი ენა; „ფეისბუქის" მომხმარებლების 62%-მა იცის ორ ენაზე მეტი; „ტვიტერის" მომხმარებლების 67% ფლობს ორ ან მეტ ენას.**

გამოკითხული მომხმარებლები აქტიური მოგზაურები აღმოჩნდნენ. თავისი ქვეყნის ან ქალაქის საზღვრებს ძალიან იშვიათად ტოვებს გამოკითხულთა 1/6, 35% მოგზაურობს წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო 20% — თვეში ერთხელ მაინც.

**რესპონდენტების 50% მხოლოდ ერთ წიგნს კითხულობს თვეში, 30% — ორს ან სამს, ხოლო 25% — სამ წიგნზე მეტს. მომხმარებლების 40%-მა განაცხადა, რომ ისინი არასდროს უყურებენ ტელევიზორს. ამასთანავე, 25% ამბობს, რომ დღეში ერთ საათს მაინც უთმობს ტელევიზორის ყურებას.**

მომხმარებლების 60%-მა არ იცის, როგორ განასკვოს ჰალსტუხი. გამოკითხულთა 90% თვლის, რომ სავსებით შესაძლებელია ურთიერთობა ყოველგვარი შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და გინების გარეშე, მაგრამ ამას ისინი იშვიათად ასრულებენ.

**გამოკითხულთა უმრავლესობა — დაახლოებით 70%, თავს არ თვლის წარმატებულ ადამიანად.**




**შეინიშნება ურთიერთობების ცვლილება და ამ ცვლილებებს, მხოლოდ ემოციურ-ჟესტიკულაციური ენის გაუბებრობა კი არა (რისი გავლენაც ჯერ დასადგენია), გრძნობების გაციებაც განაპირობებს — ადამიანებს ერთმანეთისთვის კიდევ უფრო ნაკლები დრო რჩებათ**








ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## «პოდ-დოგი» ტრაქტორის დახმარებით

**ფინური კომპანია STATOIL-ი შეეცადა, პრაქტიკულად და მაქსიმალურად დამაჯერებლად ეჩვენებინა საზოგადოებისა და თავისი პოტენციური კლიენტებისთვის, თუ რა შეუძლია მათ ტრაქტორებს.** ამისთვის მწარმოებლებმა სახალისო ექსპერიმენტი მოაწყვეს და ტრაქტორების დახმარებით „ჰოდ-დოგები" დაამზადეს. კულინარიაში ტრაქტორის გამოყენება საკმაოდ გამართლებული აღმოჩნდა.



## აჩრდილი სამყარო

**ჩვენი სამყარო სავსეა სინათლით, სწორედ ამის გამო ჩვენთვის სამყაროს დიდი ნაწილი ხილულია, მაგრამ არსებობს სხვა ნაწილიც, რომელიც, უბრალოდ, არ ჩანს. მას ბნელი მატერია ეწოდება.**

ფაქტია, რომ ბნელი მატერია არსებობს, რასაც მისი მიზიდულობა ამტკიცებს. მაგრამ აქვე ჩნდება კითხვა, თუ რა არის ამ ბნელეთის უკან.

ერთადერთი, რაც ვიცით, ის არის, რომ ბნელ მატერიას აქვს მასა, რომელსაც მას ელემენტარული ნაწილაკი X-Bozon აძლევს. მეცნიერებისათვის ეს ერთადერთი ხელჩასაჭიდია. ბნელი მატერიის გამოსააშკარავებლად ერთადერთი გზა არის მისი ქიმიურ რეაქციაში შეყვანა, რათა მან თუნდაც ფერი იცვალოს ან დატოვოს რაიმე ხილული კვალი. ამის განხორციელება ძალიან რთულია და ძვირია. ბნელი მატერიის პოვნა აჩრდილი სამყაროს დასანახად გვჭირდება. სახელი „აჩრდილი" მეცნიერებმა, ალბათ, იმიტომ შეარჩიეს, რომ ამ სამყაროს მოჩვენებებს უკავშირებენ. რამდენიმე ათწლეულის წინ მეცნიერმა იპოვა მტკიცებულება, რომელიც აჩრდილს დაუკავშირა. ამ ნივთიერებას მოჩვენების მსგავსი უნარი ჰქონდა. ამ ნაწილაკს Neutrinos ეწოდა. დღეს ეს ნაწილაკი ბნელი სამყაროს გასაღებად ითვლება.



## უცნაური ტალღა

**ოკეანეში ჩნდება უცნაური ტალღები, რომლებმაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და რომლებსაც ტალღა-რიფს უწოდებენ. მასთან გამკლავება მაშველებსაც კი უჭირთ, რადგან რთულია მის საწინააღმდეგოდ ცურვა. ალბათ, ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა ზღვაში ან ოკეანეში ცურვისას როცა ტალღას სიღრმეში შევყავართ, თუმცა შემდეგ უფრო ძლიერი ტალღით ნაპირისკენ გამოვყავართ.**

ტალღა-რიფს კი მარტო შევყავართ და ძალიან მალე შესაძლებელია, სანაპიროდან 50 მეტრის დაშორებით აღმოვჩნდეთ, ამიტომაც აუცილებელია სიფრთხილე.

ჯერჯერობით მეცნიერები ვერ ხსნიან ტალღა-რიფების გაჩენის მიზეზს, თუმცა ვარაუდობენ, რომ ეს მიქცევა-მოქცევის შედეგად ხდება.

თავის დაღწევა ამ ტალღებისგან მაინცდამაინც მარტივი არ არის, აუცილებელია, იცოდეთ, რომ ეს დინება 5 წუთი ან ნაკლები დროის განმავლობაში. ამიტომ აუცილებელია, რიფების დინებას გავყვეთ და მის საწინააღმდეგოდ არ ვიცუროთ, რადგან ეს შედეგს ვერ გამოიღებს, მხოლოდ დავიღლებით. როცა ტალღა შორ მანძლზე წაგვიღებს და დასრულდება ტალღა-რიფების დინება, უნდა მოვიკრიბოთ ძალები და ნაპირისკენ გამოვცუროთ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რიფები იმ ტერიტორიაზე შეიძლება კვლავ და კვლავ განმეორდეს.

# სხვა პლანეტებზე სიცოცხლე არსებობს?

**ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი მტკიცებულებები, რომ სხვა პლანეტაზე სიცოცხლე არსებობს. თუმცა, არის რამდენიმე საკმაოდ დამაჯერებელი ნიშანი იმისა, რომ ადამიანი აღმოაჩენს სიცოცხლეს დედამიწის ფარგლებს გარეთ.**



### ექსტრემოფილები დედამიწაზე

ექსტრემოფილები ცოცხალი ორგანიზმებია, რომლებსაც აქვთ უნარყ, იცოცხლონ ადამიანის გადმოსახედიდან სრულიად გაუსაძლის პირობებში: ექსტრემალურ სიცხეში ან სიცივეში, მომწამლავ ქიმიურ ნივთიერებებში და ვაკუუმშიც კი. ადამიანმა აღმოაჩინა არსებები, რომლებიც ცხოვრობენ ვულკანების კრატერებში, ანდების მლაშე წყალსაცავებში და ანტარქტიდის ყინულებში. ამ პატარა არსებებს აქვთ უნარი, იცოცხლონ კოსმოსის ვაკუუმშიც კი. სხვა სიტყვებით, ჩვენ ვიცით, რომ სიცოცხლე შეიძლება არსებობდეს სხვა პლანეტებზე, ჩვენ კი ჯერ, უბრალოდ, ვერ ვიპოვეთ ის.

### სიცოცხლის ქიმიური პრეკურსორების არსებობა სხვა პლანეტებზე

პრეკურსორი არის ნივთიერება, რომელიც მონაწილეობს მიზნობრივი მატერიის შექმნის ქიმიურ რეაქციაში. როგორც ჩანს, დედამიწაზე სიცოცხლის წარმოქმნა იყო რიგი ქიმიური რეაქციების შედეგი, რომლებმაც შექმნეს ნუკლეომჟავები, ცხიმები, ცილები, ნახშირწყლები და ლიპიდები. არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ სხვა პლანეტებზეც არსებობს ეს „სიცოცხლის წინამორბედები". მაგალითად, პლანეტა ტიტანის ატმოსფეროში აღმოჩენილია ეს პრეკურსორები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გვიპოვია სიცოცხლე, ჩვენ ვიპოვეთ მისი „ინგრედიენტები".

### დედამიწის ტიპის პლანეტების რაოდენობის მატება

დედამიწის მსგავსი პლანეტების აღმოჩენის ტემპი თანდათან მატულობს. აღმოჩენილია დედამიწის მსგავსი ათობით პლანეტა, რომლებიც მზის ანალოგის ირგვლივ ბრუნავს. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ მრავალ მსგავს პლანეტას ვპოულობთ, სრულიად შესაძლებელია, რომ შემდეგ მათგანზე აღმოვაჩინოთ სიცოცხლის ესა თუ ის ტიპი.

### დედამიწაზე მცხოვრები სახეობების მრავალმხრივობა

დედამიწა მრავალჯერ ყოფილა სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციაში, მაგრამ სიცოცხლე მასზე მაინც გრძელდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლე საკმაოდ „ჯიუტია". ასევე, ცოცხალი ორგანიზმების მრავალი სახეობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად შესაძლებელია, სამყაროში მსგავსი რამ სხვაგანაც ხდებოდეს.

### დედამიწაზე სიცოცხლის წარმოქმნის საიდუმლოებანი

ჩვენ გვაქვს სხვადასხვა თეორიები იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიქმნა სიცოცხლე დედამიწაზე. გაუგებარია, რამ მისცა ბიძგი სიცოცხლის წარმოქმნას, მით უმეტეს, რომ მილიონობით წლის წინათ ამისათვის სრულიად შეუსაბამო პირობები იყო, ატმოსფერო მეთანით იყო სავსე, ხოლო დედამიწა — ლავით დაფარული. ერთ-ერთი თეორია ამბობს, რომ სიცოცხლე ჩაისახა მარსზე და შემდეგ მეტეორიტების საშუალებით ჩამოაღწია დედამიწაზე (პანსთერმიის თეორია). თუ ეს ასეა, სრულიად შესაძლებელია, რომ სიცოცხლე სხვაგანაც გავრცელებულიყო.

### ზღვები, ტბები და მდინარეები მზის სისტემის სხვა პლანეტებზე

სიცოცხლე ოკეანეში ჩაისახა. შესაძლებელია, მსგავსი რამ სხვა პლანეტებზეც მომხდარიყო? — სრულიად შესაძლებელია, ჩვენ ხომ უამრავი მტკიცებულება გვაქვს იმისა, რომ ჩვენს მეზობელ პლანეტებზეც ოდესღაც არსებობდა წყალი. მარსზე ოდესღაც წყალი მიედინებოდა, ტიტანზე არსებობს ამომშრალი მდინარეები, ხოლო ევროპაზე (იუპიტერის თანამგზავრი) არსებობს უზარმაზარი ოკეანე, რომელიც სრულიად დაფარულია ყინულით. შესაძლებელია, რომ ამ პლანეტებზე არსებობდა სიცოცხლე ან იქნებ დღესაც არსებობს?

### ევოლუციის თეორია

არსებობს ევოლუციის თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ სიცოცხლე ეთვისება გარემომცველ სამყაროს. მართალია, დარვინი საერთოდ არ ფიქრობდა სიცოცხლეზე დედამიწის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ამ თეორიის ახალი ინტერპრეტაცია ამტკიცებს, რომ სიცოცხლე განიცდის ადაპტაციას და შეუძლია არსებობა ღია კოსმოსის პირობებშიც კი.



## მისტიკური ქალაქი

**ამ სიცილიურ ქალაქში მისტიური რამ ხდება: ბოლო 10 წლის განმავლობაში კანეტო დი კარონაის ბინადრებს ხშირი ხანძრები სტანჯავს, რომელთა გამომწვევი მიზეზები ბურუსითაა მოცული.**

ადგილობრივი მოსახლეობა იძულებულია, შიშის ქვეშ იცხოვროს. ამ ქალაქში იწვის ყველაფერი — სახლები, მანქანები, მატრასები და ასე შემდეგ. უცნაურია, მაგრამ აქ შესაძლებელია, მობილური ტელეფონიც კი აალდეს.

მიმდინარე პროცესებით სერიოზულად ინტერესდებიან ვულკანოლოგები, გეოლოგები და ფიზიკოსები, მაგრამ, მიუხედავად დახარჯული დროისა და ენერგიისა, ვერც ერთმა ვერ შეძლო მიმდინარე პროცესების მეცნიერულად ახსნა. ადგილობრივები უკვე საუბრობენ ბნელ ძალებზე, უცხოპლანეტელებსა და სხვა ვარიანტებზე.

ყველაფერი 2004 წელს დაიწყო. იანვარში ერთდროულად რამდენიმე სახლში აალდა ავეჯი, ელექტრო ტექნიკა და წყლის მილები. მაშინ მომხდარის ახსნა ვერ მოხერხდა და ადგილობრივმა მთავრობამ უკიდურესი გადაწყვეტილება მიიღო — ელექტროენერგია გათიშა, თუმცა ამან საქმეს ვერ უშველა. მოსახლეობა პანიკაში იყო და სხვა არაფერი რჩებოდა, თუ არა მათი დროებითი ევაკუაცია.

დეტალური გამოკვლევის შემდეგაც კი ექსპერტებს არ შეეძლოთ რაიმეს თქმა. ამან ზოგადი პანიკა გამოიწვია, თუმცა ცოტა ხნით ყველაფერი შეწყდა და ადამიანები თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ, თანდათან შეეგუენ უცნაურ მოვლენებს, მათ შორის ცხოველების მოულოდნელ სიკვდილს.

მთავრობამ გადაწყვიტა, შეექმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა ფიზიკოსების, გეოლოგების, სამხედროების, არქიტექტორებისა და ინჟინრებისგან. ჯგუფს პასუხი უნდა გაეცა დაგროვილ კითხვებზე და საფუძვლიანად გარკვეულიყო ვითარებაში. ერთწლიანმა თავდაუზოგავმა შრომამ შედეგი ვერ გამოიღო.



## შემზარავი ფრინველი

**ეს ფრინველები მთავარ მტაცებლებად ითვლებოდნენ სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე მიოცენის, პლიოცენისა და პლეისტოცენის პერიოდებში. შემდეგ ისინი ჩაანაცვლეს დიდმა კატებმა და სხვა ძუძუმწოვრებმა.** მათ არ შეეძლოთ ფრენა, მაგრამ საკმაოდ სწრაფად დარბოდნენ, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ისევე სწრაფად, როგორც ლეოპარდები. ისინი 3 მეტრამდე სიმაღლის იყვნენ და ნახევარ ტონამდე იწონიდნენ. ფრინველების მთავარი იარაღი იყო ბასრი გრძელი ნისკარტით შეიარაღებული თავი და უზარმაზარი საყლაპავი მილი, ამდენად, შეეძლოთ, მოზრდილი ძაღლის ხელა ნადავლი მთლიანად გადაეყლაპათ და მოკაუჭებული ნისკარტით ცხენისხელა ცხოველებსაც კი მორეოდნენ.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ცხოველები, რომლებმაც გადაშენებით სიცოცხლე გვაჩუქეს

**დღეს ადამიანი დომინანტი მტაცებელი არსებაა დედამიწაზე და ეს მოხდა იმის წყალობით, რომ უამრავი ურჩხული ჩვენ გაჩენამდე გადაშენდა. ისინი რომ დღეს ცოცხლები იყვნენ, საკითხავია, ვინ იდგებოდა განვითარების ჯაჭვის სათავეში.**



## არგენტავისი

**არგენტავისი 5-7 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა თანამედროვე არგენტინის ტერიტორიაზე, იწონიდა დაახლოებით 70 კილოგრამს, იყო 1,5 მეტრამდე სიმაღლის და გაშლილი ფრთების სიგანე 7 მეტრს აღწევდა.** არგენტავისის თავის ქალის სიგრძე 45 სანტიმეტრი, ხოლო მხრის ძვლისა დაახლოებით ნახევარი მეტრი იყო, ამიტომ არგენტავისი დედამიწაზე არსებულ ყველაზე დიდ ფრინველად ითვლება. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ ფრინველს შეეძლო ჰაერში ნარნარი ისევე, როგორც პლანერს, და განევითარებინა 240 კმ/სთ-მდე სიჩქარე, თუმცა ბიოლოგებმა ჯერ არ იციან, როგორ ახერხებდა ასეთი წონის ფრინველი აფრენა-დაფრენას.



## დუნკლეოსტეი

**დუნკლეოსტეი ითვლება ყველაზე დიდ პრეისტორიულ ჯავშნიან თევზად. მისი თავი და მკერდი დაფარული იყო მყარი უხეში ჯავშნით.** კბილების მაგივრად ამ არსებებს ჰქონდათ ორმწკრივი ბასრი ძვლოვანი ფირფიტები. მისი გაქვავებული ჩონჩხი, რომელიც არქეოლოგებმა იპოვეს, 10 მეტრი სიგრძის იყო და, სავარაუდოდ, ამ თევზის წონა 4 ტონამდე აღწევდა. ასე რომ, არც ერთი მეთევზე არ ისურვებდა, მის ანკესს ეს ურჩხული წამოგებოდა. ეს გიგანტური ჯავშნოსანი თევზები გადაშენდნენ დევონური და ქვანახშირის პერიოდების მიჯნაზე.



## მეგისტოტერიუმი

**ეს იყო გიგანტური გიენოდონტიდი, რომელიც ადრეულ და შუა მიოცენის პერიოდში ცხოვრობდა (2-15 მილიონი წლის წინათ), ითვლება ხმელეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ძუძუმწოვრად.** მისი გაქვავებული ნარჩენები ნაპოვნია აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკასა და სამხრეთ აზიაში. ცხოველის სხეულის სიგრძე დაახლოებით 4 მეტრს აღწევდა, კუდის სიგრძე — 1,5 მეტრს, ხოლო სიმაღლე – 2 მეტრს, 880-1400 კილოგრამამდე იწონიდა.



## კიბომორიელი

**ეს გიგანტური ზღვის არსება გამოიყურებოდა, როგორც მორიელისა და კიბო ომარის ნაჯვარი. მას ჰქონდა შემზარავი კუდი და ბრტყელი ფარფლები.** კიბომორიელები, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ჰგვანან თანამედროვე მორიელებს, სულ სხვა ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ, კერძოდ, ევრიპტერიდებს. ისინი მრავალი მილიონი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ დედამიწაზე და გადაშენდნენ პერმულ პერიოდში. ამ არსებების სიგრძე 2,5 მეტრს აღწევდა.



## ენდრიუსარხი

**სავარაუდოდ, ენდრიუსარხი დედამიწაზე ყველაზე დიდი ძუძუმწოვარი იყო, რომელიც გვიანი ეოცენის პერიოდამდე ცხოვრობდა აღმოსავლეთ აზიაში.** ენდრიუსარხის, გრძელსხეულიანი და მოკლეფეხებიანი დიდთავა მხეცის, თავის ქალის სიგრძე 83 სმ-ს, სხეულის სიგრძე კი 3,5 მეტრს აღწევდა, კუდი კი 1,5 მეტრამდე სიგრძის ჰქონდა. ამ გიგანტური ძუძუმწოვრის წონა, სავარაოდოდ, ერთ ტონამდე აღწევდა. ენდრიუსარხი ვეშაპისა და წყვილჩლიქიანების წინაპრად ითვლება. ის დედამიწაზე ცხოვრობდა დაახლოებით 45 მილიონი წლის წინათ.



## ჰელიკოპრიონი

**ეს ცხოველი ცნობილია თავისი უცნაური სპირალისებრი კბილებით.** ჰელიკოპრიონი იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი ცხოველებიდან, რომლებიც პერმო-ტრიასული მასიური გადაშენებისას გადარჩნენ, მაგრამ ტრიასული პერიოდის ბოლოს მაინც გადაშენდნენ. ამ ცხოველის გაქვავებული მთლიანი ჩონჩხი არაა ნაპოვნი, თუმცა მეცნიერებმა იპოვეს უცნაური, სპირალისებური კბილები და რამდენიმე თავის ქალა. ეს კბილები ცხოველს ეხმარებოდა ნადირობაში. ჰელიკოპრიონი თანამედროვე ზვიგენის წინაპრად ითვლება. მისი სიგრძე — 2-3 მეტრს, ხოლო სპირალისებური კბილების სიგრძე 25 სანტიმეტრს აღწევდა.



## კეტცალკოატლი

**ეს არსება ერთ-ერთი უდიდესია იმ გიგანტური ფრთოსნებიდან, რომლებიც ოდესმე ცხოვრობდნენ დედამიწაზე.** მისი სახელწოდება დაკავშირებულია აცტეკების ღმერთის — კეტცალკოატლის სახელთან, რომელიც ფრთოსან გველს წაარმოადგენდა. მფრინავი არსება ცხოვრობდა გვიანდელ ცარცულ პერიოდში. ეს იყო ნამდვილი ცის მეფე, რომლის გაშლილი ფრთების სიგანე 12 მეტრს აღწევდა, ხოლო სიმაღლე — 10 მეტრს; წონით კი არც ისე დიდი იყო – დაახლოებით 100 კილოგრამი. კეტცალკოატლს ჰქონდა მახვილი ნისკარტი, რომლითაც საკვებს მოიპოვებდა. ამ არსების გაქვავებული ჩონჩხი პირველად 1971 წელს აშშ-ში, ბიგ-ბენდის პარკში (ტეხასის შტატი) იპოვეს. ფრინველი იმდენად ძლიერი იყო, რომ ადგილიდან შეეძლო მოწყვეტით აფრენა, ყოველგვარი გარბენის გარშე. კეტცალკოატლი დაახლოებით 40-45 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა დედამიწაზე.



## გიგანტოპითეკი

**ეს იყო უზარმაზარი მაიმუნი, ორანგუტანგის ნათესავი, რომელიც ჩინეთის, ინდოეთისა და ვიეტნამის ჯუნგლებში, მთებსა და ბამბუკის ჭალებში ცხოვრობდა პლეისტოცენის პერიოდში.** გიგანტოპითეკები 3 მეტრამდე სიმაღლის იყვნენ და მათი წონა 550 კილოგრამს აღწევდა. ისინი ძალიან ძლიერები იყვნენ და იოლად იცავდნენ თავს სხვა მტაცებლებისაგან. გიგანტოპითეკები 300 ათასი წლის წინათ დაიღუპნენ, სავარაუდოდ, ადრეული ხანის ადამიანების ხელით ან კლიმატური პირობების ზეგავლენით. რა თქმა უნდა, იმ მეცნიერებს, რომლებსაც თოვლის კაცის არსებობის სჯერათ, იმედი აქვთ, რომ ამ ცხოველების რამდენიმე შთამომავალი ჯერ კიდევ ცხოვრობს ჰიმალაის მთებში.



## ჩანთოსანი ხმალკბილა ვეფხვი

**ჩანთოსანი მტაცებელი ცხოველი, რომელიც დედამიწაზე 10 მილიონი წლის წინათ, მიოცენის პერიოდში ცხოვრობდა, ზომით იაგუარზე ოდნავ დიდი იყო.** მას ზედა ყბაზე ჰქონდა უზარმაზარფესვიანი ბასრი ეშვი, ეგრეთ წოდებული ხმალი. ეს ცხოველი, სავარაუდოდ, მსხვილ ბალახისმჭამელებზე ნადირობდა. გადაშენდა პლიოცენის ბოლო ხანაში, როგორც ჩანს, კონტინენტზე ახალდასახლებულ ხმალკბილა კატებთან კონკურენციას ვერ გაუძლო.

მსოფლიოს გარშემო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# ურუგვაი – სამხრეთამერიკული შვეიცარია

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

რესპუბლიკა ურუგვაი სამხრეთ ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სახელმწიფოა. ჩრდილოეთით ესაზღვრება ბრაზილიას, დასავლეთით — არგენტინას, აღმოსავლეთით და სამხრეთით აქვს სანაპირო ზოლი ატლანტიკის ოკეანეზე.

ქვეყნის სახელწოდება წარმოდგება მდინარე ურუგვაის სახელიდან და ადგილობრივი ინდოელების ენაზე ნიშნავს მდინარეს.

თანამედროვე ურუგვაის ტერიტორიაზე, ვიდრე მას XVI საუკუნეში ესპანელები დაიპყრობდნენ, ცხოვრობდნენ ინდიელთა ტომები — ჩარუა.

დამოუკიდებლობა მოიპოვა 1825 წლის 25 აგვისტოს.

**კლიმატი.** ურუგვაიში კლიმატი სუბტროპიკულია, იანვარში საშუალო ტემპერატურა პლუს 22-24 გრადუსია, ივლისში — პლუს 8-9 გრადუსი. ქვეყნის ტერიტორიაზე სამხრეთის ქარების შეჭრისას ტემპერატურა შეიძლება მინუს 5 გრადუსამდეც დაეცეს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება.

**ფლორა.** მცენარეული საფარი, ძირითადად, ბალახები და ბუჩქნარია (პამპასები). ტყეს ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 3% უკავია. ხარობს შეტანილი მცენარეები — ევკალიპტი, მუხა, ფიჭვი, აგრეთვე, პალმა.

**ფაუნა**. ცხოველთა სამყაროდან აღსანიშნავია ავაზა, რეა (ამერიკული სირაქლემა), ტაპირი, ირემი, ტახი, გარეული კატა, ჭიანჭველაჭამია, ჯავშნოსანი. ბინადრობენ ფრინველები: გედი, ყარყატი, წერო, კოლიბრი. ურუგვაიში ბევრია ქვეწარმავალი, მათ შორის, ჩხრიალა გველი, აგრეთვე, დიდი ზომის ობობები.

ურუგვაის უმაღლესი წერტილია **მთა კათედრალი (514 მ).**

**უდიდესი მდინარეები: ურუგვაი (1832 კმ)** და **რიო ნეგრო (750).**

**ურუგვაის ტერიტორია 176220 კვ. კმ-ს შეადგენს** (88-ე მსოფლიოში).

***მოსახლეობა.*** 2014 წლის შეფასებით, ურუგვაიში ცხოვრობს **3,4 მლნ** ადამიანი (130-ე). მოსახლეობის ბირთვს წარმოადგენენ ესპანელები, რომლებიც აქ XVI-XVIII საუკუნეებში გადმოსახლდნენ, აგრეთვე, იტალიელი და ფრანგი ემიგრანტების შთამომავლები. ურუგვაის მოსახლეობის 82% ევროპეიდული რასის წარმომადგენელია, 8% — მეტისი, 4% — მულატი.

ურუგვაელები სამშობლოს საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ: არგენტინაში (65 ათასი), ბრაზილიაში (25 ათასი); აშშ-ში (48 ათასი), ავსტრალიაში (9 ათასი), საფრანგეთსა (6 ათასი) და კანადაში (5,5 ათასი).

**დედაქალაქი — მონტევიდეო (1,3 მლნ).**

**უდიდესი ქალაქები: მონტევიდეო; სელტო (105 ათასი), მალდონადო (63 ათასი).**

**ოფიციალური ენა: ესპანური.**



ხოსე მუხიკა

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ურუგვაი რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც საყოველთაო არჩევნებით 5 წლის ვადით ირჩევენ (დაუშვებელია ზედიზედ მეორე ვადით არჩევა). 2015 წელს ურუგვაის პრნეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს **ტაბარეს ვასკესი.** მანამდე კი პრეზიდენტი იყო **ხოსე მუხიკა** — მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელმაც მსოფლიოში სახელი გაითქვა იმით, რომ პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას ხელფასის (12,5 ათასი დოლარი) უდიდეს ნაწილს ქველმოქმედებას ახმარდა და თავისთვის მხოლოდ 1250 დოლარს იტოვებდა. ამის გამო მას მსოფლიოს ყველაზე ღარიბი და გულუხვი პრეზიდენტი შეარქვეს. აღსანიშნავია, რომ მუხიკას ცოლიც თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს საქველმოქმედო ფონდში რიცხავდა.

ურუგვაის საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი გენერალური ასამბლეა. ზედა პალატა — სენატი 30-ადგილიანია, ქვედა პალატა — წარმომადგენელთა პალატა — 99-ადგილიანი.

ქვეყანა დაყოფილია 19 დეპარტამენტად, რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილია მუნიციპალიტეტებად.

***რელიგია.*** მოსახლეობის 66,1% კათოლიკეა, 11,1% — პროტესტანტი, 17,2% — ათეისტი. ცხოვრობენ, აგრეთვე, სხვა რელიგიის წარმომადგენლებიც — იუდეველები და გრიგორიანელები (სომხები).

## ეკონომიკა

ურუგვაი ეკონომიკურად სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი განვითარებული სახელმწიფოა, მას სამხრეთ ამერიკის შვეიცარიას უწოდებენ. წამყვანი დარგებია მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. მოჰყავთ ბრინჯი, ხორბალი, შვრია, ბამბა, შაქრის ლერწამი.

სასარგებლო წიაღისეულით არცთუ მდიდარ ქვეყანაში მოიპოვებენ რკინას, მარგანეცს, მცირე რაოდენობით ოქროსა და ვერცხლს, აგრეთვე, ტყვიას.

ურუგვაის **მთლიანი შიგა პროდუქტი** 56,3 მლრდ დოლარს შეადგენს (90-ე), მოსახლეობის **ერთ სულზე** — 16,334 დოლარს.

**ვალუტა: ურუგვაიული პესო.**

1 ურუგვაიული პესო უდრის 0,04 აშშ დოლარს.

**ინტერნეტდომენი: uy**
**სატელეფონო კოდი: +598**
**საათობრივი სარტყელი: GTM -3.**



მონტევიდეო



თავისუფლების მოედანი მონტევიდეოში



ცათამბჯენი „პალასიო სალვო“ მონტევიდეოში



თითების მონუმენტი
პუნტა დელ ესტეს პლაჟზე

## კულტურა

ურუგვაი პატარა ქვეყანაა, მაგრამ აქვს თავისი კულტურული ტრადიციები. საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს მხატვარმა **პედრო ფიგარიმ** და მწერალმა **ხოსე ენრიკე როდომ.**

**ღირსშესანიშნაობები.** მონტევიდეოში — ნაციონალური ისტორიული მუზეუმი, ნაციონალური სამხატვრო მუზეუმი, ურუგვაის ეროვნული გმირის — ხოსე გერვალო არტიგასის მავზოლეუმი, საკათედრო ტაძარი; ტაკუთრემბოში — გაუჩოს მუზეუმი.



## ასადო

**ურუგვაიში ძალიან პოპულარულია კერძი ასადო, რომელსაც ამზადებენ ხორცისა (საქონლის, ღორის, ცხვრის) და სანელებლებისგან.**

**ინგრედიენტები:**
* ძროხის ხორცი — 600 გრ (რბილობის მთლიანი ნაჭერი)
* კონიაკი — 2 ს/კ
* სოიას საწებელი — 1/2 ჭიქა
* ყავისფერი შაქარი — 50 გრ
* წყალი — 1-2 ჭიქა
* ნიორი (დაჭყლეტილი) — 1 ჩ/კ
* ძირა — 5 გრ
* შავი პილპილი — 10 გრ
* რეჰანი — 10 გრ
* როზმარინი — 5 გრ
* მარილი — 4 ჩ/კ

**მომზადება:**

**1. ერთმანეთში აურიეთ დაჭყლეტილი ნიორი, სოიას სოუსი, კონიაკი, მარილი და სანელებლები — ძირა, წიწაკა, რეჰანი, როზმარინი. შემდეგ ეს მასა გადაიტანეთ ქვაბში და ჩადეთ ხორციც 1 საათით.**

**2. ქვაბში ჩაასხით წყალი, დაუმატეთ შაქარი და ხორცი ხარშეთ 40 წთ-ის განმავლობაში. შემდეგ ხორცი შედეთ გაზქურის ღუმელში და შეწვით 10-12 წთ-ის განმავლობაში, ვიდრე გარედან კარგად არ შეიბრაწება.**

**3. ხორცი 1 სმ სისქის ნაჭრებად დაჭერით და სუფრაზე მიტანამდე სალათის ფოთლებითა და წვრილად დაჭრილი პომიდვრის ნაჭრებით მორთეთ.**

## სამზარეულო

ურუგვაიული სამზარეულოს საფუძველი ჩაეყარა ინდიელთა ტომის — ჩარუასა და არგენტინული სამზარეულოს ტრადიციებით. დიდია ევროპული (იტალიური, ესპანური, ფრანგული) სამზარეულოების გავლენაც. ურუგვაიში პოპულარულია სხვადასხვა სანელებლით შეზავებული საქონლის ხორცის კერძები და პიცა. ძირითადი სასმელია „იერბა მატე“ — ტროპიკული ხის იერმა მატეს ჩაი.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

მცხუნვარე მზეზე ავტომობილის ყველაზე სუსტი ადგილი არის ლაქისა და საღებავის საფარველი. საღებავი ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით რომ არ გახუნდეს, ავტომობილის ზედაპირი პერიოდულად უნდა დაფაროთ პოლიროლით, რომელიც გაპრიალება-გალამაზებასთან ერთად, თქვენს ავტოს მზის სხივებისგანაც დაიცავს. არ დაგავიწყდეთ, აგრეთვე, ავტომობილის ხშირი გარეცხვა, რადგან ჭუჭყიანი ავტომობილი გაცილებით ძლიერად ხურდება, ვიდრე სუფთა.

## სასარგებლო რჩევები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ დავიცვათ ავტომობილი სიცხისგან

სიცხე ავტომობილზეც უარყოფითად მოქმედებს, ამიტომ მძღოლმა, საკუთარ თავთან ერთად, ავტომობილის დაცვაზეც უნდა იზრუნოს. ინფოგრაფიკაზე მოცემულია რამდენიმე რჩევა, როგორ შევამციროთ მაღალი ტემპერატურის ნეგატიური გავლენა ავტომობილზე.






მცხუნვარე მზეზე ავტომობილის ყველაზე სუსტი ადგილი არის ლაქისა და საღებავის საფარველი. საღებავი ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით რომ არ გახუნდეს, ავტომობილის ზედაპირი პერიოდულად უნდა დაფაროთ პოლიროლით, რომელიც გაპრიალება-გალამაზებასთან ერთად, თქვენს ავტოს მზის სხივებისგანაც დაიცავს. არ დაგავიწყდეთ, აგრეთვე, ავტომობილის ხშირი გარეცხვა, რადგან ჭუჭყიანი ავტომობილი გაცილებით ძლიერად ხურდება, ვიდრე სუფთა.

# რომელი ნიღაბია საუკეთესო პრობლემური კანისთვის

პრობლემური კანის, მუწუკებისა და ფერიმჭამელების საწინააღმდეგოდ საუკეთესო საშუალებაა ქვემოთ მოყვანილი რეცეპტით დამზადებული ნიღაბი:

**ინგრედიენტები:**

*** 1 კვერცხის ცილა;**
*** ჩაის ხის ზეთი — 3-4 წვეთი;**
*** სახამებელი — 1 სუფრის კოვზი.**

**მომზადება:**

კვერცხის ცილა ათქვიფეთ აქაფებამდე. ნელ-ნელა დაუმატეთ ჩაის ხის ზეთი და სახამებელი. მიღებული მასა წაისვით სახეზე (თვალებსა და ტუჩების ზონის გარდა) და დაელოდეთ, ვიდრე გაშრება (10-15 წთ), შემდეგ ნიღაბი თბილი წყლით ჩამოიბანეთ. სახის კანი გაისუფთავეთ ლოსიონით, შემდეგ კრემი წაისვით. ეს პროცედურა ერთი თვის განმავლობაში 10-15-ჯერ ჩაიტარეთ ძილის წინ და კანი შესამჩნევად გაგილამაზდებათ.



# შეგიძლიათ საიდუმლოს შენახვა?

ტესტი



ამ ტესტის მეშვეობით შეგიძლიათ განსაზღვროთ, თავშეკავებული ხართ და შეინახავთ საიდუმლოს თუ ენას კბილს არ დააჭერთ და მას, ვინც საიდუმლო გაგიმჟღავნათ, საქვეყნოთ გამოაჭენებთ.

**1. მეგობარმა ოჯახის საიდუმლო გაგანდოთ, თქვენი აზრით, შეგიძლიათ საიდუმლოს შენახვა?**
**ა.** დიახ — 3 ქულა;
**ბ.** საიდუმლოს გამჟღავნებას მხოლოდ განსაკუთრებული გარემოება მაიძულებს — 1;
**გ.** საიდუმლოს გავუზიარებ დედას, მეუღლეს ან მეგობარს, რადგან ერთმანეთს არაფერს ვუმალავთ — 1.

**2. ფიქრობთ, რომ თქვენი დაქალის მეგობარი მამაკაცი არ არის მისი შესაფერისი, როგორ მოიქცევით?**
**ა.** არ ჩავერევი, დაე, თვითონ გაერკვეს ყველაფერში — 3;
**ბ.** ხუმრობით ვეტყვი: „მგონი, ეს კაცი სულაც არ არის შენი ოცნების გმირი!“ — 2.
**გ.** პირდაპირ განვუცხადებ: „მიატოვე!“ — 1.

**3. საყვარელი ადამიანი გთხოვთ, უამბოთ თქვენი წარსული სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ. როგორ მოიქცევით?**
**ა.** რაღაცას მივუყვები, ძირითადს კი დავმალავ — 3;
**ბ.** ადრინდელ გატაცებებზე ზოგადად მოვუყვები — 2;
**გ.** ჩემი დევიზი გულწრფელობაა, ამიტომ ყველაფერს დაწვრილებით მოვუყვები — 1.

**4. რა იციან დაქალებმა თქვენ შესახებ?**
**ა.** მხოლოდ ის, რის გამხელასაც საჭიროდ ჩავთვლი — 3;
**ბ.** ბევრი რამ, მაგრამ ყველაფერი — არა — 2;
**გ.** მეგობრებს არაფერს ვუმალავ — 1.

**5. თუ მაღალხელფასიან და პრესტიჟულ სამსახურში მოწყობის შანსი გაგიჩნდებათ, როგორ მოიქცევით?**
**ა.** ვიდრე მიზანს არ მივაღწევ, არავის არაფერს ვეტყვი — 3;
**ბ.** ამის შესახებ მოვუყვები მხოლოდ ყველაზე ახლობელ ადამიანებს — 2;
**გ.** ამ სასიხარულო ამბავს ყველას ვაცნობებ — 1.



**შეაჯამეთ ქულები:**

12 ქულაზე მეტი:
ფლიდი ადამიანი ხართ, თუკი ვინმესთან საიდუმლო რომანს გააბამთ, ამის შესახებ ვერავინ ვერაფერს შეიტყობს. საკუთარი და სხვისი საიდუმლოს შენახვა კარგად შეგიძლიათ.

8-11 ქულა:
თავშეკავებული ხართ და უაზრო ლაქლაქი არ გჩვევიათ. განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში შეგიძლიათ საიდუმლოს შენახვა, მაგრამ, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, დიდხანს ვერ ძლებთ ჩუმად და საიდუმლოს, ალბათ, უახლოეს მეგობარს გაანდობთ.

4-7 ქულა:
თუ საიდუმლო გაგიჩნდებათ, ენას კბილს დააჭერთ და გაჩუმდებით, მაგრამ ვინმესადმი ლტოლვის დამალვას ვერ ახერხებთ.

4 ქულაზე ნაკლები:
შუბლზე გაწერიათ, რასაც განიცდით. იმწამსვე ყველაფერს ეუბნებით ახლობლებს. თქვენი მეტისმეტი გულწრფელობა კი ხშირად გულს ტკენს გარშემო მყოფთ.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კარგი პერიოდია პრინციპულ საკითხებზე მოლაპარაკებების საწარმოებლად, აგრეთვე, ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად. წარმატებას მიაღწევენ მშვილდოსნისა და მერწყულის ნიშნით დაბადებულები.**

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**8 – 14 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი – 20 აპრილი**

ახლა ყველაზე მეტად საკუთარ გრძნობებსა და მისწრაფებებში გარკვევა გჭირდებათ და არა სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა. მოაწესრიგეთ ურთიერთობები ოჯახის წევრებთან, დაუთმეთ მათ მეტი დრო და ყველაფერი რიგზე იქნება.

თუ ვალი გაქვთ, მისი გასტუმრება ამ პერიოდში მოგიწევთ.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

მოერიდეთ ორპირ ქარს და არ აწიოთ სიმძიმეები!

**დადებითი დღე: 11 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 9 ივლისი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი–22 ივლისი**

მოგიწევთ კანონთან შეხება. ეს შეიძლება იყოს ურთიერთობა სამართალდამცველ ორგანოსთან ან სასამართლოსთან, ან, უბრალოდ, დოკუმენტების გაფორმება, თუმცა, რაც უნდა იყოს, თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვნად აისახება.

შეინარჩუნეთ ოპტიმიზმი, მოთმინება და გახსოვდეთ, რომ ეს უსიამოვნებები დროებითია.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტი გარდაუვალია.

თუ ფილტვების პრობლემები გქონდათ, აუცილებლად გაესინჯეთ ექიმს.

**დადებითი დღე: 11 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 9 ივლისი.**

## სასწორი
**24 სექტ. – 23 ოქტ.**

მოაწესრიგეთ დოკუმენტები, რადგან შეიძლება ხელმძღვანელობამ შეგამოწმოთ და შენიშვნა მოგცეთ.

გულმოწყალება გამოიჩინეთ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც დახმარების სათხოვნელად მოგმართავენ. სხვების დახმარება სიხარულსა და ბედნიერებას მოგგვრით. სიკეთე კი წინ აუცილებლად დაგხვდებათ.

ახლა თქვენი მომხიბვლელობა მომატებულია და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების ყურადღებას მიიპყრობთ, მაგრამ ამ პერიოდში დაწყებული ურთიერთობა ხანმოკლე იქნება.

თუ შარდ-სასქესო სისტემის რომელიმე დაავადება გაქვთ გადატანილი, აუცილებლად გაესინჯეთ ექიმს.

**დადებითი დღე: 11 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 8 ივლისი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. – 20 იან.**

მოსალოდნელია ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებული იქნება თქვენს დამოკიდებულებაზე გარშემო მყოფთა მიმართ. თქვენ გარშემო ვითარება ნელ-ნელა გაუმჯობესდება — პრობლემები მოგვარდება და გაჩნდება სასიკეთო პერსპექტივა.

თუ ვერ განსაზღვრავთ, თავდაპირველად რომელი მიზნისკენ იაროთ და რა გადაწყვეტილება მიიღოთ, რჩევისთვის ოჯახის წევრებს მიმართეთ.

შესაძლოა, გაგირთულდეთ ურთიერთობა ოჯახის წევრებთან ან ნათესავებთან, ამის მიზეზი კი თქვენი უკომპრომისო გადაწყვეტილებები იქნება.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ სჯობს, თავი მოარიდოთ მზის მწველ სხივებს.

**დადებითი დღე: 11 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 9 ივლისი.**

## კურო
**21 აპრილი – 21 მაისი**

შეიძლება, ემოციურობამ ცუდი სამსახური გაგიწიოთ. თქვენ ახლა ყველაფერი გულთან ახლოს მიგაქვთ და, სამწუხაროდ, შესაძლოა, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც შეეცდებიან, გუნება-განწყობილება გაგიფუჭონ, ამიტომ თქვენ გარშემო მძლავრი ბარიერი ააგეთ ან ჩაიკეტეთ საკუთარ თავში.

სამსახურში ყველაფერი შესანიშნავად წარიმართება და ხელმძღვანელობა თქვენს შრომას დააფასებს. არ არის გამორიცხული, პრემიითაც დაგაჯილდოვონ.

შეიძლება პრობლემები შეგექმნათ ოჯახის უმცროს წევრებთან ურთიერთობაში. სიტუაციას ნუ დაძაბავთ და უთანხმოება დიპლომატიურად მოაგვარეთ.

დაიცავით კვების რეჟიმი და დალიეთ მეტი მინერალური წყალი.

**დადებითი დღე: 10 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 12 ივლისი.**

## ლომი
**23 ივლისი –22 აგვისტო**

დაძაბული პერიოდია. გექნებათ ბევრი უსიამოვნო მომენტი და იმედგაცრუება.

უყურადღებობით, არ არის გამორიცხული, თაღლითების მსხვერპლი გახდეთ, რის გამოც დეპრესია შეიძლება დაგემართოთ. ოპტიმიზმს ნუ დაკარგავთ და შეეცადეთ, ყურადღება ცხოვრების დადებით მხარეებზე გადაიტანოთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი შეიკავეთ საქმის გარჩევისგან — ვინ არის მტყუანი და ვინ — მართალი.

გაუფრთხილდით ღვიძლს — ნუ მიეძალებით ალკოჰოლურ სასმელებს, სჯობს სვათ მწვანე ჩაი ლიმონით.

**დადებითი დღე: 11 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 8 ივლისი.**

## მორიელი
**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

თუ ემოციებს არ მოთოკავთ და გარშემო მყოფთა კრიტიკას თავს არ დაანებებთ, კონფლიქტი, თანაც — მწვავე, გარდაუვალი იქნება. საქმე ის კი არ არის, რომ ადამიანები ვერ გაგიგებენ, არამედ ის, რომ თქვენ ვერ გაგირკვევიათ, რა გსურთ.

ამ პერიოდში თქვენი ავტორიტეტი ოჯახში შეუვალი იქნება, მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის ხანდაზმული წევრების მიმართ.

შეეცადეთ, თავი აარიდოთ სტრესულ სიტუაციებს, თუ შვებულების აღებას გეგმავთ, ახლა ამისთვის საუკეთესო პერიოდია.

**დადებითი დღე: 12 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 10 ივლისი.**

## მერწყული
**21 იან. – 19 თებ.**

შეძლებთ თქვენი საუკეთესო თვისებების გამოვლენას და ყველა საქმეს წარმატებით შეასრულებთ, რომელსაც კი ხელს მოჰკიდებთ.

წარმატება გზას გაგიხსნით ახალი პერსპექტივისკენ, რაც თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე დადებითად აისახება.

მარტოხელა მერწყულებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთანაც რომანტიკულ ურთიერთობას დაიწყებენ.

ამ პერიოდში მაღალია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 11 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 9 ივლისი.**

## ტყუპი
**22 მაისი–21 ივნისი**

მოგეცემათ შესაძლებლობა, თქვენი საუკეთესო თვისებები წარმოაჩინოთ. გაგიჩნდებათ ბევრი იდეა, რომელთა განხორციელებაშიც გავლენიანი ნაცნობები და ახლობლები დაგეხმარებიან. წამოწყებები წარმატებით განვითარდება, თუმცა ამისთვის მუხლჩაუხრელი შრომა მოგიწევთ. ელოდეთ დამატებით შემოსავალს.

თქვენი ახალი რომანტიკული ურთიერთობა, თუ მოინდომებთ, მგზნებარე რომანში გადაიზრდება და არ არის გამორიცხული, ქორწინებითაც დაგვირგვინდეს.

ამ პერიოდში მაღალია ქრონიკული ალერგიული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 11 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 13 ივლისი.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

საკმაოდ ბევრი იშრომეთ და ამიტომ თქვენ წინაშე შესანიშნავი პერსპექტივა გადაიშლება. გაგიჩნდებათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი, თუმცა თუ არასწორ ნაბიჯებს გადადგამთ, შესაძლოა, პოზიციები დაკარგოთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში განსაზღვრეთ პრიორიტეტები. თუ გსურთ, ოჯახში სუფევდეს ურთიერთგაგების ატმოსფერო, მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის წევრების, განსაკუთრებით — ბავშვების მიმართ.

შესაძლოა, შეგექმნათ თირკმელების პრობლემა, ამიტომ თავი შეიკავეთ ალკოჰოლური სასმელის ჭარბად მიღებისგან.

**დადებითი დღე: 12 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 10 ივლისი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. – 21 დეკ.**

წარმატებული პერიოდია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ფინანსური ოპერაციებით იქნება დაკავებული. თუმცა, თუ მხოლოდ ფულის გამომუშავებაზე იფიქრებთ, შესაძლოა, მატერიალური სამყაროს ტყვეობაში აღმოჩნდეთ. სხვის ხარჯზე გამდიდრების მცდელობა სარგებელს არ მოგიტანთ და რეპუტაციას შეგილახავთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ისწავლეთ შესაფერისი მომენტის შერჩევა გრძნობების გამოსახატავად და თავი დაანებეთ მბრძანებლური ტონით მიმართვას.

დაიცავით კვების რეჟიმი და გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას!

**დადებითი დღე: 9 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 14 ივლისი.**

## თევზები
**20 თებ. – 20 მარტი**

მზის ქვეშ ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. მუხლჩაუხრელი შრომა ძალიან დაგღლით, მაგრამ ჯილდო შესაბამისი იქნება. შემოსავლების მომატების შედეგად შეძლებთ ცხოვრების პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. ამ ყველაფერს კი მხოლოდ გამძლეობითა და მოთმინებით მიაღწევთ.

ახლა თქვენ გიჭირთ საერთო ენის გამონახვა საყვარელ ადამიანთან, მაგრამ შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ მას და საერთო პრობლემებზე ერთად იმსჯელოთ.

გაუფრთხილდით ტერფებს — მაღალია მათი ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 11 ივლისი.**
**უარყოფითი დღე: 13 ივლისი.**

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საფირმო სკანვორდი და მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები

გაერთეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე



1. უსინათლოთა შრიფტი
2. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
3. ცხოველის ტილი
4. ბენდერის სახელი
5. აგათა კრისტის ნაწარმ. გმირი ერკიულ ...
6. მუს. ნოტი
7. პროფესიონალი მონადირე
8. მეველის შველი
9. ზღვის დიდი ფრინველი
10. იტალიელი ფეხბურთელი პაოლო ...
11. ზევსის ფარი
12. მომღერალი ... კლემენტი
13. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა
14. პურის სოკო
15. კონტინენტი
16. სოფელი ქარელის რაიონში
17. ძვ. რუსული სიგრძის საზომი ერთეული
18. დედამიწის ქერქის ნაწილი
19. ის, რითაც იხვის თითებია შეერთებული
20. ესკიმოსების საცხოვრებელი ქოხი
21. გიტარის მსგავსი სიმებიანი საკრავი
22. დავით... გოგიბედაშვილი
23. პატარა ნაკადული
24. ერთგვარი რევოლვერი
25. უძვლო ხორცის ნაჭერი
26. წამლის მზა ფორმა
27. ერთგვარი კანფეტი მრგვალი ფორმის
28. ტაილანდური ენა
29. ობიექტის ადგილმდებარეობის განსაზღვრა
30. მუხის ნაყოფი
31. სტილი ცურვაში
32. მდინარე სანქტ-პეტერბურგში
33. იაპონიის ვალუტის ერთეული
34. გეოლოგიური წარმონაქმნი
35. ... ჩარლზი
36. ... ლადენი
37. შენობაში ამოყვანილი ღია აივანი
38. ყელსაბამი
39. ადამი და ...
40. ... ჯაგერი
41. ხელოვნური საერთაშორისო ენა
42. რძის ნაწარმი
43. მსახიობი ... დიზელი
44. ფრანგი მსახიობი ... ჟირარდო
45. მწერალი თომას ...
46. ხის მასალა
47. განგსტერი ... კაპონე
48. კულტის მსახური, ჯადოქარი, ექიმბაში
49. ამერიკელი რეპერი
50. რაიონი კახეთში
51. შტატი ინდოეთში
52. ძველებური ფრანგული ოქროს ფული
53. მათემატიკური სიდიდე — 3.14
54. მიმართვა ახალგაზრდა ქალისადმი აშშ-ში
55. საბავშვო ბაღის გამოსაშვები ...
56. ქართველი მსახიობი და რეპერი
57. ღამის ფრინველი
58. ზღვის დიდი კიბო
59. მწერალი არტურ ... დოილი
60. სივრცე გემის ფსკერსა და გემბანს შორის
61. მდინარე ჩინეთსა და ყაზახეთში
62. ზებუნებრივი ძალების რწმენა
63. საზეიმო ლირიკული ლექსი
64. ფრანგი მწერალი ... ზოლა





## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9), და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | | | | 8 | |
| | | 1 | 9 | | | | | 2 |
| | | | | 3 | 1 | 7 | | 9 |
| | 1 | | | 2 | | | | |
| 2 | | 9 | | | | 4 | | 7 |
| | | | | 7 | | | 6 | |
| 5 | | 2 | 4 | 1 | | | | |
| 3 | | | | | 7 | 6 | | |
| | 9 | | | | | 8 | | |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | 2 | | | | | |
| | | | | | | 5 | 4 | |
| 4 | | | 5 | | | | | 3 |
| 7 | 8 | | | 6 | | | 5 | |
| | | 6 | 8 | 3 | 1 | 7 | | |
| | 2 | | | 7 | | | 1 | 6 |
| 3 | | | | | 8 | | | 2 |
| | 6 | 8 | | | | | | |
| | | | | | 9 | 4 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 7 | | | 2 | | |
| 1 | | | | 5 | 9 | 8 | | 6 |
| | 6 | | | | 4 | | | |
| 8 | 3 | 5 | | | | | 6 | |
| | 2 | 9 | | | | 7 | 4 | |
| | 7 | | | | | 9 | 3 | 8 |
| | | | 6 | | | | 8 | |
| 3 | | 6 | 4 | 1 | | | | 7 |
| | | 4 | | | 5 | | | |



# ესპანეთის პოლიციამ საქართველოს 32 მოქალაქე დააკავა

**ესპანელმა სამართალდამცველებმა სპეცოპერაციის შედეგად საქართველოს 32 მოქალაქე დააკავეს. ესპანური მედიის ინფორმაციით, 30 პირი დააკავეს მადრიდში, 2 კი — ვალენსიაში.**

როგორც ადგილობრივი მედია წერს, დაჯუფების დაკავებული წევრები ჩართულნი იყვნენ ბინების ძარცვაში. დაკავებულებს შორის რამდენიმე ე.წ. კანონიერი ქურდია.

ესპანური მედია საქართველოს მოქალაქეების დაკავებას „ქართული მაფიის წინააღმდეგ" ჩატარებულ სპეცოპერაციას უწოდებს.

# ზაზა პაპუაშვილი: მივესალმები ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივას!

**პარლამენტარი, მსახიობი ზაზა პაპუაშვილი მიესალმება პრემიერის ინიციატივას, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. პაპუაშვილმა „რეპორტიორთან" საუბრისას აღნიშნა, რომ პრემიერი ამ გადაწყვეტილებით მოსახლეობის უმრავლესობის აზრს აჟღერებს და მის ინტერესებს იცავს.**



„აბსოლუტურად ვეთანხმები და მივესალმები ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივას. პრემიერმინისტრი გამოხატავს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის აზრს და იცავს მის ინტერესებს, სახელმწიფოებრიობას. იგი პატივს სცემს თავისი ქვეყნის ტრადიციას და ისტორიას, რაზეც დაფუძნებულია ჩვენი კულტურა. ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც ქვეყნის მეთაური, რომელმაც იცის თავისი ხალხის აზრი, გამოთქვამს ჩვენს მოსაზრებას, რომ საქართველოში ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შედეგად შექმნილი. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ, რომ ბრმად არაფრის გადმოწერა და გადმოღება არ შეიძლება. თუ ქვეყანა, რომელსაც დიდი ისტორია აქვს, ნაბიჯ-ნაბიჯ გააქრობს კარგს და არა ფსევდოტრადიციებს, მისგან არაფერი დარჩება. ეს არის დასაცავი და მოსავლელი. მე არ ვიცი, ამერიკაში მიღებული კანონი შემდგომ რა მოვლენებს გამოიწვევს, ვნახოთ, რამდენად კმაყოფილი დარჩებიან ამერიკელები ამ გადაწყვეტილების შემდეგ. მიმაჩნია, რომ ბავშვს უნდა ჰყავდეს დედა და მამა, ამ მოცემულობით მოვედით აქამდე, ამის აღრევა მხოლოდ უბედურებას გამოიწვევს, კარგს არაფერს.

ჩვენ საკუთარი ქვეყანა უნდა მოვაწყოთ ისე, როგორც ჩვენ მიგვაჩნია სწორად. უნდა ვეცადოთ ჩვენი თვითმყოფადობის დაცვასა და გადარჩენას", — განაცხადა ზაზა პაპუაშვილმა.

# გერმანიაში რობოტმა ადამიანი მოკლა

**რობოტმა გერმანიაში, ფოლკსვაგენის ქარხანაში, ადამიანი მოკლა. მედია ინფორმაციას კომპანიის პრესსპიკერ ჰეიკო ჰილვიგზე დაყრდნობით ავრცელებს.** კომპანიის 22 წლის თანამშრომელი სტაციონარულ რობოტთან მუშაობდა, როცა მან აიტაცა და მეტალის ფირფიტაზე მიანარცხა. ჰილვიგის თქმით, მომხდარში დამნაშავე ადამიანი იყო და არა რობოტი, რომელიც დაპროგრამებულია, რომ შეასრულოს სხვადასხვა დავალება. მისივე თქმით, რობოტები, როგორც წესი, შეზღუდულ არეალზე მუშაობენ და მათ დავალებას ავტონაწილების აღება და გადაადგილება წარმოადგენს. კომპანიის სპიკერი სხვა დეტალებზე არ საუბრობს, რადგან გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.





**სამძიმარი მეგობარს —**
**ამირან გიორგაძეს მამის,**
**გიორგი გიორგაძის**
**გარდაცვალების გამო**

**ბატონი გიორგი ღვაწლმოსილი წავიდა ამქვეყნიდან, მისი განვლილი ჟამი წუთისოფლისა თვალმიდევნების ღირსია, საქმენი ქმნილნი — შეფასების, ზნეობა და კაცურკაცობა — სამაგალითოდ წარმოსაჩენი მომავალი თაობისათვის.**

**ადვილი არ არის, სუფთა კაცის ცხოვრებით იცხოვრო, ერთხელ ამორჩეულ ზნეობრივ პრინციპებს დღენიადაგ უერთგულო, შთამომავლობისათვის შენი ხატი შექმნა, ხატი მისაბაძი და სანიმუშო.**

**კიდევ ერთხელ გამოვთქვამ ღრმა მწუხარებას ბატონი გიორგის გარდაცვალების გამო.**

შენი **ძმა გრიშა ონიანი**

# ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად საჭირო მოწყობილობის შეძენა განვადებითაც იქნება შესაძლებელი

**ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად საჭირო მოწყობილობის — ე.წ. სეთ-თოფ-ბოქსის შეძენა განვადებითაც იქნება შესაძლებელი, — განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ნათია მიქელაძემ.**



„სეთ-თოფ-ბოქსის"' განვადებით შეძენა შეღავათიანი პირობებით და საქართველოში მოქმედ ყველა იმ ბანკში იქნება შესაძლებელი, რომელთაც განვადების სერვისი აქვთ.

„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ბანკების ასოციაციასა და საბანკო სექტორთან თანამშრომლობის შედეგად, შესაძლებელი გახდა, რომ მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომლისთვისაც სავაჭრო ქსელებში ე.წ. სეთ-თოფ-ბოქსის ღირებულების ერთიანად გადახდა წარმოადგენს სირთულეს, განხორციელდეს სპეციალური საბანკო შეთავაზება. შესაბამისად, ე.წ. სეთ-თოფ-ბოქსის შეძენა უახლოეს დღეებში შესაძლებელი იქნება განვადების შეღავათიანი პირობებით", — განაცხადა ნათია მიქელაძემ.

მინისტრის მოადგილემ მოსახლეობას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მეორე ეტაპი 9 ივლისს განხორციელდება.

# 31-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

სურ: ალექსანდრე იაშვილი; ტრიუმფალური თაღი; ფრენკ რიბერი.1. ბრაილი; 2. მაინცი; 3. ტკიპა; 4. ოსტაპი; 5. პუარო; 6. მი; 7. ეგერი; 8. გერი; 9. ალბატროსი; 10. როსი; 11. ეგიდა; 12. ერიკ; 13. ნარგილე; 14. ობი; 15. ავსტრალია; 16. ავნევი; 17. საჟენი; 18. ქანი; 19. აპკი; 20. იგლუ; 21. ბანჯო; 22. დეფი; 23. რუ; 24. ნაგანი; 25. ფილე; 26. აბი; 27. დრაჟე; 28. ტაი; 29. ლოკაცია; 30. რკო; 31. კროლი; 32. ნევა; 33. იენა; 34. ვულკანი; 35. რეი; 36. ბინ; 37. ლოჯია; 38. კოლიე; 39. ევა; 40. მიკ; 41. იდო; 42. დო; 43. ბია; 44. ანი; 45. მანი; 46. ფიცარი; 47. ალ; 48. შამანი; 49. ჯეიზი; 50. გურჯაანი; 51. გოა; 52. ლუიდორი; 53. პი; 54. მის; 55. ზეიმი; 56. კაბუ; 57. ბუ; 58. ომარი; 59. კონან; 60. ტრიუმი; 61. ილი; 62. მისტიკა; 63. ოდა; 64. ემილ.

## მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 4 | 7 | 5 | 2 | 1 | 8 | 6 |
| 8 | 7 | 1 | 9 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 6 | 2 | 5 | 8 | 3 | 1 | 7 | 4 | 9 |
| 7 | 1 | 6 | 5 | 2 | 4 | 3 | 9 | 8 |
| 2 | 5 | 9 | 6 | 8 | 3 | 4 | 1 | 7 |
| 4 | 8 | 3 | 1 | 7 | 9 | 2 | 6 | 5 |
| 5 | 6 | 2 | 4 | 1 | 8 | 9 | 7 | 3 |
| 3 | 4 | 8 | 2 | 9 | 7 | 6 | 5 | 1 |
| 1 | 9 | 7 | 3 | 6 | 5 | 8 | 2 | 4 |

## საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 5 | 2 | 1 | 4 | 9 | 8 | 7 |
| 8 | 7 | 2 | 3 | 9 | 6 | 5 | 4 | 1 |
| 4 | 1 | 9 | 5 | 8 | 7 | 2 | 6 | 3 |
| 7 | 8 | 1 | 9 | 6 | 2 | 3 | 5 | 4 |
| 5 | 4 | 6 | 8 | 3 | 1 | 7 | 2 | 9 |
| 9 | 2 | 3 | 4 | 7 | 5 | 8 | 1 | 6 |
| 3 | 9 | 4 | 1 | 5 | 8 | 6 | 7 | 2 |
| 2 | 6 | 8 | 7 | 4 | 3 | 1 | 9 | 5 |
| 1 | 5 | 7 | 6 | 2 | 9 | 4 | 3 | 8 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 8 | 7 | 6 | 3 | 2 | 1 | 4 |
| 1 | 4 | 3 | 2 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 7 | 6 | 2 | 1 | 8 | 4 | 3 | 5 | 9 |
| 8 | 3 | 5 | 9 | 4 | 7 | 1 | 6 | 2 |
| 6 | 2 | 9 | 8 | 3 | 1 | 7 | 4 | 5 |
| 4 | 7 | 1 | 5 | 2 | 6 | 9 | 3 | 8 |
| 5 | 1 | 7 | 6 | 9 | 2 | 4 | 8 | 3 |
| 3 | 9 | 6 | 4 | 1 | 8 | 5 | 2 | 7 |
| 2 | 8 | 4 | 3 | 7 | 5 | 6 | 9 | 1 |


# ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894